

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია  
(GCLA)

ლიტერატურული მიმდინარეობები  
(კლასიციზმიდან მოდერნიზმამდე)



*GCLA Press*

თბილისი  
2017

**რედაქტორები:**  
ირმა რატიანი, გაგა ლომიძე

**ოპერატორ-დამკაბადონებელი**  
თინათინ დუგლაძე

**ყდის დიზაინერი**  
რევაზ მირიანაშვილი

ISBN 978-9941-473-29-6

## შინაარსი

**წინასიტყვაობა.....5**

### **ირმა რატიანი**

კლასიციზმი ევროპულ და  
ქართულ მწერლობაში.....7

### **მაია ნაჭყებია**

ლიტერატურული ბაროკო.....27

### **რამაზ ჭილაია**

სენტიმენტალიზმი.....59

### **გაგა ლომიძე**

რომანტიზმი:  
ტექსტი და კონტექსტი.....73

### **ირმა რატიანი**

რეალიზმის ლიტერატურული მოდელი და  
მისი რეფლექსია ქართულ მწერლობაში.....100



## წინასიტყვაობა

მე-20 საუკუნის უდიდესი ნანილი ჩვენმა ქვეყანამ ტოტა-ლიტარული რეჟიმის, პირობებში განვლო, როცა ყოველი სიახლე, თუ იგი ამ რეჟიმის იდეოლოგიურ ჩარჩოში არ ჯდებოდა, სასტიკად იკრძალებოდა. ამან გამოიწვია ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მსოფლიო პროცესებისგან მოწყვეტა. საბჭოთა პერიოდში ინტერპრეტაციის პლურალურობა დაუშვებელი იყო, ვინაიდან იდეოლოგია თავის კანონებს აწესებდა, განსაზღვრავდა ლიტერატურულ კანონს და, შესაბამისად, „კანონიკური“ ტექსტების ინტერპრეტაციორადაც გვევლინებოდა.

ლიტერატურის მიმდინარეობათა შესახებ კრებული, მისი ძირითადი ინფორმაციული ფუნქციის გარდა, კლასიკური ქართული ლიტერატურის ახლებურ წაკითხვებსაც გვთავაზობს. სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქაში ერთ-ერთ ყველაზე მეტად იდეოლოგიზებულ სფეროს თეორიული ლიტერატურისმცოდნეობის სფერო წარმოადგენდა, რის გამოც მეცნიერებსა არაერთ კომპრომისზე უწევდათ წასვლა. ქართული ლიტერატურული კანონის ნიმუშების ანალიზის/ინტერპრეტაციისას ერთ-ერთი უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტების ახლებურ გააზრებას, ვინაიდან კანონიკური ტექსტები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლების პროგრამულ ტექსტებს გულისხმობს. ტოტალიტარული იდეოლოგიის პირობებში იდეოლოგიის მსახურები – ინტერპრეტატორები თავისებურ, მათთვის სასარგებლო კულტურულ-პოლიტიკურ ინტერპრეტაციას გვთავაზობდნენ. ამიტომაც იმდროინდელი კულტურის/ლიტერატურის რევიზია ქართული კულტურის გლობალურ კონტექსტში მოთავსებას, ამ კონტექსტის ორგანულ ნაწილად მის მიჩნევას და ანალიზს ითვალისწინებს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, 1990-იანი წლების მიწურულიდან, მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ლიტერატურისმცოდნეობით სფეროებში: დაიწყო წინა წლებში არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შევსება. ცხადია, სხვადასხვა დროს საქართველოში იქმნებოდა ცალკე-

ული ნაშრომი, რომელიც ითვალისწინებდა ამა თუ იმ მიმდინარე-ობის ანალიზს თუ თავისებურებების წარმოჩენას (მაგ., უურნალ „სჯანში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნუგზარ მუზაშ-ვილის სტატიების სერია სხვადასხვა მიმდინარეობაზე, ნინო ნა-კუდაშვილის ნაშრომი „ლიტერატურული მიმდინარეობები“, ის-ევე როგორც ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კრებულები „ქართული ლიტერატურა ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში“ (ორგომეული), „ქარ-თული მოდერნიზმის ტიპოლოგია“, „XVI-XVIII საუკუნეების ქა-რთული ლიტერატურა“ თუ „ქართული რომანტიზმი“). მაგრამ ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი გზამკვლევი, რომელიც გათვალისწინებული იქნება უშუალოდ უმაღლესი სასწავლებ-ლის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, აქამდე არ მომაზადებულა. არადა, ამის ძალიან დიდი აუცილებლობა ყოველთვის არსებობდა. მაგალითად, შეუძლებელია თეიმურაზ I-ზე საუბარი ბაროკოს კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, ისევე როგორც წარმოუდგენელია ნიკოლოზ ბარათაშვილის თუ ილია ჭავჭავაძის ტექსტების ანალიზი ზოგადად მიმდინარეობის გაუთვალისწინებლად. მაშასადამე, ყველაფერთან ერთად, აქ-ცენტი კეთდება კონტექსტზე, ანალოგიური ლიტერატურული მიმდინარეობების ჭრილში.

ამ კრებულში, მიმდინარეობის ფარგლებში, გაანალიზე-ბულია ცნობილ მწერალთა მიერ შექმნილი ტექსტები. ასეთი გზამკვლევი, აუცილებელია ყოველი განათლებული ერისათ-ვის. საკმარისია გავიხსენოთ ოქსფორდის თუ კემბრიჯის უნი-ვერსიტეტების მიერ სერიების სახით გამოცემული კრებულები სხვადასხვა მიმდინარეობის შესახებ. კრებული მნიშვნელოვანი დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებსა და სტუდენტებს და ლიტერატურისმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებულ ფართო მკითხველს.

## კლასიციზმი ევროპულ და ქართულ მწერლობაში\*

### ქართული მწერლობა კულტურათა გზაშესაყარზე

XVI-XVIII საუკუნეებში, რამდენიმესაუკუნოვანი წყვეტის შემდეგ, ქართული მწერლობა დასავლეთისაკენ იწყებს შემობრუნებას. ეს პროცესი XV საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური და კულტურული ძვრების შედეგად უნდა მივიჩნიოთ: კულტურული ქრონოლოგია ყოველთვის როდი ემთხვევა ისტორიულ ქრონოლოგიას, არამედ ხშირად წინ უსწრებს მას. 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცუმამ და მუსლიმური სამყაროს გაძლიერებამ კარდინალურად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური და გეოკულტურული პანორამა. თუ შუასაუკუნეებში ქართული სახელმწიფოებრიობა და კულტურა დასავლური ქრისტიანული სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, XVI საუკუნიდან ქვეყანამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრის გეოკულტურულ რეგიონში გადაინაცვლა.\*\* ქართული მწერლობა ორ დინებას შორის აღმოჩნდა მოქცეული: ერთი მხრივ – აღმოსავლეთი, „შეჩვეული ახალი რეალობა“, მისი ესთეტიკური პრინციპებითა და ლიტერატურული კანონებით, მეორე მხრივ კი – დასავლეთი, ერთხელ უკვე დაძლეული გამოცდილება, მისი კონცეპტებით, რელიგიური ტრადიციებითა და პოეტიკური სიახლეებით. განსხვავებულ კულტურულ და ლიტერატურულ დინებათა გზაშესაყარზე მდგომი ქართული მწერლობა თანაბრად ჩაერთო როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კულტურულ რეალობაში, რასაც შედეგად მოჰყვა ლიტერატურული ტენდენციე-

\* წერილის ვრცელი ვერსია იხ. ირმა რატიანის წიგნში „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“. -თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, გვ. 74-98.

\*\* ამის შესახებ იხ. ზ. ფირალიშვილი, „ქართული კალეიდოსკოპი“, 2015, გვ. 11-57.

ბისა და გემოვნების სიჭრელე, კონცეპტების, გავლენებისა და პარალელების სიუხვე, სტილისტური ხერხების, უანრებისა და პოეტიკური ფორმების მრავალფეროვნება.

აღნიშნული პერიოდის ქართული ლიტერატურა თითქოს გახსნილ კულტურულ სივრცეს წარმოადგენს: ერთი მხრივ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული ეპოსის სხვადასხვა ნიმუშების პირდაპირ ქართულ თარგმანებსა და, რიგ შემთხვევებში, მათი გავლენითა და მიბაძვით შექმნილ ორიგინალურ ვერსიებს, მეორე მხრივ კი იგრძნობა გენეტიკური შიმშილი დასავლური კულტურისადმი. XV-XVI საუკუნის ქართველი ავტორების გატაცებას სპარსული ეპოსით მკვლევარები სხვადასხვა მიზეზით ხსნიან, კერძოდ: სპარსული ტექსტების რაინდული სულისკვეთებისა და პათო-სის გადამდები ეფექტით (ივ. ჯავახიშვილი), ქართველი ინტე-ლიგნციის „ფარული დაპირისპირებით“ ეკლესიასთან (გ. ლობ-ჟანიძე), აგრეთვე, გაფართოებული ლიტერატურული გემოვ-ნების არეალით (გ. ლობჟანიძე). თუ აქ ჩამოთვლილ მიზეზებს დავამატებთ იმ აუცილებელ მიზეზსაც, რომ ამ პერიოდის ქართული რეალობა პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალ-საზრისით ძალიან იყო დამოკიდებული სწორედ სპარსულ რეალობაზე, სპარსული კულტურის ექსპანსია საქართველოში ლოგიკურ ხასიათს იძენს. ამ ფონზე გასაკვირი არაა, რომ ქარ-თული მწერლობა სპარსული ლიტერატურისათვის ნიშანდობ-ლივ არაერთ მახასიათებელს ითვისებს, მათ შორის, გიორგი ლობჟანიძის დაკვირვებით, გამოიყოფა: სიუჟეტური ანალო-გიები, მხატვრული უნივერსალიების განმეორებითობა და მიღრეკილება „მრავალპლანიანი მეტაფორა-შედარებებით სტილის მოჩუქურთმებისაკენ“ (ლობჟანიძე 2012). განსაკუთ-რებულ აღმავლობას განიცდის სპარსული ტექსტების ქართუ-ლად „გადმოლება“, თუმცალა, სავსებით ვიზიარებთ საყოველ-თაოდ მიღებულ აზრს, რომ ქართული მწერლობა შემოქმედე-ბითად უდგებოდა „სხვა კულტურის“ ადაპტირების საკითხს: „გადმოლება უცხო თხზულებისა არ იყო მექანიკური ალემის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადამუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა. ქარ-

თველთა შემოქმედებითმა გენიამ შეძლო ნათარგმნი ლიტერატურის ასიმილირება, თავის საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადახარშვა და გადადნობა მისი ეროვნული საქმიანობის პრძმედში” (კეკელიძე 1951; ლობჟანიძე 2012: 63). სპარსული ეპოსის ძეგლები თანდათან იპყრობენ ქართულ ლიტერატურულ სივრცეს, მაგრამ აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს ქართული კულტურის რეზისტენსულობა და ქართული კულტურული და ლიტერატურული ცნობიერების სპეციფიკა: მიუხედავად აღმოსავლური პოეტიკის შესამჩნევი ზეგავლენისა, დასავლური პოეტიკა, როგორც ქართული ქრისტიანული მწერლობის საწყისი და პირველწყარო, ძლიერი გენეტიკური მეხსიერების დონეზე განაგრძობს არსებობას, რათა, პირველივე შესაძლებლობისას, კვლავ ამოტივტივდეს ზედაპირზე. და მართლაც, სულ მალე, თვალსაჩინო ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწები ააღმორდინებენ დასავლურ ესთეტიკაზე ორიენტირებულ ლიტერატურას, განპირობებულს ევროპული განმანათლებლობისა და კლასიციზმის კანონებით. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ქართველ მეფეთა – თეიმურაზის, ვახტანგისა და არჩილის, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და ბესიკ გაბაშვილის (ბესიკის) მოღვაწეობა.

თუ თეიმურაზის, ვახტანგისა და არჩილის პოეზია აშკარად განიცდის აღმოსავლური ლიტერატურული კანონის ზეგავლენას, სულხან-საბა ორბელიანი, ეძლევა რა საშუალება გაეცნოს თანამედროვე ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს, მის კვალად ქმნის ევროპული ქანრული სტანდარტების შესაბამის ტექსტებს\*: იგავების კრებულს – „სიბრძნე-სიცრუისა“ (რომელიც ინარჩუნებს კავშირს აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციასთანაც) და მოგზაურობის უანრის ტექსტს – „მოგზაურობა ევროპაში“. ამავე პერიოდში ნიჭიერებით გამორჩეული პოეტის, ბესიკ გაბაშვილის პოეზიაში, მიუხედავად პოეტის კეთილგანწყობისა აღმოსავლური სალექსო ფორმებისადმი, ცხადად შეიგრძნობა სწრაფვა დასავლური სტილისტური ექსპერიმენტებისკენ, კერძოდ კი: აღმოსავლური პოეზიისათვის

\* სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ VI-ის დავალებით, საგანგებო მისით იმოგზაურა ევროპაში.

**ნიშანდობლივი მითოპოეტურობა** ბესიკის პოეზიაში ჩანაცვლებულია დასავლური პოეზიისათვის ნიშანდობლივი ისტორიულ-ყოფითი ნარატივით. ბესიკის თანამედროვის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში კი ევროპული კონცეპტი აშკარა დომინანტაა: გურამიშვილის „დავითიანი“ განმსჭვალულია დასავლური, ქრისტიანული ლიტერატურული მსოფლმხედველობითა და უანრულ-თემატური ტენდენციებით – ისტორიული, დიდაქტიკური და პასტორალური მოტივებით, რითაც სრულიად ბუნებრივად უახლოვდება დასავლური ლექსის სტანდარტს და ენათესავება მას როგორც კონცეპტუალური, ისე სტილური თავალსაზრისით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის მწერლობა არა მარტო დასავლეთისაკენ შემობრუნების ნიშნულად იქცა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, არამედ განაპირობა ქართული ლიტერატურის განვითარების შემდგომი გეზი და მიმართულება. ორბელიანისა და გურამიშვილის შემოქმედება არ შეიძლება განისაზღვროს როგორც კლასიკური ნეო-კლასიციზმის ან განმანათლებლობის ნიმუში, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის ევროპული ლიტერატურული სივრცე უპირატესად სწორედ ამ ორი ესთეტიკის ჭიდლს ეფუძნებოდა. ქართველ მწერალთა შემოქმედება უფრო სინთეზური ხასიათისაა. მიდრეკილებას სინთეზურობისაკენ, შესაძლოა, კომპრომისის ძიების მუდმივი ისტორიული ჩვევა განაპირობებდა, თუმცადა, მეტადრე სავარაუდოდ სხვა მოტივაცია გვეჩვენება: XVI-XVII საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში უკვე მოქმედებდა ნეოკლასიციზმისა და განმანათლებლობის სინთეზური მოდელი – ე.წ. „განმანათლებლური კლასიციზმი“, დაფუძნებული უდიდესი მოაზროვნებისა და მწერლების – სიდნეის, დრაიდენის, ჯონსონის, ბურკეს, ვინკელმანის, ლესინგის, შილდერის თეორიებზე, რაც გაცილებით უკეთ ერგებოდა ჰუმანისტური სულისკვეთების მატარებელ ქართულ კულტურულ და ლიტერატურულ ტრადიციას, ვიდრე საფრანგეთში ჩამოყალიბებული ნორმატიული ლიტერატურული მიმდინარეობა, იმთავითვე განწირული წინააღმდეგობრივი არსებობისათვის.

## კლასიციზმი ფრანგულ ლიტერატურაში

ევროპული, უპირატესად ფრანგული, კლასიციზმის ძირითადი ტენდენციები ბევრად განსაზღვრა ნიკოლა ბუალოს ტრაქტატიმა „L’art poétique“, სადაც ფრანგი კლასიცისტის მიერ სრულიად ცხადად და გარკვევით იქნა ჩამოყალიბებული ლიტერატურისათვის მოსარგები სქემატური თეორია. ბუალო დაუბრუნდა პოეტიკის კლასიკურ (ანტიკურ) კონცეფციას და პრინციპულად დასვა ჟანრთა კლასიკური იერარქიის აღორძინების საკითხი\*. თავად ნეოკლასიკური პერიოდის ლიტერატურული მიმდინარეობის დასახელებაც – „კლასიციზმი“ – მიუთითებდა ნეოკლასიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესებზე კლასიკური პერიოდის ლიტერატურული და პოეტიკური ტრადიციებისადმი. ფრანგული კლასიციზმის უმთავრეს მახასიათებლებს წარმოადგენდა:

- მიბაძვა კლასიკური პერიოდის ლიტერატურული კანონებისადმი;
- უკიდურესი რაციონალიზმი, კეთილგონივრულისა და დიდაჭტილიკურის პრიმატი;
- ლიტერატურის მიბაძვის ობიექტის ანუ ასახვის არეალის მაქსიმალური შეზღუდულობა;
- სალიტერატურო ენის დიფერენციაცია;
- დროის, სივრცისა და მოქმედების (სამთა) ერთიანობის პრინციპის დაცვა.

მიბაძვა კლასიკური პერიოდის ლიტერატურული კანონებისადმი გამოიხატებოდა, პირველ ყოვლისა, კლასიკურ ეპოქაში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების მაქსიმალურ იდეალიზებაში: კლასიცისტები თვლიდნენ, რომ თანამედროვე ეპოქაში შექმნილი ნაწარმოების მხატვრული ფორმა უნდა შეესატყვისებოდეს ანტიკური პერიოდის ლიტერატურულ პრინციპებსა და ნორმებს, ამასთან, ტექსტებში სასურველად მიიჩნევდნენ იმ ისტორიული მოვლენების აღნერას ნაწარმოებში, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ძველ საბერძნეთსა ან რომში.

\* ანტიკურ ეპოქაში ჟანრთა კლასიფიკაციისა და იერარქიის საკითხი განხილული იყო არისტოტელეს თხზულებაში – „პოეტიკა“.

მიბაძვას კლასიკური პოეტიკური კანონებისადმი გამოხატავდა, აგრეთვე, კლასიცისტების დამოკიდებულებას პოეტიკური პრინციპებისადმი, კერძოდ, ლიტერატურის ჟანრული კლასიფიკაციისადმი: კლასიციზმი მთლიანად იზიარებდა კლასიკური ჟანრული ტრიადის (ეპოსი, ლირიკა, დრამა – ი.რ.) გამოყოფისა და განმარტების ტენდენციას.

კლასიციზმის პოეტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად უკიდურესი რაციონალიზმი იქცა. საგრძნობი იყო რენე დეკარტეს ფილოსოფიის დიდი ზეგავლენა. როგორც მოგვიანებით შენიშვნავდა ტომას ელიოტი, კლასიციზმის ეპოქაში მოხდა ე.წ. „უმაღლესი სინთეზის“, ანუ „მსოფლშეგრძნებითი მთლიანობის“ რღვევა, კერძოდ კი, დაირღვა ლიტერატურისათვის აუცილებელი ის რაციონალური და ემოციური მთლიანობა თუ ბალანსი, რომელიც მანამდე შენარჩუნებული იყო ყველა ლიტერატურულ ეპოქაში. ელიოტის აზრით, მსოფლშეგრძნებითი მთლიანობის რღვევა XVII საუკუნიდან უკურნებელი სენივით მოედო ევროპულ პოეზიას; თუ რენესანსისა და გვიანი რენესანსის ეპოქის პოეტები მონდომებულად ინარჩუნებდნენ ინტელექტუალურ და ემოციურ ბალანსს, – თვლის ელიოტი, – XVII საუკუნიდან მოყოლებული, ეს კლასიკური წონასწორობა რღვევის გზას ადგება: XVII საუკუნეში, კლასიციზმის ეპოქაში, სასწორი რაციონალიზმის მხარეს იხრება, XVIII-XIX საუკუნეებში კი, – სენტიმენტალიზმისა და რომანტიზმის ეპოქებში, – იმპულსური ემოციურობის მხარეს. ორივე შემთხვევაში, ელიოტის აზრით, დაზარალებულ მხარეს პოეზია წარმოადგენდა: რაციონალიზმი „სტერილური პრაგმატიზმით“ მსჭვალავს მას, ემოციურობა კი – „ირონიული მელანქოლიზმით“, წუხდა ელიოტი.

კლასიციზმის ეპოქაში მაქსიმალურად შეიზღუდა ლიტერატურული ასახვის არეალიც: მიბაძეთ სასახლეს და შეისწავლეთ ქალაქი, – აცხადებდა ბუალო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიტერატურული ინტერესის უმთავრეს ობიექტებად იქცნენ, ერთი მხრივ, მეფე თავისი სასახლითა და არისტოკრატით, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქი და ბურუუაზია. ლიტერატურული ასახვის არეალის შეზღუდვის კვალდაკვალ, განხორციელდა ასახვის საშუალების ანუ **სალიტერატურო**

**ენის დიფერენციაციაც:** ენა დაიყო „მაღალი“ და „დაბალი“ სტილის ენებად, სადაც თითოეულს თავისი უანრული შესაბამისობა („მაღალი“ და „დაბალი“ უანრები) ჰქონდა და თავისი მკითხველი (საზოგადოების „მაღალი“ და „დაბალი“ ფენები) გააჩნდა. დაბოლოს, „**სამთა ერთიანობის**“ პრინციპმა ქრონოტოპულ (დრო-სივრცულ) ჩარჩოში მოაქცია ლიტერატურული ასახვის პროცესი: ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა უკიდურესად ამცირებდა პოეტური ფანტაზიის განვრცობის მასშტაბს.

ამ პოეტიკური კანონების შედეგად, ლიტერატურამ მიიღო დიდაქტიკური, მკვეთრად ლოგიკური, რაციონალური ხასიათი, ხოლო სალიტერატურო უანრები გაიმიჯნა ერთმანეთისგან სტატუსის, ენობრივი მოდელისა და მკითხველის ნიშნით. „კლასიციზმის თეორია, უპირველესად ყოვლისა, ემყარება უანრების აბსულუტური სხვაობის (ურთიერთისაგან გამიჯვნის) გაგებას. იგი რეალური სინამდვილის რთული და მრავალფეროვანი მოვლენების წარმოსახვას მოითხოვს არა მთლიანობაში, არამედ ერთმანეთისაგან გათიშულად“ (ლომიძე 1969: 14).

მაგრამ, კლასიციზმის პრაგმატული და ხისტი ლიტერატურული წესების ფონზე, რომლებიც ესადაგებოდა აბსოლუტიზმის ეპოქის მსოფლმხედველობასა და ამართლებდა ევროპელი მონარქების მოლოდინს, დოქტრინის გაბატონებისთანავე, შეიმჩნეოდა ე.ნ. „გამონაკლისები“ – კონცეპტუალური და სტილისტური გადახვევები, რომლებიც განპირობებული იყო ცალკეული ავტორების სითამამითა და შემოქმედებითი პრინციპულობით. მიუხედავად იმისა, რომ კლასიციზმი ღიად ქადაგებდა ერთგულებას ანტიკური კანონებისადმი, უპირატესობას ანიჭებდა ლოგიკურისა და ზნეობრივის, „ბუნებრივისა“ და „ეეთილგონივრულის“ პრიმატს, ამკიდრებდა „სამთა ერთიანობის“ კანონს, ახდენდა უანრებისა და სალიტერატურო ენის დიფერენცირებას, ის თავის თავშივე მოიცავდა წინააღმდეგობრივ პროცესებს: კერძოდ, ნეოკლასიციზმის, როგორც ხელოვნურად შექმნილი პოეტიკური სისტემის\* ლიტერატურუ-

\* რენესამსის კონცეპტუალური და გამომსახველობითი თავისუფლების წინააღმდეგ.

ლი კანონის მოქმედების არეალი ერთდროულად საყოველთაოც იყო და ინდივიდუალურიც, კერძოდ:

• ის მოუწოდებდა ავტორებს, ენერათ კონკრეტული პო-ეტიკური კანონების ფარგლებში;

• ავტორები, რომელებიც, ერთი მხრივ, ემხრობოდნენ ამ კანონებს, მეორე მხრივ, საკუთარი ტალანტისა და შემოქმე-დებითი ინდივიდუალობის წყალობით, უკუ-ზეგავლენას ახ-დენდენ მათზე;

• ნეოკლასიკური პოეტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა საფ-რანგეთში, ინერგებოდა და ვითარდებოდა თითქმის ყველა ლი-ტერატურულად დაწინაურებულ ევროპულ ქვეყანაში, თუმ-ცალა, თითქმის ყველგან – მნიშვნელოვანი კორექტივებით.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, პირველ ყოვლისა, კრიტიკულად უნდა გადაისინჯოს კლასიციზმის თეორიის ავტო-რის – ნიკოლა ბუალოს შეხედულებები: „შეესაბამება კი ბუალოს სამსაუკუნოვანი რეპუტაცია რეალობას“? ვინ არის ბუალო? „სამეფო კარის ფავორიტი პოეტი“, „პედანტი“ და „ცილისმწამე-ბელი“ თუ „კლასიციზმის თეორეტიკოსი“ და „სპიკერი“, „ახალი პოეტიკური კანონების ინიციატორი? აანალიზებს რა ნიკოლა ბუალოს პიროვნების ამ წინააღმდეგობრივ შეფასებებს, გორ-დონ პოკოკი აღნიშნავს, რომ ბუალომ XVII საუკუნეში შექმნა ახალი ლიტერატურული დოქტრინა და პოეტიკური ნორმები, დაადგინა წერის ტექნოლოგიები, მაგრამ მისი სამიზნე მხოლოდ მექანიზმის ცვლილება როდი იყო, არამედ – ახალი ესთეტიკური და ზნეობრივი ნორმების შემუშავება. ბუალოს თეორიას, გარ-და ახალი ლიტერატურული კანონის შექმნის პრეტენზიისა, დამცავი ფუნქციაც ჰქონდა: ბუალო საფრანგეთის მოქალაქეთა იმ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელსაც ეამაყებოდა აბსოლუტიზმის ეპოქის საზოგადოების მიღწევები უნივერსალური ნორმების შემუშავების მიმართულებით. მას მიაჩნდა, რომ ნორმებისა და კანონების სისტემა შექმნიდა შესაბამის ემოციურ კონტექსტს, სადაც მკითხველს კარგი, შეურეველი, „სუფთა წყლის“ პოეზი-ის აღმოჩენის შესაძლებლობა მიეცემოდა. პოკოკი აღნიშნავს,

\* ცნობილია, რომანტიკოსები მას ლიტერატურული ხედვის დავიწრებასა და „ლიტერატურის ყავარჯინებზე დაყენებაში“ სდებდნენ ბრალს (შლეგელები).

რომ ბუალოს ხელოვნება, მიუხედავად იმისა, რომ ეფუძნებოდა კლასიციზმის დოქტრინის ახალ კანონებს, სხვა გარემოებებსაც ითვალისწინებდა, მაგალითად იმას, რომ ესთეტიკური პასუხ-ისმგებლობა ყოველთვის განპირობებული უნდა იყოს მთელი რიგი ინტელექტუალური და სოციალური ფაქტორებით; სო-ციალური, ინტელექტუალური და ესთეტიკური მოდელები ერთ მთლიანობას უნდა შეადგენდეს, რათა კულტურამ განიცადოს აღმავლობა და წინსვლა და სხვ. (პოკოვი 1980). თავად ბუალოს შემოქმედებაც (ოდები, სატირები), რომელიც მკითხველს აღქ-მის (რეცეფციის) გარკვეულ ჩარჩოს სთავაზობს, იქვე, ავტორის მაღალი ირონიის წყალობით, ამ რეცეფციის გადასინჯვის გზა-საც ტოვებს. სწორედ ამიტომაა ცოცხალი ბუალოს ტექსტები და დღესაც ინტერესით იკითხება – იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავად ნიკოლა ბუალო ვერ თავსდებოდა მის მიერვე შექმნილი კანონების სტანდარტებში, რომ აღარაფერი ვთქვათ პიერ კორ-ნელის, უაკ რასინის, უან ბატისტ მოლიერისა და სხვა თვალსაჩი-ნო ფრანგი მწერლების შესახებ.

გენიალური ავტორები არიან და უნდა იყონ მეამბოხენი – ეს ცნობილი თეზაა, რომელსაც დრო და ისტორია ადასტურებს. კლასიციზმის ეპოქის გენიოსებიც, თუმცალა იზიარებდნენ მათი საზოგადოების მიერ გამომუშავებულ ნორმათა სისტემას, ვერ თავსდებოდნენ დადგენილ საზღვრებში: ემოციებისა და აზ-როვნების დიაპაზონი, რომელიც „დიადი ტექსტების“ წერას ესაჭიროებოდა, საშუალებას არ აძლევდა კორნელის, რასინის, მოლიერს ან ლა ფონტენს დაუფიქრებლად მიეღოთ გაბატონე-ბული წესები – შემოქმედებითი პროცესი სრულად ავსებდა დადგენილ პოეტიკურ ნორმებსა და წარმოსახვის თავისუფლე-ბას შორის დარჩენილ ნაპრალებს. შემოქმედებითი პროცესის „თვითნებობა“ კლასიციზმის თეორეტიკოსების მიერ დაშვებუ-ლი იმ შეცდომების შედეგი იყო, რომლებზეც ზემოთ ვიასუბრეთ და რომლებზეც სამართლიანად მიუთითებს ალასთეირ ფოულე-რი: „პირველ ყოვლისა, მათ მკაცრად ჰქონდათ განსაზღვრული ჟანრის წესები. ახალი ტიპის ტექსტები ან იძულებით ემორჩი-ლებოდნენ ძველ წესებს, ანაც წარმოადგენდნენ მათ ღირსეულ დამატებებს, მცირე გადახვევებს არსებულ კრიტერიუმებიდან.“

მეორე დიდი შეცდომა უანრის ნეოკლასიკური თეორიისა გახდათ უანრის ვიწრო და ლოკალური გაგების გენერალიზაცია (განზოგადება – ი.რ.). ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბებული უანრული ფორმები ხელოვნურად ასიმილირდებოდა (შთანთქავდა – ი.რ.) კლასიციზმის ეპოქისათვის ნიშანდობლივ უანრებთან. ეს კარგი იყო უანრის კლასიკური ფორმების აღორძინებისათვის, მაგრამ დამანგრეველი ახალი უანრული ფორმების განვითარებისთვის“ (ფოულერი 1982: 27-28).

როგორც აღვნიშნეთ, გენიალური ავტორები, რომლებიც, ერთი მხრივ, ემსრობოდნენ ახალ კანონებს, მეორე მხრივ, საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის წყალობით, უკუ-ზეგავლენას ახდენდნენ მათზე. სწორედ ეს გარემოება შეიძლება მივიჩნიოთ ფანგული კლასიციზმის ძლიერ მხარედ: მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნის უკვე დასაწყისიდან საფრანგეთში ფეხს იკიდებს განმანათლებლობა, ის ვერ ანგრევს (თუმცადა არყევს) კლასიციზმის თეორიულ სტაბილურობას, ვინაიდან კლასიციზმი რიშელიესა და რეფორმატორული ეკლესიის ავტორიტარიზმის ნაწილია; განმანათლებლობა ვერც კლასიციზმის მხატვრულ ღირებულებას ანგრევს, რადგან ეს უკანასკნელი აღსავსეა მეამბოხე გენიოსთა შემოქმედებით. მათი კალმის წყალობით ანტიკური ეპოქიდან „გადმობარგებული“ ლიტერატურული უანრები – ტრაგედია, ოდა, იგავ-არაკი, კომედია – ახალ სიცოცხლეს იძენს. კორნელისა და რასინის დრამატურგია ახალი თემებითა და ემოციებით აღავსებს ტრაგედიის უანრს: წინაპლანზე გამოდის პიროვნული და მოქალაქეობრივი ვალდებულებების შეჯახება, მაკიაველური სულისკვეთების\* გამოხატვა, ადამიანური ემოციებისა და ვწებების დემონსტრირება (სიყვარული, ეჭვიანობა, სექსუალური ლტოლვა), ანარქიის მოლოდინი გამყარებული დისციპლინის ჩარჩოებში; ლა ფონტენის ალეგორიულ და სიმბოლიკით დატვირთულ იგავ-არაკებში უკიდურესი დაძაბულობა შეიგრძნობა სოციალურ ფასადსა და რეალურ მდგომარეობას შორის, მოლიერის თეატრალურ ნილბებს მიღმა კი ვნებები ბობიქრობს: ნიღაბს ამოფარებული მწერალი არნახულ

\* ნიკოლა მაკიაველი – რენესანსის ეპოქის მოაზროვნე, ავტორი გახმაურებული წიგნისა „მთავარი“.

თავისუფლებას გრძნობს – ვიზუალური ეფექტის გამოყენებით, მორგებულად მოძრაობს რეალურსა და გამონაგონს შორის, ამნვავებს მათ მხატვრულ დაპირისპირებას, შრეობრივად ანანილებს და ართულებს ხასიათებს, აღნევს გონივრულისა და ინსტინქტურის უკიდურეს ანტაგონიზმს, არნახულად ცოცხალს, ენერგიულს, ორდინარულსა და, ხშირად, ფამილარულსაც კი ხდის მხატვრულ მეტყველებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სამართლიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ფრანგული კლასიციზმის წიაღში შექმნილ ღირებულ (ე.წ. „დიად“) ტექსტებში „გონება“ უფრო ინსტრუმენტია, ვიდრე საფუძველი, უფრო რაციონალიზაციაა, ვიდრე რაციონალიზმი. რენე ბრეის აზრით, თუნდაც ცალკეული მწერლების შემოქმედებითი სითამამე ადასტურებს, რომ კლასიციზმი სულაც არ იყო ისეთი სრულყოფილი, როგორადაც მოჩანდა: თეორია ხშირად ფურცელზე რჩებოდა, პრაქტიკული საქმიანობა კი სხვა გეზით მიემართებოდა – ავტორებს მეტი აქცენტების დასმა შეეძლოთ ცალკეულ პრობლემებზე, ვიდრე წინასწარ შემუშავებულ მორალურ მონოდებებსა და კანონებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო საფრანგეთის სოციალური სიჭრელე, ვინაიდან მწერლობა ყველა დროში ვალდებულია რეაგირება მოახდინოს სოციალურ გამოწვევებზე: „ნესები უფრო ხშირად ერგებოდა თანამედროვე მაყურებლის (მკითხველის – ი.რ.) გემოვნებას, ვიდრე წინასწარ შემუშავებულ ზნეობრივ და რაციონალურ ნორმებს“ (ბრეი 1974: 13).

### ევროპული მწერლობა და განმანათლებლური კლასიციზმი

ამრიგად, ნეოკლასიციზმს ჰქონდა „სისუსტეები“, რომელებსაც „თავის სასარგებლოდ“ იყენებდნენ წამყვანი ფრანგი მწერლები და ქმნიდნენ ღირებულ ლიტერატურას. სწორედ ეს იძლეოდა მეთოდოლოგიურ საფუძველს, რათა ნეოკლასიციზმის ლიტერატურული მიმდინარეობა თამამად, მაგრამ სხვადასხვა კორექტივებით განვითარებულიყო ევროპის მთელ რიგ

მოწინავე ქვეყნებში, ისე, რომ არ დამორჩილებოდა დოქტრინის სტანდარტებს. მით უფრო, რომ კლასიციზმის დოქტრინას საფრანგეთშივე გამოუჩნდა ღირსეული ოპონენტი ვოლტერის სახით. ვოლტერის ფილოსოფიის, ესთეტიკისა და ლიტერატურის წიაღში კლასიციზმის ეპოქის „სახელმწიფოებრივად ორიენტირებულმა და რეგლამენტირებულმა ადამიანმა, იმპერიის წევრმა, რომელიც ეუფლება ხილულ სამყაროს“, თვისებრივი ტრანსფორმაცია განიცადა და გარდაიქმნა „ინიციატივიან, ავანტურულ ადამიანად, რომელიც ცხოვრობს მსნრაფლცვალებად სამყაროში“ (ბორევი 2001: 206). ვოლტერის ესთეტიკა ახლოს იდგა ნეოკლასიციზმის ესთეტიკასთან, თუმცალა აზროვნებისა და შემოქმედების ახალ სტანდარტებს ადგენდა: ხელოვნება განიხილებოდა ზნეობრივი აღზრდის საშუალებად, ტრაგედია კი – კეთილშობილების შემეცნების წყაროდ, სადაც კეთილშობილება მოქმედებით შეიმეცნება და არა დიდაქტიკით. „ვოლტერისეულ ტრაგედიაში კლასიციზმის მოქალაქეობრივმა მოტივებმა ანტიაბსოლუტისტური მიმართულება შეიძინა“ (ბორევი 2001: 206), რამაც შესაძლებელი გახადა „ნესების“ მორიგება „მაღალ გემოვნებასთან“ და, გარკვეულწილად, განსაზღვრა განმანათლებლობის ჭეშმარიტი იდეოლოგის, დენი დიდროს ესთეტიკური დაკვირვებანი\*.

ვოლტერის იდეებს გერმანიაში გამოხსმაურა ლესინგი, რომელიც ვინკელმანთან ერთად ახალი ტიპის ესთეტიკური ფორმალიზმის ფუძემდებლად არის მიჩნეული. მათი თეორიის თანახმად, ტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ ნიშნებსა და მოძრაობას, რაც, ლოგიკური მსჯელობების გარდა, აღძრავს გრძნობებსა და ემოციებს. ლესინგის ესთეტიკური შეხედულებანი ჩამოყალიბებულია მის საეტაპო ნაშრომებში

\* დიდრო თვლიდა, რომ ხელოვნება მოწოდებულია, აღზარდოს ადამიანი მოქალაქეობრივი კეთილშობილების სულისკვეთებით და გაუღვივოს სიძულვილი ცოდვისადმი“. დიდროს ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ადამიანის მერ „მაღალ იდეალების“ შემუშავების აუცილებლობამ, რაც, თავის მხრივ, უნდა ასახს ხელოვნებას. თუმცად, დიდროსავე აზრით, არცერთ ხელოვნებას არ ძალუს იყოს უფრო სრულყოფილი, ვიდრე არის ბუნება: ბუნება უფრო მაღალია ვიდრე ხელოვნება, ის პირველყარი და ხელოვანი უძლურია, შექმნას ორიგინალზე უკეთესი ასლი. ხელოვანი უნდა აკვირდებოდეს ბუნებას, როგორც თავისი შემოქმედების წყაროს (დიდრო 1935-1947: 544).

„ჰამბურგის დრამატურგია“ და „ლაოკონი“. საიმონ რიხტერის მართებული შენიშვნით, „ლესინგი იყო პირველი, ვინც შეძლო აეცრემლებინა გერმანელი მაყურებელი არისტოტელესეულ პროპორციებზე გაწყობილი ბურჟუაზიული ტრაგედიების მეშვეობით“ (რიხტერი 2005: 441). მან შექმნა გერმანული ნაციონალური თეატრი, დაშორებული ფრანგული ნეოკლასიციზმის ზეგავლენისგან. არისტოტელეანური და ნეოკლასიცისტური „შიში“ და „სიბრალული“ ლესინგმა „თანაგრძნობით“ (Sympathy) შეარჩილა და დაამკვიდრა „თანაგრძნობის ეთიკის“ ცნება, რომელიც აქტიურად იქნა გამოყენებული განმანათლებლობის (დიდრო, სვიფტი), სენტიმენტალიზმისა (რუსო) და რომანტიზმის (ჰიუგო) ეპოქის ესთეტიკაში.

გერმანიაშივე, ნეოკლასიციზმის რეცეფციის ინდივიდუალური ვერსიები დაამკვიდრეს გოეთემ და შილერმა ვაიმარული კლასიციზმის პერიოდში. პათოსი, რომლითაც დაწერილია გოეთესა და შილერის შრომები, შეიძლება განისაზღვროს როგორც „მაძიებელი პათოსი“, ანუ დაუოკებელი სურვილი ახალი ლიტერატურული ფორმების ძიებისა ნეოკლასიციზმის მიერ შემოთავაზებულ ჩარჩოებს მიღმა. მიმოიხილავს რა ამ ეპოქის გერმანულ ესთეტიკასა და დრამას, წიგნში „ტრაგედიის სიკვდილი“ გეორგ შტაინერი აღნიშნავს, რომ შილერი სწორედ ის ავტორი იყო, რომელიც ეძიებდა ტრაგედიის ჭეშმარიტ ფორმას, შესაფერისს რაციონალური, ოპტიმისტური და, ამავე დროს, სენტიმენტალური პოსტ-პასკალიანელი ადამიანისათვის\*. ეძიებდა და პოულობდა: შტაინერის აზრით, შილერმა შეძლო კრიზისის გადალახვა არა მარტო ხასიათებისა და იდეალების, არამედ – ეპოქებისა და მიჯნების ავთენტურ კონფლიქტში: „დონ კარლოსი, უოლენსტეინს ტოდი, და, რასაკვირველია, მარია სტიუარტი ტრაგედიის სამყაროს განეკუთვნებიან. ვალიარებ, რომ რომანტიზმი ანტიტრაგიკული მოვლენა იყო, მაგრამ რომანტიზმის ეპოქა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ბეთჰოვენის სულისკვეთებას“ (შტაინერი 1961: 185). შილერი მართლაც იდგა კლასიცისტურ-განმანათლებლური და რომანტიკული ესთე-

\* შტაინერს დაბეჭითებით მიაჩნდა, რომ გოეთეს „ფაუსტი“ უფრო „დიადი“ მელოდრამა იყო, ვიდრე ტრაგედია (შტაინერი 1961: 135).

ტიკის გზაშესაყარზე: ხელოვნება მისთვის ზნეობრივი და გონებრივი განათლების სფეროა, არა გარეგანი, არამედ შინაგანი ტენდენცია, რომელიც წარმოადგენს უმოკლეს გზას თავისუფლებისაკენ: ბუნების მონა ადამიანი ბუნების კანონმდებელად იქცევა, ვინაიდან ძალუძს მისი გააზრება; თუკი აქამდე ბუნება იყო მპრძანებელი, ახლა ის ადამიანის შესწავლისა და დაკვირვების ობიექტია.\*

ფრანგული ნეოკლასიციზმის დოქტრინა არც ინგლისურ ლიტერატურულ წრეებს მიუღიათ სუფთა სახით: XVI-XVII საუკუნეების ინგლისში ნამდვილი ომი გაჩაღდა პოეზიის იმ მოდელის წინააღმდეგ, რომელიც პურიტანობის წიაღიდან მომდინარეობდა და მხარს უჭერდა ფრანგულ კლასიციზმს. ასე მაგალითად, მწვავე კრიტიკა ხვდა წილად ალექსანდერ პოუპს, რომელიც კლასიციზმის ფრანგული მოდელის გულშემატკივრად მიიჩნეოდა. მისი მთავარი შრომა – „ესე კრიტიკის შესახებ“ – არაერთგვაროვნად იქნა მიღებული მისივე თანამედროვე ინგლისური საზოგადოების მიერ. ზოგიერთი თვლიდა, რომ პოუპი ძალიან „ბევრს რასმეს“ ესეს სხებოდა ანტიკური ეპოქის მოაზროვნებს, ზოგსაც მიაჩნდა, რომ ის ფრანგული კლასიციზმის მიმდევარი იყო და ცდილობდა, თავს მოეხვია ეს კანონები ინგლისელი მწერლებისათვის. თუმცალა, XXI საუკუნის კრიტიკოსების აზრით, პოუპის შრომა ზედმეტად რადიკალურად იქნა შეფასებული მისი თანამედროვე კრიტიკის მიერ: XVII საუკუნის ინგლისში ნეოკლასიციზმი არ ყოფილა მიღებული მისი პირვანდელი ფორმით, არამედ – მნიშვნელოვანი კორექტივებითა და ჩასწორებებით; პოუპის შრომაც „უკიდურესობათა“ და „გადახვევათა“ ჰარმონიზების მცდელობას წარმოადგენდა, რაც, ერთი მხრივ, წარმოაჩნდა ავტორის კეთილგანწყობას კლასიციზმის პოეტიკური ნორმებისადმი, მეორე მხრივ კი, ასაბუთებდა ნორმებიდან გადახვევის ესთეტიკურ აუცილებლობასა და შესაძლებლობებს. ამავე პერიოდში ინგლისური ესთეტიკური აზრის სხვა წარმომადგენლებმაც – დრაიდენი, ჯონ-სონი, ბურკე – მოსინჯეს კალამი.

\* აქ საგანგებო აღნიშვნის ლირსია იოანე ბაგრატიონის თხზულება „კალმასობა“, რომელიც 1813-1828 წლებში დაწენერა და რომლის ავტორიც აშკარად დგას განმანათლებლური კლასიციზმისა და რომანტიკული ესთეტიკის გზაჯვარედინზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯონ დრა-იდენის ნაშრომი „ესეები დრამატული პოეზიის შესახებ“, რომე-ლიც, ა. ფოულერის აზრით, „გამოირჩა შეგნებული პათოსით, დაეცვა ლიტერატურა არსებული წესებისაგან“ (ფოულერი 1982: 27). დრაიდენი, რომლის ავტორიტეტიც ძალზედ მაღალი იყო ინგლისურ ლიტერატურულ წრეებში, არა მარტო აღნერდა ლიტერატურულ ფორმებს მათი დაკანონებული ნორმების ფარ-გლებში, არამედ ეძიებდა კონკრეტული ტიპის ტექსტისათვის მიზანშეწონილ ინდივიდუალურ წესებს ანუ აფასებდა ნაწარ-მოებს არსებულ ნორმებს მიღმა. დრაიდენი კონცეპტუალურად ენათესავებოდა ბენ ჯონსონს, რომელიც, თავის მხრივ, მოუ-წოდებდა კრიტიკოსებს, მეტი მასშტაბურობით გაეაზრებინათ ლიტერატურული უანრების სპეციფიკა. მიუხედავად იმისა, რომ დრაიდენი მისდევდა ნეოკლასიციზმის მიერ დაწესებულ ლირატურულ კანონს, შერმანის აზრით, ის „მოულოდნელი შემობრუნებების დიდოსტატია“ (შერმანი 2004: 16); გაორე-ბები, სატირული წიაღსვლები, მწვავე დიალოგები თან გას-დევს დრაიდენის მრავალფეროვან და მასშტაბურ ლიტერატუ-რულ მემკვიდრეობას, შექმნილს ასეთსავე მრავალფეროვან და ისტორიულად არამდგრად ეპოქაში. დრაიდენის ტექსტების (უპირატესად, დრამებისა და სატირების) პათოსი მიზანმიმარ-თულადაა განზავებული მაშინდელი ინგლისის პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან – „განახლების შემდგომ არავის ჩაუდია ამდენი ზიზლი თავის პამფლეტებში, პაროდიებსა თუ დრამებში, რამდენიც მან ჩადო“ (შერმანი 2004: 18). დრაიდენმა ახალი სუნთქვა შესძინა ნეოკლასიკურ უანრებს, მაგრამ, რაც არსებითია, ლიტერატურა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მისეული მოდელის შესაქმენლად გამოიყენა: დრაიდენი ინგლი-სური და ევროპული განმანათლებლური კლასიციზმის იდეო-ლოგია, რომლის შემოქმედებაც ადასტურებს, რომ ნორმატი-ულ სისტემაზე აგებულ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებ-შიც კი შესაძლებელია ახალი ნაციონალური იდენტობის შემო-ტანა და დამკვიდრება. ამგვარი მოღვაწეობა მას არა მარტო საკუთარ ლიტერატურულ კრედოდ მიაჩნდა, არამედ – მისი დროის მკითხველებისათვის ესთეტიკური ტკბობის მინიჭების ერთად-

ერთ სწორ გზად: „ვაღიარებ, – წერს იგი, – რომ ჩემი მთავარი სურვილია, ტკბობა მივანიჭო ეპოქას, რომელშიც ვცხოვრობ“ (დრაიდენი 1974: 36).

განმანათლებლური კლასიციზმი წარმოადგენდა შუალედურ, სინთეზურ, ერთგვარ გარდამავალ ლიტერატურულ ფორმას კლასიციზმისა და განმანათლებლობის ესთეტიკურ მოდელებს შორის. ის იყო მემკვიდრე კლასიციზმისა და წინამორბედი განმანათლებლობისა – მის წიაღში აბსოლუტიზმის პათოსით შედუღაბებული საზოგადოება ახლადფეხადგმული ბურუჟუაზიისა და კონსერვატორული არისტოკრატიის დაპირისპირების ველად გადაიქცა. კლასიციზმის ეპოქის „რეგლამენტირებული მორჩილი“ გონივრული პოლიტიკის ფარგლებში მიღწეული „თავისუფლების მომხრე მოქალაქებ“ ჩაანაცვლა, ხოლო ლიტერატურული ჟანრების მყარი და იერარქიული სისტემა – ლიტერატურული ჟანრების უჩვეულო მოქნილობამ, გამოწვეულმა საზოგადოებრივი და სოციალური ყოფის სწრაფი ცვალებადობით.

## განმანათლებლური კლასიციზმის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში

სწორედ ასეთ გარდამავალ, სინთეზურ ხანაში იწყებს შემობრუნებას ქართული პოლიტიკური რეალობა ევროპისაკენ, ხოლო ქართული ლიტერატურა – დასავლური ლიტერატურული პროცესებისაკენ. დასავლურ ყაიდაზე გამართული თეორიული და ლიტერატურული ნოვაციების დამკვიდრების თვალსაზრისით, გადამწყვეტ როლს თამაშობს ქართველი მეფე-პოეტების, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ I კათალიკოსის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ბესიკ გაბაშვილის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ამ ადამიანებმა ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ნაკლებად წაკითხულ ეპოქაში იცხოვრეს. ეს იყო დრო ახალი ქართული

იდენტობის და კულტურული სტრატეგიების ფორმირებისა, ქართლი კულტურის ჩაბრენებისა დასავლურ კულტურაში, რომლის ფონზეც ძირებულ გარდაქმნას იწყებდა ქართული ლიტერატურული პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნეში შექმნილი თეორიული ტრაქტატები – ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“ და მამუკა ბარათაშვილის „ჭამნიკი“, – თავიანთი არსითა და სტრუქტურით სქოლასტიკურ-დიდაქტიკურ ხასიათს ატარებდა, ისინი სავსებით ესადაგებოდა ევროპული კლასიციზის ატმოსფეროს („სამი შტილის თეორია“, „დაბალი და მაღალი შტილი“ და სხვ.). ამ ტიპის ნაშრომების უკვე შექმნა იყო და არის დასტური ქართული სააზროვნო სივრცის შემობრუნებისა დასავლური პოეტიკისაკენ, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედება კი თვალნათლივ წარმოაჩენს ქართული მწერლობის არამარტო შემოქმედებით სწრაფვას დასავლური ლიტერატურული პრინციპებისადმი, არამედ დრაიდენისეულ პათოსს, რომ ნორმატიულ სისტემაზე აგებულ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებშიც კი შესაძლებელია ახალი ნაციონალური იდენტობის შემოტანა და დამკვიდრება.

სულხან-საბა ორბელიანმა არა მარტო უერთგულა საკუთარ საზოგადოებრივ პრინციპებს, არამედ ხელი შეუწყო მთელი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებას საკმაოდ წინააღმდეგობრივ ეპოქაში; მან არა მარტო იმოგზაურა ევროპაში, არამედ მოახდინა ევროპეისტული აზროვნების გადაარჩენილი ფრაგმენტების თავმოყრა და აღდგენა საქართველოში; აღმოსავლური კულტურული მოდელისადმი კეთილგანწყობილ ქართულ სააზროვნო და ლიტერატურულ სივრცეს სულხან-საბა დამაჯვერებლად შესთავაზა ევროპული ნეოკლასიკური და განამანათლებლური კულტურის ტენდენციები. ამის დასტურია ის, რომ: „სიბრძნე-სიცრუისა“, მიუხედავად ავტორის ერთგულებისა რიგი აღმოსავლური მოტივებისადმი, კონცეპტუალური, უანრული და სტილისტური თვალსაზრისით, გვიანი ნეოკლასიციზმისა და ადრიანი განმანათლებლობის დახვენილ ნაზავს წარმოადგენს; „მოგზაურობა ევროპაში“ იქცა არა მარტო კულტურულ-სამეცნიერო, გეოგ-

რაფიულ, ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ-ჟანრულ მოვლენად, არამედ – ინტელექტუალურ ორიენტირად საბას თანამედროვე ევროპულ კულტურაში. მეტიც, საბასეული მოგზაურობის ტექსტმა დასაბამი მისცა ინტერეულტურული კომუნიკაციების ლიტერატურულ ტრადიციას საქართველოში და საფუძველი ჩაუყარა უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან ქართულ სამოგზაურო ნარატივს, რომელმაც შემდგომ ეპოქებში გაგრძელება პპოვა გრიგოლ ორბელიანის („მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“), ილია ჭავჭავაძის („მგზავრის წერილები“), ალექსანდრე ყაზბეგის („ნამწყემსარის მოგონებანი“) და სხვათა შემოქმედებაში. სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ტექსტების, ლექსიკონების, რელიგიური ხასიათის შრომებისა თუ ქადაგებანის ლიტერატურული და სარწმუნოებრივი, ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა არ შემოისაზღვრა მხოლოდ მისი დროით, არამედ შეინარჩუნა აქტუალობა დღესაც. მსგავსი სიცოცხლისუნარიანობა კი სულხან-საბას მიერ ორგანიზებული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი პარადიგმის კონცეპტუალური და სტრატეგიული სიახლის მაჩვენებელია.

რეფორმატორული მისიის თვალსაზრისით, ძალიან ცოტა ქართველი მწერალი და მოაზროვნე თუ შეედრება დავით გურამიშვილს. სწორედ მან, პირველმა, დასძლია ქართულ პოეზიაში აღმოსავლური ეპოსის ზეგავლენა და, ევროპული ლექსის რეფორმატორული ტენდენციების ფონზე, შექმნა ორიგინალური ქართული ლირიკა; დავით გურამიშვილმა დააბრუნა ქართულ ლიტერატურაში ქრისტიანული სიმბოლიკა და სახისმეტყველება, მოახდინა მარგინალურ პოზიციაზე მყოფი ქრისტიანული დისკურსის რეანიმაცია. გურამიშვილი გამოიხმაურა განმანათლებლური კლასიციზმისათვის ნიშანდობლივ ისეთ ესთეტიკურ პრინციპებს, როგორიცაა: ლიტერატურული ტექსტის აქტიური მიმართება ეროვნულ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან, ზომიერი რაციონალიზმისა და დიდაქტიკის დამკვიდრება, ნაციონალური ფოლკლორული მოტივების გააქტიურება. დავით გურამიშვილმა

მშვენიერის, ამაღლებულის, დიადის ესთეტიკით გააჯერა თავისი ლექსი.

რასაკირველია, თამამი ძვრების მიუხედავად, ქართული ლიტერატურული რეალობის სრულად გამოყვანა აღმოსავა-ლური პოეტიკის ზეგავლენისგან არც მარტივი პროცესი იყო და არც ერთჯერადი. მაგრამ ტენდენცია, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებისათვის გამოიკვეთა, ეჭვგარეშეა: ქართული მენტალობა იდენტობის აღმოჩენის ახალ ფაზას უახლოვდებოდა, წამყვანი ქართველი ავტორების შემოქმედებაში კი მეთოდურად ხორციელდებოდა ევროპული კონცეპტის აღდგენა, გამოხატული განმანათლებლური კლასიციზმის მოდელით\*. მიუხედავად იმისა, რომ XVII-XVIII საუკუნეების საქართველო, თავისი ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, აქტიურად ვერ ერთვებოდა ევროპაში გაჩაღებულ კლასიციზმისა და განმანათლებლობის ესთეტიკათა ჭიდილში, ქართულმა ლიტერატურამ (და კულტურამ), შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებშიც კი, მოახდინა ამ ორივე სააზროვნო მოდელის რეფლექსირება. არსებითი მიზეზი ამისა იყო ქართული ლიტერატურის ტრადიციული ან გენეტიკურად ორგანიზებული კულტურული ჩართულობა ევროპულ (დასავლურ) სალიტერატურო სივრცეში. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ საქართველოს ხელახალი ევროპეიზაციის პროცესი უკავშირდება XIX საუკუნიდან ფორმირებულ რუსულ კულტურულ-ლიტერატურულ გავლენებს, საფუძველ-მოკლებულად მიგვაჩნია: რუსული რომანტიზმის გამოცდილებამ მხოლოდ დააჩქარა (და, ამასთან, დააზარალა) რომანტიზმის დასავლური ლიტერატურული სკოლის დამკვიდრება საქართველოში, ვინაიდან ქართული ლიტერატურა უკვე იდგა არჩეულ გზაზე – ეს იყო გზა ევროპისაკენ, იმ ლიტერატურული და სააზროვნო მოდელისკენ, რომელსაც დასაბამიდან, ბუნებრივად ეკუთვნოდა არსობრივად ქრისტიანული ქართული მწერლობა.

\* რიგი ქართველი მკვლევარები ამ ეპოქის ქართულ მწერლობაში ბაროკოს კვალსაც ხედავთ. იხ. გ. გაჩერილაძე, რენესანსი და ბაროკო // სულხან-საბა ორბელიანი 350. საიუბილეო კრებული, 2009; ი. კენჭოშვილი, „გარდამავალი მეგაპერიოდი ქართულ ლიტერატურაში // ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემები, თბ., 2007; მ. ნაჭყებია, ქართული ბაროკოს საკითხები, 2009./

## დამოცვებანი:

**ბორევი 2001:** Борев, Ю. Ампир. В кн: *Теория литературы*, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

**ბრეი 1974:** Brey, R. *La Formation de la Doctrine Classique en Franc.* Nizet, 1974.

**დრენდენი 1974:** Dryden. *The Critical Heritage.* Ed. By James Kinsley and Hellen Kinsley. London: Routledge& Kegan Paul, 1974.

**კეკელიძე 1951:** კეკელიძე კ. „მთრგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“. *ლიტერატურული ძიებანი*, VII. თბილისი: 1951.

**ლობჟანიძე 2012:** ლობჟანიძე გ. „ქართულ-აღმოსავლური მხატვრული გემოვნება და ლიტერატურული უნივერსალიები XVI-XVIII საუკუნეებში“. წგ-ში: XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა. აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე. თბილისი: უნივერსალი, 2012.

**ლომიძე 1969:** ლომიძე გ. კომედიის ფანრობრივი თავისებურებების პრობლემა. თბილისი: მეცნიერება, 1969.

**პოკოკი 1980:** Pocock, Gordon. *Boileau and the Nature of Neo-Classicism.* Cambridge: Cambridge University Press, 1980.

**რიხტერი 2005:** Richter, Simon. German Classical Tragedy: Lessing, Goethe, Schiller, Kleist, and Buchner. *A Companion to Tragedy.* Ed. By Rebecca Bushnell. Blackwell Publishing LTD. 2005.

**ფორულერი 1982:** Fowler, A. *Kinds of Literature. An Introduction to the Theory of Genres and Modes.* Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 1982.

**შერმანი 2004:** Sherman, S. “Dryden and the Theatrical Imagination”. *The Cambridge Companion to John Dryden.* Cambridge: University Press, 2004.

**შტაინერი 1961:** Steiner, G. *The Death of Tragedy.* Faber and Faber 24 Russell Square. London: 1961.

## ლიტერატურული ბაროკო

ბაროკო წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ-კულტურულ და მხატვრულ ეპოქას, რომელმაც მოიტანა ახალი, რენესანსის საპირისპირ მსოფლმხედველობა და მსოფლ-აღქმა. რენესანსული იდეალების კრიზისმა XVI საუკუნის მინურულს ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახალი მიმდინარეობა წარმოშვა, რომელიც ესპანეთიდან და იტალი-იდან ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და ზოგიერთ ქვეყანაში XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედამდე გასტანა.

## ტერმინი ბაროკო

ტერმინ „ბაროკო“ სხვადასხვა განმარტებები არსებობს და ყოველი მათგანი მნიშვნელოვანია მისი არსის გასაგებად. ითვლება, რომ ეს სახელწოდება მომდინარეობს პორტუგალიური perola barrocca-დან, რომელიც ცისარტყელის ფერებით მბრნყინავ უსწორმასწორო ფორმის ძვირფას მარგალიტს აღნიშნავს. მეორე ვერსიის თანახმად ლათ. barrocco ძნელსაცნაური სქოლასტური სილოგიზმია და მესამე, barrocco სიყალბესა და ტყუილს ნიშნავს. მარგალიტის უსწორმასწორო ფორმა ბაროკოს აპირისპირებს ჰარმონიულ, კლასიკურ იდეალთან მიახლოებულ რენესანსის ხელოვნებასთან, ძვირფას მარგალიტთან დაახლოებით კი ხაზი ესმება ბაროკოს მიდრეკილებას ფუფუნებისკენ, დახვეწილობისკენ, დეკორატიულობისკენ, ხოლო სილოგიზმის ხსენება მიუთითებს ბაროკოს კავშირზე შუასაუკუნეთა სქოლასტიკასთან, დაბოლოს, ის, რომ ბაროკო განიმარტება როგორც სიყალბე და ტყუილი, ხაზს უსვამს ილუზორულობის მომენტს, რომელიც უაღრესად ძლიერია ბაროკოს ხელოვნებაში. საბოლოოდ, უფრო ხშირად ამ ტერმინს უსწორმასწორო ფორმის მარგალიტის სახელწოდებას უკავშირებენ.

XVIII საუკუნიდან ეს ტერმინი მტკიცედ დამკვიდრდა ხელოვნებათმცოდნეობაში, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობაში კი გაცილებით გვიან – მხოლოდ XX საუკუნის 20-იან წლებში მოიკიდა ფეხი. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს ტერმინი შედარებით გვიან შემოიღეს, დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბაროკო განსაკუთრებული სახის იდეურ-კულტურული მიმართულებაა, რომელიც სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შექმნა, მოიცვა ისინი და ეპროპულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში სპეციფიკური მხატვრული სისტემა შექმნა.

ბაროკოს ხშირად განიხილავენ როგორც სტილს ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ანუ როგორც ფორმალურ-ესთეტიკური ხერხების ჯამს, მაგრამ ბაროკო არის მხატვრული სტილიც და ლიტერატურული მიმართულებაც და ამასთან ერთად იგი გარკვეული კულტურის ტიპსაც წარმოადგენს. ჯერჯერობით ბაროკოს ადამიანის მსოფლშეგრძნება, ბაროკო, როგორც მხატვრული სისტემა, ნაკლებადაა შესწავლილი და როგორც ბაროკოს ცნობილი მკვლევარი ჟ. რუსე შენიშნავს: „ბაროკოს იდეა იმ იდეათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც რაც უფრო მეტად აკვირდები, მით უფრო გისხლტება ხელიდან და მით უფრო ნაკლებად ახერხებ მის მოხელეობას“.

ის შემოქმედნი, რომლებიც ბაროკოს მხატვრულ სისტემას მიეკუთვნებოდნენ, ხშირად საერთო მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ პრინციპებს იზიარებდნენ, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა ბაროკოს შემოქმედებაში განსხვავებებს მსოფლმხედველობით და მხატვრულ ასპექტებში. სხვადასხვა საზოგადოებრივი დაჯგუფებების წარმომადგენლები ბაროკოს ხელოვნებას თავისი ინტერესების სამსახურში აყენებდნენ და ამიტომაც ერთი მხატვრული სისტემის ფარგლებში არსებობდა განსხვავებული მიმართულებები და სტილური ტენდენციები. ბაროკო თავისი არსით საყოველთაო ევროპული და საზოგადოებრივი კრიზისის გამოვლინება იყო, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებსა და ერებში სპეციფიკური თვისებები ახასიათებდა.

## რენესანსიდან ბაროკოსკენ

გადასვლა რენესანსიდან ბაროკოსკენ ხანგრძლივ და არაერთმნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენდა, ბაროკოს ზოგიერთი ნიშანი უკვე მანიერიზმში (გვიანი რენესანსის სტილური მიმდინარეობა) მომწიფდა. ბაროკო რენესანსული იდეალურის კრიზისს წარმოადგენს, ბაროკოს არსის გააზრების-თვის კი მნიშვნელოვანია იმის განმარტება, თუ რაში მდგომარეობდა ეს კრიზისი. ჰუმანისტები ხოტბას ასხამდნენ მიწიერ ცხოვრებას და დითირამბებს უძლვნიდნენ გონების შემოქმედებით აღმაფრენას. ეკლესიის წევებისაგან თავისუფალი რენესანსული ლიტერატურა იცავდა ადამიანის თავისუფალ აზრს და მის პიროვნულ თავისუფლებას. ჰუმანისტებს სწამდათ ადამიანის კეთილი ბუნების, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადამიანი არ ისარგებლებდა თავისუფლებით ბოროტი საქციელის ჩასადენად. მათი რწმენით ადამიანს ბუნებამ მისცა ისეთი თვისებები, რომლებიც მას აკავებენ ცოდვის, ყოველგვარი სიბოროტისა და უარყოფითის ჩადენისგან. რენესანსმა ხელოვნების ცენტრში ადამიანი მოათავსა და აქ უმნიშვნელოვანესი იყო თეოლოგიური და ფილოსოფიური ტრადიციის შეთანხმება. სწორედ ქრისტიანული კატეგორიებით აზროვნების შედეგია, რომ რენესანსის ახალმა, ჰუმანისტურმა ორიენტაციამ ყველაზე ცხადი გამოხატულება ადამიანის შესახებ შექმნილ მოძღვრებაში ჰპოვა, როდესაც ბიბლიური ქრისტიანობის საფუძველზე ადამიანის ახალი კონცეფცია, რენესანსული ჰუმანიზმის საფუძველი – რენესანსული ანთროპოცენტრიზმი (ბერძნ. ανqrwpo – ადამიანი და ლათ. centrum – ცენტრი, წარმოდგენა ადამიანზე, რომელიც დაკავშირებულია რელიგიასა და იდეალიზმთან. ამ წარმოდგენის თანახმად, ადამიანი არის სამყაროს საბოლოო მიზანი და მისი ცენტრი) შექმნა. ჰუმანისტური აზრის მწვერვალს წარმოადგენს სწორედ სწავლებანი ადამიანის შესახებ. რენესანსის კულტურამ ადამიანი სამყაროს ცენტრში მოათავსა და იგი „სამყაროს გვირგვინად“ დასახა. რენესანსის მსოფლმხედველობა დამყარებულია სამყაროს ჰარმონიის, ადამიანის კეთილი ნების რწმენაზე, მაგრამ გვიანი ჰუმანიზმი უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს დოქტრინას „ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობათა“ და ადამიანის კეთილი ბუნების შესახებ.

## ბაროკო. ზოგადი დახასიათება

ბაროკოს ეპოქა ევროპისთვის უაღრესად რთული და კრიზისული ხანა იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოცი-ალური თვალსაზრისით. ეს პერიოდი თითქმის მთელ ევროპაში რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კატაკლიზმების დროა: ოცდაათწლიანი ომი გერმანიაში, რო-მელიც ქვეყნისთვის ეროვნულ კატასტროფად იქცა, ანტიფე-ოდალური აჯანყებები ესპანეთში, იტალიასა და პორტუგალი-აში, რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია (რეფორმაცია – რე-ლიგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყ-ნებში, რომელიც მიმართული იყო კათოლიკური ქრისტიანობის რეფორმირებაზე. კონტრრეფორმაცია – იგივე პერიოდში ჩასა-ხული მოძრაობა, რომლის მიზანიც იყო რომა-ულ-კათოლიკური ეკლესიის პრესტიუსის აღდგენა), ფრონდა (ამბოხება, რომელიც 1648-52 წლებში ლუი XIV-ის მეფობის დროს მოხდა) საფრან-გეთში, ბურუჟაზიული რევოლუცია ინგლისსა და ნიდერლან-დებში, ოსმალების შემოსევა, რომლებიც ვენამდე მივიღნენ, შავი ჭირის ეპიდემია და სხვა ბუნებრივი კატასტროფები. ბარო-კოს წარმოშობას განსაზღვრავს ახალი მსოფლალქმა, რენე-სანსული მსოფლმედველობის კრიზისი და გრანდიოზული და უნივერსალური პიროვნების (*homo univerialis*) იდეის უარყოფა. ახალი წარმოდგენების საფუძველში, რომლებმაც განსაზღვრეს ბაროკოს არსი, ძევს სამყაროს სირთულის, მისი ღრმა წინააღ-მდეგობრიობის, ყოფიერების დრამატულობის და ადამიანის დანიშნულების გაგების ცდა. ამ წარმოდგენებზე გარკვეულ-წილად გავლენას ახდენდა ეპოქის რელიგიური ძიებანი, რაც მკაფიოდ აისახა მის ლიტერატურაზე, ეს განსაკუთრებით პო-ეზიას ეხება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერი ბარო-კოს განიხილავდა, როგორც წმინდა კონფესიურ მოვლენას და მას კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის მიმდინარე რე-ლიგიურ ბრძოლებს უკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებში იგი კონტრრეფორმაციის პროცესში კათოლიციზმის პროპაგანდასთან იყო დაკავშირებული, ბაროკო ზეკონფესი-

ურია თავისი არსით, ვინაიდან მან ნაყოფიერი ნიადაგი იპოვა როგორც კათოლიკურ და პროტესტანტულ, ისე მართლმადი-დებლურ გარემოში.

ბაროკოს მსოფლალქმასა და შემოქმედებით პრაქტიკაში ერთმანეთთან უცნაურადაა გადაჯაჭვული გაზვიადებული აფექტურობა, გრძნობათა უკიდურესი ეგზალტაცია, შეუცნობლის შეცნობისკენ სწრაფვა და ფანტასტიკის ელემენტები. ამ ეპოქის შემოქმედების წარმოდგენით სამყარო გახლეჩილი და უწესრიგოა, ადამიანი კი მხოლოდ და მხოლოდ სათამაშოა მიუწვდომელ ძალათა ხელში. ცხოვრება ქაოტურია, რადგან იგი შემთხვევევითობათა ჯაჭვს წარმოადგენს. შესაბამისად, ცხოვრება არამდგრადია და მისთვის დამახასიათებელია ცვალება-დობის იმანენტური მდგომარეობა, ხოლო მისი კანონები მოუხელ-თებელია. ბაროკო თითქოს ხლეჩს სამყაროს: მასში ზეციურთან ერთად მიწიერი თანაარსობს, ამაღლებულთან კი – მდაბალი. ამ დინამიური და მყისიერად ცვალებადი სამყაროსთვის არა მხოლოდ ცვალებადობა და წარმავლობაა დამახასიათებელი, არამედ ყოფიერების უჩვეულო ინტენსიურობაც და მშფოთვარე ვნებების დაძაბულობაც, პოლარული მოვლენების – სიბორო-ტის გრანდიოზულობისა და სიკეთის სიდიადის გაერთიანება. მონუმენტურობისკენ მიდრეკილი ბაროკო გრძნობათა მთელ დიაპაზონს იტევს: მასში არის რელიგიური მოტივები, წარმავლობის, სამყაროს ხრწნადობის, სიკვდილისა და განწირულობი თემები, მაგრამ ამავე დროს ტრაგიკულ საწყისთან თანაარსობს საოცარი ჰედონიზმი.

გარდა იმისია, რომ ბაროკოს შემოქმედნი აღიარებდნენ ცხოვრების ტრაგიკულობასა და წინააღმდეგობრიობას, ისინი თვლიდნენ, რომ არსებობს რაღაც უმაღლესი ღვთაებრივი გონიერება, ყველაფერში არის ფარული აზრი და მაშასადამე, საჭიროა შეგუება მსოფლწესრიგთან. ბაროკოს კულტურაში, განსაკუთრებით ლიტერატურაში, გარდა იმისა, რომ იგი კონცენტრირებული იყო სიბოროტის პრობლემასა და სამყაროს ხრწნადობაზე და წარმავლობაზე, გაჩნდა კრიზისის დაძლევის სურვილი, სურვილი უმაღლესი გონიერების გააზრებისა, რომელშიც შერწყმულია როგორც კეთილი, ისე ბოროტი საწყი-

სი. ეს კი წინააღმდეგობრიობის დაძლევის ცდა იყო და სამყაროს უკიდეგანო სივრცეებში ადამიანის ადგილი განისაზღვრებოდა მისი, ადამიანის, გონების შემოქმედებითი ძალით და სასწაულის შესაძლებლობით. ამგვარ მიდგომაში ღმერთი წარმოადგენდა სამართლიანობის, გულმოწყალების და უმაღლესი გონების განსახიერებას. ამ ეპოქის მრავალი შემოქმედისთვის დამახა-სიათებელი იყო ეჭვისა და სკეპტიციზმის განცდა, ტიპურია მსჯელობა იმის შესახებ, რომ იმქვეყნიური ცხოვრება სჯობს ტანჯვას ცოდვილ დედამიწაზე.

იმის გამო, რომ ბაროკოს პერიოდისათვის დამახასიათე-ბელია ღრმა კრიზისი, ქაოსი და საერთო მოღუშული ატმოს-ფერო, რომელიც ევროპაში სუფევდა, ხალხს ეუფლებოდა უიმე-დობისა და განწირულობის გრძნობა, ეჭვი და უნდობლობა ამქვეყნიური ცხოვრებისადმი. ბაროკოს წარმომადგენლებმა რენესანსის ავტორებისთვის ჩვეული, რეალობის კრიტიკული ასახვა კიდევ უფრო გააღრმავეს და რეალობას მისთვის დამახა-სიათებელი მთელი ტრაგიზმით ხატავდნენ. მათში არ გვხვდება რეალობის ის იდეალიზაცია, რომელსაც მიმართავდნენ რენე-სანსის ავტორები, როდესაც ცდილობდნენ თავისი იდეალები განხორციელებულად და გამარჯვებულად წარმოედგინათ. ტრაგიკულმა ცნობიერებამ და სამყაროს წინააღმდეგობათა გადაჭრის შეუძლებლობა ბაროკოს მნერლებში წარმოშობს პესიმიზმს, ზოგჯერ კი მოღუშულ და ენამწეარე სარკაზმს.

## ბაროკო. ადამიანის კონცეფცია

ბაროკოს ავტორებთან უკვე ვეღარ ვხვდებით სიცოცხ-ლის ხალისს; რწმენას, რომ ადამიანი ბოროტებაზე გაიმარ-ჯვებს; სულ უფრო და უფრო ძლიერდება პესიმიზმის, სკეპტი-ციზმი, ამქვეყნიური ცხოვრების არამყარობის და წარმავლობის მოტივები. დომინანტური ხდება ადამიანის მიერ იმის შეგნება, რომ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა განწირულია დამარ-ცხებისთვის. ბაროკოს ლიტერატურის სტილისა და თავად ში-

ნაარსის ცვლილება განაპირობა ისტორიული სინამდვილის ხარისხობრივმა ცვლილებამ, რენესანსის ხანის დასრულებამ. ერთადერთ ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას ხალხი ისევ მისტიკურ, ტრანსცენდენტულ, არაამქვეყნიურ სამყაროში ეძებდა. საზოგადოებამი ისევ გავრცელდა შუასაუკუნოებრივი განწყობილება, რაც ქრისტეს მეორედ მოსვლასა და უკანასკნელი სამსჯავროს წინ მის ათასწლიან მეფობაში გამოიხატებოდა.

ბაროკოს ლიტერატურაში ხდება როგორც სამყაროსა და ადამიანის დისპარმონის, მათი ტრაგიკული დაპირისპირების, ისე ადამიანის სულში მიმდინარე ბრძოლების გააზრება. სწორედ ამის გამო ბაროკოს შემოქმედის მიერ დანახული სამყარო და ადამიანი ჰესამისტურია, მიუხედავად ამისა, ბაროკო მთლიანობაში განმსჭვალულია სულიერი საწყისის, ღმერთის სიდიადის რწმენით.

ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბაროკომ ახალი კონცეფცია წამოაყენა, რომელიც უპირისპირდებოდა ადამიანის რენესანსულ ჰუმანისტურ კონცეფციის. ეს კი იმაში მდგომარეობდა, რომ ბაროკოს შემოქმედი უარყოფდა ჰუმანისტების თეზისს ადამიანის კეთილი ბუნების შესახებ და ნერგავდა აზრს ადამიანის ბუნების ონტოლოგიურ, თავდაპირველ ცოდვილობაზე, რის მიზეზსაც ბიბლიურ „პირველცოდვაში“ ხედავდა და ადამიანის გადარჩენის საშუალებად მხოლოდ რელიგიური დოგმების დაცვა ესახებოდა. არსებული სინამდვილის მანკიერებას ისინი ქრისტიანული რწმენის დავიწყებით ხსნიდნენ. მეორენი კი უარყოფდნენ მახინჯ რეალობას, გაურბოდნენ მას, ამრჩით უყურებდნენ არსებულ სინამდვილეს და თავის ნაწარმოებებს რჩეულთათვის, ელიტისათვის ქმნიდნენ.

ბაროკო აღსანიშნავია იმით, რომ იგი შეეცადა მოეხდინა იმ სულიერი გამოცდილების აქტუალიზაცია, რომელიც შუა საუკუნეების ქრისტიანულმა კულტურამ დააგროვა, მაგრამ ამასთან ერთად მისთვის არ იყო უცხო ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟები, რომელსაც ოსტატურად იყენებდა ბიბლიურ სახეებთან ერთად. მაგრამ რენესანსისგან განსხვავებით, იგი არ ისწრაფოდა ანტიკური კანონების, იდეებისა და პრინციპების აღორძინებისკენ, მან დროით უფრო ახლოს მდგარი, შუა საუკუნეთა რელიგიური გამოცდილების გააქტიურება მოახდინა.

ბაროკოს კულტურის რელიგიურ-ეთიკური წანამძღვარი მდგომარეობს ღრმა რწმენაში, რომ აუცილებელია პოსტრენე-სანსული ადამიანის გადარჩენა: საჭიროა ადამიანის ხსნა საკუ-თარი თავისგან, დახსნა იმ ბოროტი ძალებისგან, რომლებმაც მისი ბუნების ბნელი სილრმეებიდან ამოხეთქეს, ამისთვის კი საჭირო იყო სამყაროს იმ თეოცენტრული (ბერძნ. Θεός – ღმერ-თი და ლათ. *Centrum* – ცენტრი. – ფილოსოფიური კონცეფცია, რომლის საფუძველშიც ძევს ღმერთის, როგორც აბსოლუტის, სრულყოფილი და უმაღლესი არისის გაგება. ამასთან, ადამი-ანის ცხოვრების უმაღლეს მიზნად მიიჩნევა ღმერთის ბაძა. თეოცენტრიზმის უპირისპირდება ანთროპოცენტრიზმი) სურა-თის აღდგენა თავისი ზნეობრივი მოთხოვნებითურთ ადამი-ანის მიმართ, რომელიც რენესანსის ანთროპოცენტრიზმა გან-დევნა. XVII საუკუნისთვის ის რენესანსული გუნება-განწყობი-ლებანი, რომლებიც ამკვიდრებდნენ ადამიანის – ამ „სამყაროს გვირგვინის“ – თავისუფლებას ზებუნებრივი ძალებისგან, ერთი მხრივ მიტოვებულობის, მეორე მხრივ კი უსაზღვრო ამორა-ლიზმის საფრთხით შემოტრიალდა. ბაროკოს სამყარომ ვერ და არ მიიღო სამყარო, სადაც ცენტრალური ადგილი ეკავა ადამი-ანს და არა ღმერთს. ბაროკოს კულტურა პასკალის ფილოსო-ფიურ-ეთიკური ძიებებით, რემბრანდტის, ელ გრეკოს, ბერნი-ნის მხატვრობით, დიუ ბარტას, კალდერონისა და გრიფიუსის პოეზიით და ბახის მუსიკით გაიჭრა მაღლა, ღმერთისკენ. ეს აღტკინება ახალი ეპოქის დამკვიდრებასთან ერთად სულ უფ-რო და უფრო ძლიერდებოდა. ბაროკომ შექმნა სივრცე, სადაც არ სუფევდა წონასწორობა, სადაც ჭარბობდა დრამატული ეფექ-ტები, წინააღმდეგობანი და დისპარმონია, სადაც სუფევდა კონ-ტრასტები, ბრძოლა, ვნებები და ტანჯვა. ხელოვნებათმცოდნე-თა დაკვირვებით, მხატვრობასა და არქიტექტურაში უწინდელი რენესანსული წრე, ჰარმონიის სიმბოლო, გაიჭიმა და ბაროკოში ელიფსის ფორმა მიიღო, როგორც დაძაბული წინააღმდეგობის განევის სიმბოლომ. აღორძინების ეპოქის სტატიკურმა, ღირ-სებით აღსავსე რენესანსის სკულპტურებმა და ფერწერულმა ფიგურებმა ადგილი დაუთმეს მისტიკური აღფრთოვანებით გასხივოსნებულ ბაროკოს სახეებს (ბერნინის „წმინდა ტერეზას

ექსტაზი“, ელ გრეკოს „წმინდა ფრანცისკი ექსტაზში“, „მარიამ მაგდალინელი“).

მნიშვნელოვანი რყევებისა და გარდატეხების ეპოქებს ყოველთვის სდევს ბიბლიური წიგნების ხელახალი აღმოჩენა, რადგან მიუსაფარ სამყაროში ადამიანი ცდილობს მიაგნოს ახალ საყრდენ წერტილს, ამიტომაც იქცა ბიბლია ბაროკოს ადამიანის მთავარ წიგნად. „დაბადება“ და შესაბამისად პირველ-ცოდვის თემა ერთ-ერთი საკვანძო იყო ბაროკოს ლიტერატურაში, რომელსაც იგი სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენდა და სხვადასხვა მიზანს უსახავდა. ადამიანის ბიბლიური კონცეფცია, რომელიც პირველ-ცოდვის ძველი აღთქმისეულ ამბავს ეფუძნება, ევროპული ბაროკოს მრავალ ავტორთან აისახა: ბიბლიური თემებიდან განსაკუთრებული პოპულარობით ადამისა და ევას ამბავი სარგებლობდა. ამ თემაზეა შექმნილი იტალიელი ჯამბატისტა ანდრეინის „ადამი“ (1613), ჰოლანდიელი ვონდელის „ლიუციფერი“ (1654) და „განდევნილი ადამი“ (1664), მილტონის „დაკარგული სამოთხე“ (1667) ამ თემის ლიტერატურულად გაფორმების პირველობა ბაროკოს ეპოქაში კი ფრანგული ბაროკოს ერთ-ერთ უდიდეს წარმოადგენელს დიუ ბარტას ეკუთვნის, რომელმაც შექმნა ვრცელი პოემა „პირველი კვირა, ანუ დაბადება“ (1578). პოემაში აქცენტი კეთდება ქაოსიდან წესრიგის შექმნაზე, ეს კი გაგებულია, როგორც ცვალებადობა ანუ მეტამორფოზა. დიუ ბარტა პოემაში სამყაროს შექმნას წარმოადგენს, როგორც ღმერთის მიერ შექმნილ სურათს, თავად ღმერთს კი მხატვრად სახავს. უმნიშვნელოვანესი რამ, რისი თქმაც ავტორს სურს, არის ის, რომ წარლვნა არის ცოდვილი ადამიანის სასჯელი, წარდვნის შედეგად ფორმადაკარგული სამყარო კი აშორებს ადამიანს ღვთისაგან, მაშინ, როდესაც პირიქით, ღვთაებრივი მადლი აღადგენს სამყაროს ფორმას. მაშასადამე, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ფორმადაკარგული სამყარო იგივეა, რაც სამყარო ღმერთის გარეშე. პირველ-ცოდვის თემა ქართული ბაროკოს ლიტერატურაში ასახულია „ვაბაასებაში კაცისა და სოფლისა“ (1684), სადაც ფორმულირებულია ბაროკოს ეპოქის უმნიშვნელოვანესი იდეა: ადამიანი სოფლის მბრძანებ-

ლიდან, რაც ადამიანის რენესანსული კონცეფციაა, **გადაქცევა/გადაქცევა სოფლის მონად**, რაც უკვე ადამიანის ბაროკოსეულ კონცეფციაა: „კაცო, შენ ღვთის მსგავსად რადმე შექმნილო, // ჩემად და ჩემთა ნივთაზე უფლად და მთავრად განზრდილო, // ვა შენ, რომ მცნებას გარდაჲხე, ბოლო კარგა ხანს დაქნილო, // განშიშვლდი დიდებისაგან, უგუნურ პირუტყვად ქმნილო“. ბაროკოს პოეტების მიერ იმის განცხადება, რომ პირველცოდვის შედეგად სამყარო კარგავს ჰარმონიას და ღვთის მსგავსად შექმნილი ადამიანი, „სამყაროს გვირგვინი“, სოფლის მონად იქცევა, მკაფიოდ ასახავს რენესანსისა და ბაროკოს მთავარ პრინციპთა დაპირისპირებას: რენესანსის ადამიანი ყოვლისშეძლეა, სამყაროს ცენტრში დგას, ხოლო ბაროკოს ადამიანი უკვე აღარ არის ღვთის ტოლი, იგი მხოლოდ „მოაზროვნე ლერწამია“ (პასკალი).

ბაროკოს ადამიანი ღრმა რელიგიური განცდის ადამიანია და ამიტომ მთელი მისი მსოფლშეგრძნება ქრისტიანულ რელიგიაზეა ორიენტირებული. იგი გაცილებით უფრო ღრმად და მძაფრად განიცდის ძველსა და ახალ აღთქმას, ვიდრე წინამავალი ეპოქის ადამიანი.

ბიბლიური წიგნებიდან ბაროკოს ეპოქაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს „ფსალმუნიი“, რომელიც იტევს ადამიანის განცდათა უსასრულო დიაპაზონს, ასევე უაღრესად ლირიკული, მაღალმხატვრული და აღეგორიული „ქებათა-ქება სოლომონისა“, რომლის ღვთიური მიჯნურობის მოტივები იზიდავდა ბაროკოს ავტორებს, რომელთათვისაც ღვთის რწმენა აღიქმებოდა როგორც მოვალეობა, ემოცია და შინაგანი მოთხოვნილება. ეს დამოკიდებულება ქართული ბაროკოს ლიტერატურაში მკაფიოდ აისახა ვახტანგ VI-ის პოეზიაში: „მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა, // სიყვარულითა მისითა გული, გონება კარითა, // მისისა მიხლებითა ეშვისა სურვილი კარითა, // ეგება რომე გველირსოს შესვლა სამოთხის კარითა“ („სატრფიალონი“, 29).

## **ბაროკოს თემები და მოტივები**

**ამაოების მოტივი:** „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (*Vanitas vanitatum, omnia vanitas...*). ბაროკოს ფილოსოფიურ ბაზად „ეკლესიასტე“ იქცა, რომელშიც ამ ეპოქის ავტორებმა მათვის ყველაზე ორგანულ ტექსტს მიაკვლიეს. მასში დახატული ბრძენის სახე, რომელმაც ყველაფერს მიაღწია, რაზეც ადამიანმა შეიძლება იოცნებოს, განიცადა ყველაფერი და მივიდა დასკვნამდე: „რამეთუ ესეცა ამაო და ხდომა სულისა!“ (ეკლესიასტე 2: 26). სამყაროს წრებრუნვა უცვლელია, ხოლო ღვთის გზები შეუცნობელი. ეკლესიასტეს ანტინომიურობა მაგნიტივით იზიდავდა ბაროკოს ეპოქის ავტორებს, რომელთათვისაც ანტითეზა სააზროვნო სისტემას წარმოადგენდა. წარმავალ, ამოუხსნელ სამყაროში ეკლესიასტე ადამიანის სულიერ ძიებებს პასუხობდა და ამიტომ იქცა მის დევიზად „ამაოება ამაოთა, ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლესიასტე 1:2). ამაოებას განცდა, ადამიანისა და მისი ყოფიერების წარმავლობის თემა ხშირად ისმის გრიფიუსის პოეზიაში: „რად მეძახით, სადაც ყოველივე იმსხვრევა, ქრება, ყოფნა იცვლება არყოფნით და სიამე – გლოვით!“. ამაოების განცდას უკავშირდება სამყაროს მეტამორფოზის, მისი მარადიული ცვალებადობის თემას: „არა-ფერია ისეთი მარადიული, როგორც ცვალებადობის მუდმივობა“ (ონორე დ'ურფი).

**სიკვდილის თემა:** „გახსოვდეს სიკვდილი!“ (*Memento Mori!*) ბაროკოს ეპოქაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა დიდმა აღმოჩენებმა ასტრონომიაში, ფიზიკაში, კოსმოლოგიაში და ეს იყო ბიძგი იმისა, რომ გეოცენტრული და შესაბამისად, ანთროპოცენტრული კონცეფციები უკვე სულ სხვა მიდგომებით შეცვლილიყო. ბაროკოს ადამიანი სულ უფრო და უფრო მძაფრად გრძნობდა დამოკიდებულებას ირაციონალურ ძალებზე. როგორც აღმოჩნდა, დედამიწა აღარ იყო ჩაკეტილი სამყაროს ცენტრი და ადამიანიც ვეღარ აღიქვამდა თავს სამყაროს ცენტრად. ამ გარდამტეხი ცვლილებების შედეგად, რენესანსული ევროპის ცხოვრების იდეალიზებული სურათი შეიცვალა ყოფიერების რთული და წინააღმდეგობრივი სურათით, ცხოვრე-

ბის წარმავლობისა და ცვალებადობის განცდით. მაღალზე-ობრივმა ბიბლიურმა კატეგორიებმა დაიკავეს რენესანსული მშვენიერების იდეალის ადგილი. ბაროკოს ადამიანს არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ ცხოვრება დროებითი და ხანმოკლეა, ხოლო სიკვდილი გარდაუვალი და ამიტომაც რენესანსის ლო-ზუნგი “Carpe Diem!” იცვლება რადიკალურად საწინააღმდეგო არსით “Memento Mori!” – „გახსოვდეს სიკვდილი!“. მაგრამ ბა-როკოს ეპოქის შემოქმედთათვის სიკვდილი მხოლოდ განგება კი არ იყო, არამედ ყოველივე ცოცხალის გამანადგურებელი და შემმუსვრელი.

XVII საუკუნის რეალობა უკვე აღარ ტოვებდა ადგილს რენესანსული ჰუმანისტური ილუზიებისთვის, ხოლო ამ ახა-ლი მსოფლშეგრძნების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მნიშვნე-ლოვანმა ცვლილებებმა მეცნიერებაში. ამ დროს მეცნიერება პირველად გაფორმდა, როგორც ოფიციალური ინსტიტუტი, ევროპაში ჩნდება პირველი მეცნიერული საზოგადოებები და აკადემიები, ინჟინერის სამეცნიერო უურნალების გამოცემა. რენე-სანსის ცალკეულ გენიალურ გამონათებებს ენაცვლება ცოდ-ნის სისტემატიური დაგროვება. მეცნიერების წამყვან სფეროდ XVII საუკუნეში იქცევა მათემატიკა. ამასთან ერთად, ამ ეპო-ქაში ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერების ჩამოყალიბება, რომლის ქვაკუთხედიც ხდება მექანიკა. ქანქარიანი საათის მექანიზმის გამოყენებამ ადამიანებს სულ უფრო ღრმად გააც-ნობიერებინა დროის სრბოლა. დრო, რომელიც აქამდე წლე-ბით, თვეებითა და დღეებით განისაზღვრებოდა, უცრად აჩ-ქარდა და მისი საზომი უკვე საათები, წუთები და წამები გახდა. ცხოვრების სწრაფწარმავლობის ეს განცდა ეპოქის ნიშნად იქ-ცა, ამიტომაც მსჭვალავს ასე ძლიერ ბაროკოს პოეზიას დრო-ის წარმავლობისა და სამყაროს ხრნნადობის თემა, რომელიც მისტიკურ შიშს წარმოშობს, მაგრამ მეორე მხრივ მქროლვარე დროის განცდა, რომელიც ყველაფერს შთანთქავდა, ყოველივე მიწიერის ამაოება, ინვევდა გასაოცარ ჰედონიზმს: სიცოცხ-ლისმოყვარეობასა და სიცოცხლის ტრფიალს. ამგვარი პარა-დოქტის წარმართავდა ბაროკოს ლიტერატურას და სწორედ ეს ანტითეზურობა ამთლიანებდა ბაროკოს გახლეჩილ ადამიანს,

რომელიც საპირისპირო გრძნობათა და განცდათა შორის იხლიჩებოდა. უდიდესი ბაროკოული ექსპრესიით გამოირჩევა გურამიშვილის სტრიქონები, რომელშიც ადამიანის გაორებული სულის ტრაგიული განცდა და გამთლიანების ვედრება ანტითეზური წყვილებით არის გამოხატული: „თუ ხარ **ღვიძილი**, რალა არს **ძილი**?//თუ ხარ **სიმაძლე**, რა არს **შიმშილი**?//თუ ხარ **სიცოცხლე**, რალა არს **სიკვდილი**?//იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!“.

**სიკვდილის ცეკვა.** ბაროკოს კულტურა სიკვდილის ცეკვით (*La Dance Macabre*), სიკვდილის სანახაობითა და ჩონჩხით არის მოჯადობული. თუ აღორძინების მხატვრები ადამიანის ანატომიას აღიქვამდნენ, როგორც ადამიანის სხეულის შესახებ სწორი წარმოდგენის შემექმნელ დამხმარე საშუალებას და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ კუნთოვანი სისტემის შესწავლას (პოლაიოლო, ლეონარდო და ვინჩი), რადგან ანატომიის ცოდნა მათ ადამიანის სხეულის მშვენიერების გადმოსაცემად სჭირდებოდათ (ამიტომ არის სურათებზე აღბეჭდილი რენე-სანსული სხეულები ასეთი სრულყოფილი და სიცოცხლით სავსე) და სწორედ მაღალმა რენესანსმა წამოაყენა *homo universalis*-ის იდეალი, იდეალი სრულყოფილი ადამიანისა, რომელიც ყოველმხრივა განვითარებული, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, ბაროკოს მხატვრობამ და პოეზიამ რენესანსული ინტერესი ადამიანის სხეულისადმი სულ სხვა ვექტორით წარმართა: აქ ანატომია დამხმარე საშუალება კი აღარ არის, არამედ სიკვდილთან დაკავშირებული განცდა. *Memento mori*-ს დროშის ქვეშ მიმდინარე ბაროკოსთვის ადამიანის ანატომია და სიკვდილი უკვე გაიგივებულია: როგორც პოეზიაში, ისე მხატვრობაში ცხოვრების სასრულობის ასახვის ერთ-ერთი ფორმა ადამიანის ანატომიურ სხეულთან არის დაკავშირებული. ბაროკოს ეპოქა შთაგონებულია კაცობრიობის ისტორიისა და ბედის დრამატული და ტრაგიკული ხილვებით და ეს ხილვები აისახა პოეზიაში, მხატვრობაში, თეატრსა და დრამატურგიაში, ცვალებადობის განცდის ეს ტრაგიკული ჩვენებები მუდავნდებოდა ამაოების გრძნობაში და უკავშირდებოდა მთელი ცხოვრების – დაბადებისა და სიკვდილის ენიგმას. სიკვდილის განცდა ძა-

ლზე ძლიერია ფრანგული ბაროკოს ლიტერატურაში, თუმცა, რა თქმა, უნდა მხოლოდ მის საკუთრებას არ წარმოადგენს. სანგრძლივი დროის მანძილზე მის ასახვაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოძრაობისა და თეატრალურობის ექსპრესიას, რომელიც მკვიდრ ადგილს იკავებს მის სტილისტიკაში. ჩონჩხის, თავის ქალისა და ძვლების განსახიერებანი მონაწილეობას იღებდნენ დადგმებში, დრამატულ სცენებსა და საზეიმო დასაფლავების პროცესიებში. ისინი შეიქრნენ რელიგიურ გრავიურებსა და ეკლესიის დეკორაციაში. კაპუცინების სასაფლაო და რომში ბერნინის მიერ შექმნილი აკლდამები ბრნყინვალე ნიმუშია ამ ხელოვნებისა, რომელიც ასოცირდება თეატრალურ თამაშთან და ფორმების ცვალებადობასთან. აქ იგულისხმება სიკვდილის წარმოდგენა, როგორც ცოცხალი პერსონაჟისა, როგორც ყველგან მყოფი მოცეკვავისა და ფარდა ეხსნება ჩონჩხის არსს, რომელიც ხორცევებაა დაფარული. „ჭეშმარიტი სიკვდილი“ საფლავში დასვენებული ჩონჩხი კი არ არის, არამედ – „ის, ვინც თავისი ფეხით დაიარება ჩვენს შორის“ – ამბობს ესპანელი ბაროკოს წარმომადგენელი გრავიანი. ეს ჩონჩხით მოჯადოებული პოეზია უფრო ხშირად რელიგიურია და ძლიერ არის ორიენტირებული აღსასრულსა და ადამიანის სულიერ დანიშნულებაზე. ბაროკოს ლიტერატურისთვის დამახასიათებელია მედიტაციების აყვავება ქრისტეს ვნებათა თემაზე, რომლებშიც აღნერილია ბობოქარი, დაუკებელი, მშფოთვარე, კარგად დამუშავებული, სიმბოლოებითა და პარადოქსებით მდიდარი სტილით. ეს პოეტები დეტალურად აღნერდნენ ქრისტეს აგონიას, რომელსაც ისინი წარმოიდგენენ და აცოცხლებენ მისაბაძად (შასინიე, ლაზარ დე სელვი, მოტენი, უვრეი, სეზარ ნოსტრადამი, ზახარ დე ვიტრე). მაგალითად, ერთ-ერთ სონეტში ლა კაპედი წერს: „მე დასისხლიანებული ვარ ამ ბედისწერით“. ჩონჩხითა და თავის ქალით მოჯადოებული ბაროკოს პოეზია ძირითადად რელიგიური პოეზიაა, რომელიც ძლიერ არის ორიენტირებული განკითხვის დღეზე, მედიტაციაზე და ადამიანის სულიერ დანიშნულებაზე. სიკვდილის ამ თეატრს, სრული რომ იყოს, უნდა დაემატოს საკუთარი სიკვდილის მათეული წარმოსახვა. ლიტერატურისათვის არ იყო უცხო სასულიერო გამოცდილება, სა-

კუთარი თავის, როგორც სიკვდილის ზღვარზე მყოფის განხილვა. საკუთარი დასაფლავების თვითჭვრეტის ამ ხელოვნებას მივყავართ სიკვდილის აპოლოგიამდე. რემბრანდტის ტილო „დოქტორი ტიულპის ანატომიის გაკვეთილიც“ ადამიანის გაკვეთას ასახვს, სადაც გვამის შინაგან წყობას ინტესესით დასცექერიან ანატომიური თეატრის მონანილენი, ხოლო ფრანგული ბაროკოს პოეტი ჟან-ბატისტ შასინიე უჭვრეტს თავის სხეულის გამოსახულებას, რომელიც ნაწევრდება და ამბობს: „აქ მე ანატომიურად ვარ ნარმოდგენილი“. შასინიეს სონეტში „სიკვდილის არად ჩაგდება“ მოკვდავი ფიქრობს იმაზე, თუ როგორი არის ჭიების მიერ შეჭმული გვამები საფლავში: ხორცგაცლილი, უძარღვო, სადაც ამოჩრილი ძვლებიდან ტვინი ინთხევა, ხოლო სახსრები დაშლილია, დასკვნა კი ასეთია: „მიენდე მხოლოდ ღმერთს და ამაოებად ჩათვალე ყოველივე“. ბაროკოს მხატვრობისთვისაც ახლობელია თავის ქალისა და ჩონჩხის გამოსახვა, რომლებსაც ნახატზე ასახული სხვა საგნების ამაოების დასაბუთების ფუნქცია აკისრიათ. ამგვარი დამოკიდებულება სიკვდილისადმი ქართული ბაროკოს პოეზიაშიც აისახა, სადაც სიკვდილი, როგორც პერსონაჟი, დავით გურამიშვილის მიერ პლასტიკური ხელოვნების თვალსაჩინოებით არის დახატული: „ტანზედა ხორცი არ გაკრავს“, „სიკვდილის მსგავსად გაუხდა კაცს ტანთ ხორცი შემოცლილობა“, „თაგვის სოროებს მიგიგავს ცხვირი, პირი და თვალები“. პოეზიაშიც და მხატვრობაშიც კარგად ჩანს ბაროკოს ადამიანის დამოკიდებულება სიკვდილისადმი: „და ყოველივე ერთსა ადგილსა მივალს. ყოველივე შეიქმნა მიწისგან და ყოველივე მიიქცევის მიწად“ (ეკლესიასატე 3:20).

**მოტივი „ცხოვრება სიზმარია“.** ბაროკოს ლიტერატურაში რელიგიის წარმოუდგენლად გაზრდილმა მნიშვნელობამ და მისი ემოციური არსის ზეგავლენამ გამოიწვია ის, რომ ერთნობით, მიწიერ ცხოვრებას და რეალურ სინამდვილეს გამოხატავდნენ ნიშნების, სიმბოლოებისა და ემბლემების სახით. სიმბოლოების, ემბლემების, ალეგორიების, პარალელების ახსნა ბაროკოს შეცნობის წყაროდ იქცა. სინამდვილის ასეთ მხატვრულ განმარტებაზე დამოკიდებული იყო ადამიანის სიცოცხლის, როგორც

მოჩვენებითის და ილუზორულის ახსნა. ცხოვრება აღიქმებოდა, როგორც **სიზმარი**, ჩრდილი ან თეატრი. „ცხოვრება სიზმარი და ჩრდილია.... იმას, რითაც ვარსებობთ, ამაოდ ვუწოდებთ ცხოვრებას. ეს მხოლოდ სიზმარია, სიზმარი, რომელიც მხოლოდ წამით მოგვეცა“ – ასე განმარტავდნენ ცხოვრებას ბაროკოს ავტორები. ამ მოტივის მწვერვალს კი კალდერონის მორალურ-ფილოსოფიური დრამა „ცხოვრება სიზმარია“ წარმოადგენს.

## ბაროკოს მხატვრული მეთოდი

ბაროკოს ეპოქის მნერლების ახალმა, რენესანსული ჰუ-მანიზმისაგან საგრძნობლად განსხვავებულმა მსოფლალქმამ წარმოშვა სინამდვილის ახალი მხატვრული ხედვა, რაც თავისე-ბური მეთოდებით აისახა. სამყაროს ცვალებადობის იდეამ, მისმა განუწყვეტელმა მოძრაობამ დროსა და სივრცეში განა-პირობა ბაროკოს მხატვრული მეთოდის ისეთი თვისებები, რო-გორიცაა არაჩვეულებრივი დინამიზმი და ექსპრესიულობა, შინაგანი დიალექტიკა, კომპოზიციის ანტითეზურობა, მხატ-ვრული სისტემის მკვეთრი კონტრასტულობა, ენაში „მაღალი-სა“ და „დაბალის“ შეთავსება და სხვა. მხატვრული აზროვნების ამ ანტინომიურობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულე-ბაა ტრაგიკულისა და კომიკურის, ამაღლებულისა და დაბა-ლის აშკარა შერწყმა. ალორძინების შემოქმედნი ქადაგებდნენ ბუნების ბაძვის არისტოტელისეულ პრინციპს: ხელოვნებას ისინი უყურებდნენ, როგორც სარკეს, რომელიც სამყაროს წინ იდგა და, მაშასადამე, ასახავდა სამყაროს არა მარტო უტყუ-არად, არამედ ამ ასახვას საყოველთაო მნიშვნელობაც ენიჭე-ბოდა. ბაროკოს ხელოვანთათვის ბუნების ამგვარი გაგება სრუ-ლიად მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან მათთვის გარე სამყარო ქაოტური და შეუცნობადია. ამიტომაც ბაძვის ადგილი წარმო-სახვამ და ფანტაზიამ დაიკავა. მხოლოდ გონებით მიერ მონეს-რიგებულ ფანტაზიას შეუძლია გარე მოვლენათა ქაოსიდან შექ-მნას სამყაროს მოზაიკური სურათი. მაგრამ წარმოსახვა ქმნის

რეალობის მხოლოდ სუბიექტურ სურათს, არსი კი ამოუცნობი რჩება. ამასთან არის დაკავშირებული ბაროკოს ერთ-ერთი უძნიშვნელოვანების თვისება: შეუთავსებელ მოვლენათა და საგანთა შეთავსება მხატვრულ ერთიანობაში. ამ განსაკუთრებული პლურალისტული შეხედულების კონკრეტული გამოვლინებას წარმოადგენს მკვდარი ბუნების ნიშნების გადატანა ცოცხალზე ან პირიქით, მოძრაობისა და გრძნობების მინიჭება აბსტრაქტული ცნებებისთვის (მაგალითად, გერმანელი ბაროკოს დრამატურგის, ანდრეას გრიფფიუსის ტრაგედიაში სცენაზე გამოყოფდა „მარადისობა“ და მწარე ირონიით ახდენდა ტრაგედიის გმირის ტანჯვის კომენტირებას), ემბლემატიზმი, ალეგორიულობა და რთული მეტაფორულობა.

გარე სამყაროს არასაკმარისი ცოდნა ბაროკოს მნერლობაში განსაკუთრებით გამოიხატა მათვის დამახასიათებელ დეკორატიულობაში, თეატრალურობასა და განსაკუთრებული დეტალების მიმართ მიღრეკილებაში. ამავე რიგის მოვლენებს ეკუთვნის პომპეზური შედარებები, ჰიპერბოლები, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ ამარტივებდნენ მკითხველისათვის ნაწარმოების აღქმას, პირიქით, ართულებენ მას.

ლიტერატურული ბაროკო და მისი მხატვრული მეთოდი გამოირჩეოდა ანტითეზური, მოძრავი, დინამიური, გრძნობითი, ნატურალისტური, სპირიტუალური, მეტაფიზიკური, მისტიკური, ალგორიტული, ემბლემატური, იდუმალი, უცნაური, განმაცვითობელი, შოკისმომგვრელი, ეფექტური, ორნამენტული, გროტესკული, დეფორმირებული, დისპარმონიული, პარმონიული, ტრაგიკული, კომიკური, ემოციური, დეტალური, ჰიპერბოლური, პათეტიკური, თეატრალური, ჰეროიკული, ხალხური და ფოლკლორული ელემენტებისადმი სიყვარულით.

ბაროკოს ჩამოთვლილი ელემენტები ნაწარმოებში თავისებურად პოულობდა ასახვას როგორც შინაარსში (წარმოდგენები, აზრები, მოტივები და თემები), ისე ფორმაშიც (კომპოზიციური ხერხები, სახეები, სტილი და სტილისტური და ენობრივი ხერხები). მხატვრული ზემოქმედება მიიღწეოდა იდეური და ფორმალური ელემენტების მოულოდნელი შერწყმით, ამასთან, ფორმალური მხარე ხშირად ბატონობდა შინაარსობლივ მხარეზე.

## ბაროკოს პოეტიკა

ლიტერატურულ ბაროკოს ჰქონდა თავისი პოეტიკა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი თავს ვერ მოიწონებს რაიმე ექსკლუზიური და განსაკუთრებული ბაროკოული სტილისტური და ენობრივი საშუალებებით (ტროპებითა და ფიგურებით). ბაროკოსთვის დამახასიათებელი იყო ზოგიერთი ისეთი ცნობილი სტილისტური და ენობრივი საშუალებებისთვის (ტროპებისა და ფიგურებისთვის) უპირატესობის მინიჭება, რომელთა „გაბაროკოულებაც“ უფრო მტად იყო შესაძლებელი.

**ტროპებიდან** ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა მეტაფორა, ეპითეტი, სინონიმი, ომონიმი, პერსონიფიკაცია, მეტონიმია, ალეგორია, სიმბოლო, ემბლემები, სარკაზმი, ოქსიმორონი, პარადოქსი, ჰიპერბოლა, ლიოტა, ნატურალიზმი, ვულგარიზმი, ბარბარიზმი, ნეოლოგიზმი, მოდური სიტყვები. მეტაფორა ბაროკოში არა მხოლოდ თხრობის მოკაზმვის საშუალებაა, არამედ განსაკუთრებული თვალსაზრისი. **ფიგურებიდან** უმნიშვნელოვანესი იყო ანტითეზა, ანაფორა, ეპიზეუქსა, პარონომაზია, პოლისინდეტონი, კლიმაქსი, ელიფსი, აპოსტროფი, ექსკლამაცია, ინვერსია, შედარება, დიგრესია (რეტარდაცია), იზოკოლონი, ალიტერაცია, ონომატოპეა, რითმული კლაუზულები, კალამბურები, სიტყვის თამაში, ხმოვანი ეფექტები და ექო, ქიაზმები.

## ბაროკოს თეორეტიკოსები

XVII საუკუნე მდიდარია სხვადასხვა სახის ლიტერატურული ტრაქტატებით. ამ დროის ევროპაში ორი ლიტერატურული მიმდინარეობა არსებობდა: ბაროკო და კლასიციზმი, რომელთა პრინციპებიც რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან ბაროკო რენესანსის იდეების კრიზისს წარმოადგენს, ხოლო კლასიციზმი რეაქციაა ბაროკოს ღვარჭნილ, ემოციურ სტილზე. რენესანსისაგან განსხვავებით

ბაროკოს არ შეუქმნია რაიმე ლიტერატურული მანიფესტი, როგორც ეს საფრანგეთში იყო „პლეადის“ შემთხვევაში და არც ისეთი საპროგრამო ტრაქტატი, როგორიც ბუალოს „პოეტური ხელოვნებაა“, თუმც იწერებოდა მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-თეორიული ნაშრომი.

ბაროკოს თეორია წარმოიშვა უკვე არსებული ლიტერატურული გამოცდილების განზოგადების გზით და ყვლაზე უფრო თვალსაჩინოდ იგი წარმოდგენილია ხელოვნების ისტორიკოსთა – ესპანელი ბალთაზარ გრასიანის და იტალიელი ემანუელე თეზაუროს – ტრაქტატებში. ბაროკოს პოეტიკის შესახებ პირველი წიგნი გამოსცა იტალიელმა მათეო პერეგრინიმ (1639), ხოლო 1642 წელს გამოვიდა ესპანელი **ბალთაზარ გრასიანის** (1601-1658); ესპანელი მწერალი და ფილოსოფოსი) რიტორიკული ტრაქტატი „გონბამახვილობა ანუ სხარტი გონების ხელოვნება“, რომელიც შეიცავს ბაროკოს მეტაფორის განვრცობილ თეორიას. ესთეტიკური აზრის ისტორიაში პირველად, გრასიანი ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმად აყენებს გემოვნებას (gusto). გრასიანის ტრაქტატში „გონბამახვილობა ანუ სხარტი გონების ხელოვნება“ (1642) ფორმულირებულია ძირითადი მოთხოვნები ხელოვნებისადმი, რომელიც ორიენტირებულია მცოდნეთა და დამფასებელთა ვიწრო წრეზე, „სულის არისტოკრატებზე“. ამგვარი ხელოვნებისადმი გრასიანის უპირველესი მოთხოვნა არის სირთულე, ფორმის გართულებულობა, რაც მიმართულია „ვულგარულობის“ და „საყოველთაოდ გასაგებობის“ წინააღმდეგ. გრასიანის აზრით, მხატვრული შემეცნების კრიტერიუმი, მეცნიერული შემეცნებისგან განსხვავებით არა წესებია, არამედ გემოვნება, რომლიც გაგებულია, როგორც გონების ინტუიციური საქმიანობის უნარი. შემოქმედებითი პროცესის ეს პოტენციური შესაძლებლობა, გრასიანის თანახმად, „გონბამახვილობაში“ ანუ „სხარტი გონების ხელოვნებაში“ რეალიზდება.

დაახლოებით იმავე წლებში ახდენს იტალიელი **ემანუელე თეზაურო (1591-1675)** თავისი ტრაქტატის – „არისტოტელეს დურბინდის“ (“Il' Connochiale Aristotelico”) ძირითადი იდეების ფორმულირებას, რომელიც 1655 წელს იბეჭდება. თე-

ზაურო „ახალი პოეზიის“ ცნობილი თეორეტიკოსია. მისი ტალანტის დიაპაზონი ძალზე ფართოა: იგი არა მხოლოდ ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორეტიკოსი იყო, არამედ ისტორიკოსი და ფილოსოფოსი-მორალისტი, დრამატურგი და პოეტი. ზოგი-ერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ბაროკოს ლიტერატურის თეორიისთვის თეზაუროს „არისტოტელეს დურბინდი“ (1654) ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ბუალოს „პოეტური ხელოვნება“ ფრანგული კლასიციზმისთვის. თეზაურომ უარყო არისტოტელეს „პოეტიკა“ და მის „რიტორიკას“ მიმართა. სწორედ მასში იპოვა თეზაურომ ის ელემენტები, რომლებსაც თავისი ესთეტიკური სისტემის შესაქმნელად გამოიყენა. თეზაურო ამტკიცებდა, რომ პოეტური ქმნილებების სამყარო, რომელიც ფანტაზიამ წარმოშვა, საკუთარი რაციონალური აზროვნებისა და ლოგიკისგან განსხვავებული კანონებით ცხოვრობს. „სხარტი გონების“ ხელოვნებაში მთავარი არის მახვილგონივრული ჩანაფიქრი – „კონჩეტო“ (conciutto). თეზაურომ საკმაოდ მწყობრი სწავლება შექმნა გონებამახვილობის შესახებ. გონებამახვილობა მას ესმის, როგორც გონების ერთ-ერთი გამოვლინება, გონებამახვილური ჩანაფიქრში (conciutto) კი არის ღვთაებრივი გონის ნაწილი. გონებამახვილობის ორ მთავარ თვისებას, გამჭრიახობასა და მრავალმხრივობას შერის თეზაურო განსაკუთრებით მრავალმხრივობას აფასებდა. იგი წერდა, რომ გამჭრიახობას შეუძლია შეაღნიოს საგნების ფარული თვისებების არსში: „სუბსტანციაში, მატერიაში, ფორმაში, შემთხვევითობაში, თვისებაში, მიზეზში, მიზანში, საპირისპიროში, უმაღლესში, უმდაბლესში და ასევე ემბლემებში“, მრავალმხრივობა კი სწრაფად ახერხებს მოიცვას როგორც ყველა მათგანი, ისე მათი ურთიერთმიმართებანი და ურთიერთკავშირები, იგი „აერთიანებს და აცალკევებს, ზრდის და ამცირებს, გამოყავს ერთი მეორედან და გასაოცარი მოხერხებულობით ათავსებს ერთს მეორეს ადგილზე“. თეზაურო ამ პროცესს ფოკუსების მკეთებელს ადარებს და დასძენს, რომ ყველა ეს თვისება დამახასიათებელია მეტა-ფორისთვის, რომელიც არის „პოეზიის, გონებამახვოლობის, ჩანაფიქრის, სიმბოლოების დედა“. „სხარტი გონების“ სისტემა და საერთოდ თეზაუროს მთელი პოეტიკა მეტაფორაზე დგას.

მეტაფორა წარმოადგენს გონებამახვილობის საბოლოო მიზანს, რომელსაც სხვა რიტორიკული ფიგურებიც ეხმარება.

რაც შეეხება პროზას, აღსანიშნავია 1670 წელს პიერ-დანიელ ჟიეს მიერ დაწერილი „ტრაქტატი რომანის შესახებ“ (*Pierre-Daniel Huet, Traite de l'origine des romans* (1670)), რომელიც საგულისხმოა რომანსა და ეპოპეას შორის არსებული განსხვავებებათა კლასიფიკაციის თვალსაზრისით გამოთქმული მოსაზრებების გამო. რომანს იგი განსაზღვრავს, როგორც პროზაულად ოსტატურად დაწერილ გამოგონილ სასიყვარულო თავგადასავლებს, რომლის მიზანიცაა მკითხველისთვის სიამოვნების მინიჭება და განათლება. რომანში უნდა იყოს უამრავი ბუნდოვნება, მასში უნდა ჩანდეს სიკეთის გამარჯვება და მანკიერების დაგმობა.

## ბაროკოს ჟანრები

ბაროკოს ტიპოლოგიურმა ნიშნებმა განსაზღვრა ჟანრული სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოძრაობა. ბაროკოსთვის ნიშანდობლივია წინა პლანზე ერთი მხრივ რომანის და დრამატურგიის წამოწევა, განსაკუთრებით ტრაგედიისა, მეორე მხრივ კი კონცეფციურობისა და ენის თვალსაზრისით რთული პოეზიის კულტივირება. საერთო ჯამში კი ყველა ჟანრი ქმნიდა სამყაროს მოზაიკურ სურათს, ხოლო ამ სურათში განსაკუთრებულ როლს წარმოსახვა თამაშობდა, ამასთან, არც თუ იშვიათად ხდებოდა შეუთავსებელი მოვლენების შეთავსება მეტაფორულობისა და ალეგორიულობის გამოყენებით.

საყურადღებოა ბაროკოს ისეთი ჟანრი, როგორიც არის ემბლემა. ბაროკოს ლიტერატურის თავისებურება სახვით ხელოვნებასთან, გრაფიკასთან სიახლოვე იყო, სწორედ ამიტომაა, რომ ბაროკოს ეპიქაზი განსაკუთრებული პოპულარობა მოპოვა ემბლემატიკამ. ემბლემა განსაკუთრებული რიტორიკული წარმონაქმნია, რომელიც სამი წანილისგან შედგება: მოკლე

სათაურისგან (motto, lemma, inscriptio), ნახატისგან (pictura, image), რომელზეც სათაურთან დაკავშირებული კონკრეტული სცენაა ასახული; და მინაწერისგან (subscriptio) – ეპიგრამის-გან, რომელიც განმარტავს დახატულს და სათაურ-სენტენციას აკავშირებს ნახატთან. მინაწერსა და გამოსახულებას შორის კავშირის დამყარებით მჟღავნდება რაიმე ცხოვრებისეული სიბრძნე ან მორალური კანონი. ემბლემაში ბაროკოს პოეტიკის უმნიშვნელოვანესი ნიშნები განსხეულდა, ესაა მისი ალეგორიულობა და ენციკლოპედიზმი, მხედველობითის და სიტყვიერის შეთანხმება.

**ბაროკოს რომანი.** ბაროკო, თავისი ხაზგასმული მიდრეკილებით უსწორმასწორობისკენ, ღია იყო რომანის ჟანრის-თვის და რომანის პირველი ჩანასახები სწორედ ბაროკოს მიმდინარეობასთან არის დაკავშირებული. ბაროკოსთვის დამახასიათებელი ან-ტინომიურობა ბაროკოს რომანზეც აისახა, რომელიც ორი, „მაღალი“ ანუ არისტოკრატიული და „დაბალი“ ანუ დემოკრატიული მიმართულებით განვითარდა, მათი საერთო ნიშნები კი შემდეგში აისახა: პერსონაჟების და მოვლენების დიდი რაოდენობა, რომელიც სიუჟეტურ ლაბირინთად გარდაიქმნება, მიდრეკილება მოულოდნელის და განმაცვიფრებლისადმი, ამაღლებული დიდაქტიზმის სიყვარული, რომელიც შერწყმულია სინამდვილის პესიმისტურ ხედვასთან. „მაღალი“ რომანი უფრო მეტად საფრანგეთში განვითარდა პასტორალური რომანის სახით, რომელშიც პრეციოზულობა (**პრეციოზულობა** – ფრ. Preciosite, მომდინარეობს precieuse-დან – ძვირფასი, დახვენილი. პრეციოზულობა XVII საფრანგეთის კულტურული მოვლენა, რომელიც წარმოიშვა ბურჯუაზიულ-თავადურ გარემოში და დაკავშირებულია სალონურ ცხოვრებასთან) განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აისახა. პასტორალური რომანი სინამდვილეს განიხილავდა, როგორც მიუღებელს, მტრულს და მას უპირისპირებდა იდეალურ, ილუზორულ რეალობას, პასტორალური ოცნების მშვენიერ სამყაროს. ამ ტიპის საუკეთესო რომანად იქცა ონორე დ'ურფის ვრცელი რომანი „ასტრეა“ (1607-1625, მისი გმირები არიან ნიმფებად და მწყემსებად ნარმოდგენილი წარჩინებული

ახალგაზრდები. მათი ცხოვრების შინაარსია სიყვარული და დახვეწილი გრძნობები, რომელიც მხოლოდ რჩეულთათვის არის ხელმისაწვდომი). მოგვიანებით პასტორალური რომანი იცვლება გალანტურ-ჰეროიული რომანით სამხედრო-ავანტიურული და ფსევდო-ისტორიული თემატიკით (მარენა დე გომბერვილის „პოლიქსანდრეს განდევნა“, კალპრენდას „კასანდრა და კლეოპატრა“, მადლენ დე სკუდერის „იბრაჰიმი ანუ დიდი ფაშა“). გალანტურ-ჰეროიული რომანების ავტორები გამოირჩეოდნენ ფანტაზიის თავშეუკავებელი აღმაფრენით. სიუჟეტი და კომპოზიცია ხშირად არადამაჯერებელი იყო. მნიშვნელოვანია ამ რომანების მორალურ-დიდაქტიკური მიზანდასახულება: ავტორებს მიაჩნდათ, რომ მათ ნაწარმოებებს აღმზრდელობითი ხასიათი უნდა ჰქონოდა. „დაბალმა“ ბაროკომ აითვისა პრეციოზული რომანის მზა რიტორიკული ფორმულები, მოტივები და სიუჟეტური სქემები და სატირულად გადაიაზრა „ხალხური“ რომანის დიდი ფორმის შესაქმნელად. ბაროკოს პროზა ხშირად ამორფულია, იგი დამძიმებულია სწავლულობითა და დიდაქტიკით.

ბაროკოს „დაბალი“ რომანი ანუ პიკარესკა, ე.წ. ავანტიურული რომანი ყველაზე ადრე ესპანური ბაროკოს ლიტერატურაში განვითარდა, თუმცა იგი რენესანსის ლიტერატურის პირმშოა. ესპანეთში პიკარესკა გაჩნდა, როგორც პასტორალური რომანების ანტითეზა. ავანტიურული რომანის კლასიკური ნიმუშებია კევედოს „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრება, ფათერაკები და ხიფათები“ და მათეო ალემანის „გუსმან ალფარაჩეს ცხოვრება“, სადაც მკაფიოდ ჩანს პოლემიკა რენესანსის ჰუმანისტურ პრინციპებთან.

განსაკუთრებულ როლს ფრანგული ბაროკოს ლიტერატურაში თამაშობს საყოფაცხოვრებო რომანი. მისი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ იგი უბრალო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებით ინტერესდებოდა. აქედან მომდინარეობს მისი პოლემიკურობა და ლიტერატურაში სინამდვილის ყოველგვარი შელამაზების გარეშე ასახვისკენ სწრაფვა. მწერლის ძირითადი ინტერესი მიმართული იყო უბრალო ადამიანის ბედზე, რაც ლიტერატურის დემოკრატიზაციაზე მიუთითებს

(შარლ სორელის „ფრანსიონის კომიკური ცხოვრების მართალი აღნერა“, „ექსტრავაგანტული მწყემსი“, პოლ სკარონის „კომიკური რომანი“). სკარონის და სორელის რომანები წარმოადგენს „დაბალი“ ბაროკოს მხატვრული პრინციპების გამოხატულებას: ავანტიურული სიუჟეტი, კომპოზიციის თავისებურება: ჩვეულებრივ ერთმანეთზე აკინძული შემთხვევითობების წყება, რომლებთანაც დაკავშირებულია გმირის ფორმირება. XVII საუკუნისთვის დამახასიათებელმა პუბლიცისტურმა ტენდენციებმა, რომლებიც რეალობის კრიტიკულ ასახვასთან იყო დაკავშირებული გამოხატულება უტოპიური უანრის რომანში ჰპოვა (სირანი დე ბერჟერაკის „მთვარის სახელმწიფოები და იმპერიები“, „მზის სახელმწიფოები და იმპერიები“).

ცხოვრების არამყარობის განცდა, რომელიც ცხოვრების რეალურ პერიპეტიებს ასახავს, „დაბალ“ ბაროკოში განვითარდა, სადაც ცხოვრება თავისი უკულმართობით ხან აამაღლებს ადამიანს, ხანაც ცხოვრების მორევში ხის ნაფოტივით მოისვრის. ბაროკოს ამგვარი თავისებურება თვალსაჩინოდაა ასახულია გერმანული ბაროკოს უდიდესი წარმომადგენლის – ჰანს გრიმელსპაუზენის რომანებში. მის რომანში „სიმპლიცისიმუსი“ უდიდესი ტრაგიზმით არის გადმოცემული ხალხის ტანჯვა ოცდაათწლიანი ომის დროს, რომელიც „დაბალი“, დემოკრატიული ბაროკოს ნიმუშს წარმოადგენს. მასში სრულად აისახა ბაროკოს ნიშნები: რომანში სამყარო არა მხოლოდ სიბოროტის სამეფოა, არამედ იგი უწესრიგო და ცვალებადია. სამყაროს ქაოსი კი ადამიანის დანიშნულებას განსაზღვრავს: ადამიანის ბედი ტრაგიკულია, ხოლო ადამიანი სამყაროს ყოფიერებისა და ცვალებადობის განსახიერებაა.

ბაროკოს რომანთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ბაროკოსთვის დამახასიათებელმა მოძრაობისკენ განუწყვეტელმა სწრაფვამ მიანიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა ხასიათების დახატვას რომანში: აქ რომანის გმირების ხასიათები მოკლებულია სტატიკურობას, ისინი გარემოს ზემოქმედების შედეგად ფორმირდება და იცვლება. გარემოებათა მნიშვნელობის როლის აღიარება ადამიანის ხასიათის ჩამოყა-

ლიბებისთვის ბაროკოს ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

ბაროკოს პროზაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა პერიფერიულმა ჟანრებმა: მოგზაურობებმა, თავგადასავლებმა, კრებულებმა, სადაც ერთმანეთთანაა შერწყმული ნოველისტური და სამეცნიერო-ენციკლოპედიური მასალა.

**ბაროკოს დრამატურგია.** წამყვანი ჟანრებია საშინელებებით, სისხლიანი სცენებით და ვნებების ამოფრქვევით აღსავსე ტრაგედიები და სატირა. არამყარობის და შეშფოთების გრძნობამ, რომელიც ომებითა და სოციალური რყევებით იყო განპირობებული, წინა პლანზე წამოსწია ცხოვრების უკუღმართობის და ამაოების თემა (*Venitas venitatum*).

ბაროკოს დრამატურგიის კლასიკურ ოსტატად აღიარებულია ესპანელი დრამატურგი კალდერონი. თავის პიესებში იგი იყენებდა ლოგიკურად მწყობრ და დეტალურად გააზრებულ კომპოზიციას, სადაც უკიდურესად იყო გამწვავებული მოქმედების ინტენსივობა, რომელიც ერთი პერსონაჟის გარშემო იყო კონცერტირებული. ენა უაღრესად ექსპრესიული იყო. მის დრამატურგიაში აისახა ბაროკოსთვის დამახასიათებელი უაღრესად პესიმისტური საწყისი. კალდერონის შემოქმედების მწვერვალია მორალურ-ფილოსოფიური დრამა „ცხოვრება სიზმარია“, რომელშიც სრული სისავსით არის ასახული ბაროკოს მსფლეგრძნება: ადამიანის ცხოვრების ტრაგიკული წინააღმდეგობანი, საიდანაც ერთადერთი გამოსავალი ღმერთისკენ შებრუნება. ცხოვრება ასახულია, როგორც ტანჯვა, ყველა ცხოვრებისეული სიკეთე მოჩვენებითა, ხოლო რეალურ სამყაროსა და სიზმარს შორის ზღვარი წაშლილია, ადამიანური ვნებები წარმავალია და მხოლოდ ამ წარმავლობის გაცნობიერების მეშვეობით შეიცნობს ადამიანი საკუთარ თავს. ბაროკოს მსოფლალქმა მთელი სისრულით აისახა გერმანელი დრამატურგის, ანდრეას გრიფიუსის დრამატურგიაში, სადაც ტრაგედია სისხლიანია და სასტიკ დანაშაულებებს ასახავს („ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“). ტრაგედიაში ვითარდება ბაროკოსეული ამაოების მოტივი. გრიფიუსის ტრაგედიების მთელი მხატვრული სისტემა ემყარება ბაროკოსთვის დამახასიათებელ კონ-

ტრასტული წყობის პრინციპს, რომელიც სხვადასხვა დონე-ებზე ხორციელდება: იდეურზე, თემატურზე, კომპოზიციურზე, ენობრივზე.

ბაროკოს ეპოქაში კომედიასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ფართოდ იყო გავრცელებული გალანტური კომედია ცეკვებითა და სიმღერებით, რომელიც ფრანგული კომედია-ბალეტიდან განვითარდა.

**ბაროკოს პოეზია.** ბაროკოს პოეზიისთვის დამახასიათებელია ფორმების დახვეწილობა, ვიზუალურის და გრაფიკულის შერწყმა: ლექსი არა მხოლოდ იწერებოდა, არამედ „იხატებოდა“ კიდეც. ენა დახვეწილი, ამაღლებული და ღვარჭნილი იყო. ბაროკოს პოეზიაში გავრცელებული იყო სონეტი, რონდო, მადრიგალი, ოდა.

**ბაროკოს სკოლები.** ბაროკოს პოეტიკამ, რეალობის თავისებურმა შემეცნებამ და ეროვნულმა სპეციფიკამ დიდნილად განსაზღვრა ცალკეული ლიტერატურული სკოლებისა და მიმართულებების გაჩენა. მათ რიცხვს ეკუთვნის ესპანური გონგორიზმი ანუ კულტურანიზმი, რომელიც დაკავშირებულია ლუის დე გონგორას (1561-1627) სახელთან. იგი ესპანური ბაროკოს პოეზიის კულტისტური მიმართულებების დამფუძნებელი და მისი უმსხვილესი წარმომადგენელია, რომელსაც მისი სახელის მიხედვით, გონგორიზ-მსაც უწოდებენ. გონგორას მთავარი თეზისი ასე უდერს: „ხე-

ლოვნება უნდა ემსახურებოდეს რჩეულთა მცირე წრეს“. რჩეულთათვის „სწავლული პოეზიის“ შექმნის საშუალებად უნდა იქცეს „ბნელი სტილი“, რომელსაც პოეტის აზრით, ფასდაუდებელი მნიშვნელობა და ღირსება აქვს ნათელ, გასაგებ პროზა-სთან შედარებით. პირველ რიგში, იგი გამორიცხავს ლექსების უფიქრელად კითხვას. იმისთვის, რომ მკითხველი ჩასწვდეს რთული ფორმის აზრს და მასში „დაშიფრულ“ შინაარსს, მკითხველმა ლექსი რამდენჯერმე ყურადღებით უნდა წაიკითხოს. მეორეც, წინააღმდეგობათა დაძლევა ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს. მაშასადამე, მკითხველი „ბნელი სტილის“ წარმოების გაცნობისას უფრო მეტ სიამოვნებას იღებს, ვიდ-

რე საყოველთაოდ გასაგები პოეზიის კითხვისას. გონგორას პოეტურ არსენალში ბევრი კონკრეტული ხერხი იყო, რომლის მეშვეობითაც იგი ქმნიდა თავისი პოეზიის იდუმალების, დაში-ფრულობის შთაბეჭდილებას: მათ შორისაა ნეოლოგიზმების გამოყენება, ჩვეული სინტაქსური წყობის დარღვევა ინვერსიის მეშვეობით და განსაკუთრებით კი აზრის ირიბი გამოხატვა პე-რიფრაზების და გართულებული მეტაფორების მეშვეობით. სა-ბოლოო ჯამში, „ბნელი სტილის“ მეშვეობით გონგორა უარყოფ-და მისთვის საძულველ მახინჯ რეალობას და სილამაზე, რო-მელიც პოეტის აზრით წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო რეალურ ცხოვრებაში, თავის იდეალურ არსებობას ჰპოვებდა მხატვრულ ნაწარმოებში.

ესპანური ბაროკოს კიდევ ერთი მიმდინარეობაა **კონ-სეპტიზმი**. პოეზიაში მისი წარმომადგენლები არიან **ფრანსისკო კევედო (1580-1645), ლოპე დე ვეგა (1562-1635)**, ხოლო პროზა-ში – **ბალთაზარ გრასიანი (1601-1658)**. კონსეპტიზმის პოეტიკის საფუძველს წარმოადგენს განსაკუთრებით რთული, გაშლილი მეტაფორა – „კონსეპტი“, რომელიც აგებულია ერთმანეთთან აშკარა მსგავსების არმქონე საგნების დამსგავსებაზე (იტალ. concetto – აღქმა, წარმოდგენა, ცნება, უცნაური სახე. დახვეწილი მეტაფორის სახეობა, რომელიც ეფუძნება ერთმანეთისგან და-შორებული ცნებებისა და სახეების დაახლოებას. „კონსეპტის“ გაგება ხშირად ძალიან გართულებულია და მკითხველის ინ-ტელექტის აქტიურ მუშაობას გულისხმობს). კონსეპტიზმის სტილურ გამოვლინებას წარმოადგენს სიტყვების უცნაური თამაში, ელიტისისები და ოქსიმორონები.

**მარინიზმის** წარმოშობა დაკავშირებულია იტალიური ბა-როკოს უდიდეს წარმომადგენლის, **ჯანბატისტ მარინოს (1569-1625)** სახელთან. მას მიაჩნდა, რომ ადამიანი დაბადებული და განწირულია იმისთვის, რომ იტანჯოს და დაიღუპოს. მარინო რენესანსისთვის ჩვეულ ლიტერატურულ ფორმებს იყენებდა. პირველ რიგში, ეს იყო სონეტი, მაგრამ მას სრულიად სხვა ში-ნაარსით ტვირთავდა, ამასთან, იგი ახალ ენობრივ ხერხებს ეძებდა მკითხველის გასაოცებლად და განსაცვიფრებლად.

განსაკუთრებული ხერხი, რომელსაც მარინო მიმართავდა ურ-თიერთსაპირისპირო ცნებათა შეთავსება, ოქსიმორონები იყო. მაგალითად „სწავლული უვიცი“ ან „მდიდარი ლატაკი“.

## რელიგიური პოეზია

ბაროკოს რელიგიური პოეზია უაღრესად ემოციურია, იგი უხვად იყენებდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს თავისი რელიგიური განცდების, ცხოვრებსა და სიკვდილზე განსჯების გადმოსაცემად (საფრანგეთში: უან დე ლა კაპედი, ჩეხეთში ბედრუსის ბრიდელი, საქართველოში დავით გურამიშვილი).

ფრანგული ბაროკოს წიაღში ჩაისახა **პრეციოზულობა** (ფრ. Preciosite, მომდინარეობს precieuse-დან – ძვირფასი, დახვეწილი). პრეციოზულობა XVII საფრანგეთის კულტურული მოვლენა, რომელიც წარმოიშვა ბურუჟაზიულ-თავადურ გარემოში და დაკავშირებულია საღლონურ ცხოვრებასთან, ხოლო ფრანგული ბაროკოს ლიტერატურის ერთ-ერთ სახეობას **პრე-ციოზული ლიტერატურა** წარმოადგენს. ეს არის წმინდა ფრანგული კულტურულ-ყოფითი მოვლენა, რომელიც გამოხატავდა განსაკუთრებულ მსოფლალქმას და მუდავნდებოდა როგორც სოციალურ ურთიერთობებში, ისე თავისებურ მიდგომაში ლიტერატურისა და ენისადმი. პრეციოზული გარემო ისწრაფვიდა შეერთებინა კურტუაზულობის ძველი ტრადიცია და თანამედროვე მაღალი გემოვნება. პრეციოზულობა გულისხმობდა სიყვარულის ისეთ კონცეფციას, სადაც მთავარ როლს თამაშობდა ქალის თაყვანისცემა. გარდა ამისა, ნეოპლატონიზმის კვალდაკვალ, სიყვარული გაიგებოდა უპირველეს ყოვლისა, როგორც სულიერი, ინტელექტუალური სიახლოვე, ხოლო მისი ხორციელი მხარე ან საერთოდ უარყოფილი იყო ან შორეულ მომავალში ინაცვლებდა და მისი მიღწევა მხოლოდ ხანგრძლივი თაყვანისცემისა და არშიყის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი. პრეციოზული ლიტერატურა ამუშავებდა ლირიკისა და პროზის ჟანრებს. მრავალრიცხოვანი მადრიგალების, სონეტების, ეპისტოლეების, რონდოების მასალას წარმოადგენდა გალანტური სი-

ყვარული, მანდილოსნების სილამაზე, მაღალი წრის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები. პრეციოზული მიმდინარეობის პოეტთა შორის უყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ვინცენტ ვუატიური (1598-1648). პრეციოზულობამ საკმაოდ მკაფიო ასახვა ჰქოვა რომანის ჟანრში.

„დაბალი“, დემოკრატიული ბაროკო ფრანგულ პოეზიაში წარმოდგენილია „ლიბერტენების“ (თავისუფლად მოაზროვნეთა) პოეზიით. XVII საუკუნის განმავლობაში „ლიბერტინაჟი“ წარმოადგენდა საკმაოდ გავლენიან იდეურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რომელიც ერთგავარ გარდამავალ რგოლად იქცა რენესანსა და განმანათლებლობას შორის. „ლიბერტენები“ უარყოფდნენ ნებისმიერი ტიპის ავტორიტეტებს, მათ შორის ეკლესიასა და რელიგიას. თავისუფლად მოაზროვნეთა პოეზიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა „ბურლესკის პოეზია“ (იტალ. burla – დაცინვა, ხუმრობა), რომელიც აკრიტიკებდა საზოგადოების მანკიერ მხარეებს და ამავე დროს ლიტერატურულ პროტესტსაც წარმოადგენდა – ამაღლებულს და დიდებულს შეგნებულად ურევდა ყოფითსა და ჩვეულებრივთან. „ლიბერტენების“ პოეზიის ყველაზე კაშკაშა წარმომადგენელი, მორალის და სიყვარულის თემებზე შექმნილი მრავალრიცხოვანი ფილოსოფიური ლექსების ავტორი თეოფილ დე ვიოა.

ინგლისში ბაროკო „მეტაფიზიკური სკოლით“ გამოიხატა. „მეტაფიზიკური სკოლა“ პოეტების ერთი ჯგუფის პოეზიის ბაროკოულ მიმართულებას წარმოადგენს, რომლებმაც ჯონ დონის პოეტიკა მიიღეს, რაც გამოიხატებოდა „მეტაფიზიკოსების“ მიერ ბუნების ბაძვის უარყოფასა და გართულებულ მეტაფორულობაში. „სკოლის“ ცნების გამოყენება „მეტაფიზიკოსი“ პოეტების მიმართ საკმაოდ პირობითია, რადგან ისინი არ გაერთიანებულან და არ შეუქმნიათ ერთობლივი მანიფესტები, მაგრამ, მთლიანობაში, მეტაფიზიკოსმა პოეტებმა შეითვისეს ჯონ დონის ლირიკის ენერგეტიკა, რომელიც რეალობის ინდივიდუალურ განცდას ემყარებოდა. ისინი მისგან სტილურ ხერხებს სესხულობდნენ და სახე-კონცეპტებისა და სიმბოლოებისადმი მის მიღრეკილებას იმეორებდნენ. მეტაფიზიკოსთა წარმოებები დიდწილად განმსჭვალულია რელიგიური მოტივებით და სამყაროს დისპარმონიის განცდას გამოხატავს, რომელიც რაციონალურ ინტერპრეტაციას არ ექვემდე-

ბარება. „მეტაფიზიკური სკოლის“ ტრაგიკული მსოფლალქმა გამოსავალს მისტიკასა და ეროტიკაში პოულობდა. მის პოეტიკას ახასიათებს გონებაჭვრეტითობა, დისპარმონიულობა, განსაკუთრებული ტიპის ფორმალიზმი, რომელიც განსხეულებულია ცნებაში „კონცეპტიზმი“ (იხ. „კონსეპტუალიზმი“).

## მისტიკური ბაროკო

მისტიკური ბაროკო გამოხატავდა ბაროკოს ადამიანის ურთიერთობას მეტაფიზიკურ სამყაროსთან. რელიგიური აზრი – ღვთიურ, მარადიულ, იმქვეყნიურ ცხოვრებაში მასში ხორციელდებოდა რელიგიური მისტიკის ექსტაზით. მისტიკური ექსტაზის აზრი და არსი იყო გრძნობების დათრგუნვა-დამორჩილებით სრულყოფილი მისტიკური ერთიანობის მიღწევა და სულით ღმერთთან შეერთება. ღმერთთან მისტიკურმა გაიგივებამ შექმნა არა მხოლოდ რელიგიურად ეგზალტირებული, მის-ტიკური ატმოსფერო, არამედ გრძნობითიც (სინაზე, სიყვარულის ახსნა, ალერსი და ა. შ.). აქ საქმე ძირითადად რელიგიის სენსუალიზაციაში მდგომარეობდა, რომელიც ცდილობდა, ქრისტესა და ღვთისმშობლის, როგორც საყვარელი ადამიანების მიმართ გრძნობით განცდილი ნამდვილი და მისტიკური სასიყვარულო დამოკიდებულება გადმოეცა. მისტიკის მიმართ ბაროკოს მიდრეკილებად უნდა ჩაითვალოს ჯვარცმის სასტიკი სცენების, მონაშენებრივი სიკვდილის სცენების, ასევე ფიზიკური ტანჯვის აღწერა; განადგურების, გახრწნის, ლპობის ნატურალისტური ხატვა, უკანასკნელი სამსჯავროსა და ჯოჯონეთის აღწერა მთელი თავისი საშინელებითა და ტანჯვით.

ბაროკოს ლიტერატურა, რომელმაც ევროპის ყველა ქვეყანაში გავრცელდა, სცენიდან XVIII საუკუნის მიწურულს ჩამოვიდა. ბაროკოს მხატვრული პრაქტიკისა და ესთეტიკის მიმართ ინტერესმა ისევ გაიღვიძა მომდევნო ეპოქაში, რომლებმაც ბევრ რამეში აიტაცეს და განავითარეს ბაროკოს იდეები.

## **დამოხმებანი:**

**ბელენჯერი 1979:** Bellenger, Yvonne. La métamorphose dans la “Création du Monde” de Du Bartas //Actes du Colloque International de Valenciennes, 1979.

**ბრაგინი 1986:** Брагин, Л. М. Проблема нравственного идеала в этике Кристофоро Ландино. //Культура эпохи возрождения. Ленинград: Наука, 1986.

**გურევიჩი 1991:** Гуревич, П. , О человеческом в человеке. Москва: 1991.

**დელა ვალე 1995:** Della Valle, Daniela, Le thème de la Vanité dans la peinture et dans la poésie baroques françaises, Représentations et figurations baroques. Acts du colloque international d' Oslo, 13-17 september 1995 (Texts réunis par Karin Gunderson et Solveig Schult Ulriksen).

**ერვი 1938:** Hervier, Marcel. L'Art poétique de Boileau. Editions Mellottee. 1938.

**ვარაჟსიჩი 2010:** Вераксич И.Ю. *История зарубежной литературы XVII–XVIII веков*. Курс лекций. Мозырь, 2010.

**ვარნერი 1954:** Warner P. Freidrich and col., Outline of Comparative Literature, 1954

**ვარნკი 1992:** Warnke, Frank, The Baroque from the Mediterranean to Northern Europe in Comparative Literary History as Discourse, Bern: 1992.

**ვაშიცა 1936:** Vašica, Jozef. České literární baroko. 1936.

**ვიპპერი 1990:** [Ю. Б. Виппер, О разновидностях стиля барокко в западноевропейских литературах XVII века // Творческие судьбы и история, М., 1990.

**ისტორია 1987:** История зарубежной литературы XVII века. Москва: 1987 .

**კენჭომვილი 1973:** კენჭომვილი ი. ქართული ავთენტური ბაროკოს გამო. ჟ. ცისკარი, № 9, 1973.

**მინარიკი 1985:** Minárik, Jozef. Dejiny slovenskej literatúry, I, Staršia slovenská literatúra, (800-1780), SPN, 1985.

**ნაჭყებია 2009:** ნაჭყებია მ. ქართული ბაროკოს საკითხები. თბილისი: „მერანი“, 2009.

**ნაჭყებია 2016:** ნაჭყებია მ. რენესანსული ანტროპოცენტრიზმიდან ბაროკულ თეოცენტრიზმამდე. სჯანი, 17. თბილისი: 2016.

**პასხარიანი 1996:** Н. Т. Пахсарьян. Французская литература XVII-XVIII вв. Москва: 1996.

**როტებბერგი 1971:** Ротенберг, Е. И.. Барокко. -- Памятники мирового искусства. Западно-европейское искусство XVII века. М., Искусство, 1971.

**რუსე 1953:** La Littérature de l'âge baroque en France. Circé et le Paon. Paris: José Corti, 1953.

**რუსეთ 1961:** Rousset, Jean. Antologie de la poésie baroque française, Paris, Colin, 1961

**სოფორონოვა 1982:** Софронова, Л. А., Принцип отраження в поэтике барокко // Барокко в славянских культурах, Наука, М., 1982.

**სულიე 1999:** Soulier, Didier. Le Baroque en question(s). Litteratures Classiques, # 36, 1999.

**ტურნანდ 1970:** Tournand, Jan-Claude. Introduction à la vie littéraire du XVIIe siècle, Bordas, Paris: 1970.

**შედოზო 1989:** Chédozeau, Bernard. Le Baroque, NATHAN. 1989.

**შევო 1997:** Chauveau, Jean-Pierre. Lire le baroque, DUNOD, Paris: 1997.

**შმატლაჟი 2002:** Šmatlák, Stanislav, Dejiny slovenskej literatúry I. (ďalej DSL I.) Bratislava : NLC 2002.

## სენტიმენტალიზმი

**სენტიმენტალიზმი** (ინგ. sentimental – მგრძნობიარე; ფრ. sentiment – გრძნობა) – XVIII საუკუნის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი მხატვრული მიმდინარეობა კლასიციზმისა და როკოკოსთან ერთად.

სახელდების წარმოშობას უკავშირებენ ლორენს სტერნის 1768 წელს გამოცემულ, დაუმთავრებელ რომანს „სენტიმენტალური მოგზაურობა საფრანგეთა და იტალიაში“ („A sentimental journey through France and Italy“). ამასთანავე, მიუთითებენ, რომ იგი ამკვიდრებს ტერმინ „Sentimental“-ის ახლებურ გააზრებას ინგლისურ ენაში. თუ ოქსფორდის დიდი ლექსიკონი, ოციოდე წლით ადრე, მას როგორც „გონივრულს“, „კეთილგონიერს“ განმარტავს, ან უკვე, იგი გრძნობისმიერის შინაარსით იტვირთება და სტერნის წყალობით, „მგრძნობელობითად“ მკვიდრდება. ხაზგასასმელია, რომ ინგლისურენოვან მკვლევართა ტექსტებში უპირატესობა უფრო „სენტიმენტალურ რომანს“, „სენტიმენტალურ პოეზიას“ თუ „სენტიმანტალურ დრამას“ ენიჭება.<sup>1</sup> ფრანგი და გერმანელი კრიტიკოსები კი „სენტიმენტალურობას“ ემხრობიან, ვითარცა განსხვავებულ ეპოქათა და თხზულებათა აღმნიშვნელ გამორჩეულ კატეგორიას.

აღსანიშნია, რომ სტერნისგან დამოუკიდებლად, ტერმინს განსხვავებული შეფერილობით მოიმარჯვებს ი. კ. ფ. შილერი – „über naive und sentimentalische Dichtung“ („ნაივური და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“, 1797); დასავლეთევროპული ლიტერატურამცოდნეობითი აზრი დიდად არ სწყალობს ამ ტერმინს. გ.ე. ლესინგის ხელდასხმით (იგულისხმება ი.ი. ბოდესადმი), სტერნის პირველი მთარგმნელისადმი 1768 წ. მიწერილი წერილი) გერმანელები უპირატესობას „empfindsam“-ს (მგრძნობელობას) ანიჭებენ. ამასთანავე, ერთიან კონცეპტად აღიქვამენ ე.წ. „გრძნობისმიერ პოეზიას“ (empfindsame Dichtung), რომელიც სასულიერო სიმღერებს, ეპისტოლურ რომანს, თვალცრემლიან

კომედიას და მისთ. მოიცავს, რასაც ინგლისელები და ფრანგები „კლასიციზმის დაკნინებად“, მის დეფორმაციად, „პრერომანტიზმად“ თვლიან.

სხვა მოსაზრებით, სენტიმენტალიზმის ფუძისჩამყრელად ინგლისურ ლიტერატურაში ბუნების სურათების პოეტურად აღმნერს, ჯ. ტომსონს მიიჩნევენ („ნელინადის დრონი“, 1726-30).

XVIII და XIX სს-ის დასაწყისისთვის ნათლად იკვეთება იდეათა და გრძნობათა გარკვეული კომპლექსურობა, რომელიც დასავლეთ ევროპულ ფილოსოფიურ ნააზრევში აისახება, მოიცავს რა განმანათლებლური რაციონალიზმის ნიშნებს ჟ. ჟ. რუსოს მეთავეობით. ყალიბდება გარკვეული დაპირისპირებულობა „გრძნობასა“ და „გონს“ შორის და ამ ფონზე, „გულისმიერის“ ნარმმართველობა ადამიანური ყოფიერებისათვის. ფილანტროპიის ქადაგება, პიროვნული უფლებების ზეობა, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ბუნების კულტი, სისადავე და ბუნებრიობა. შეიძლება ითქვას, რომ სენტიმენტალიზმი „გრძნობასა“ და „გონების“ მეტოქეობას წარმოაჩენს; პიოვნებისეული სულიერი წონასწორობის საფუძველს კი გულმანწყალება და ზნეკეთილობა წარმოადგენს.

სენტიმენტალიზმი, როგორც მხატვრული პროცესი, აცნობიერებს ამგვარ მხატვრულ კონცეფციას: ფოკუსირებულია ღრმად ემოციური, ბუნებათანაზიარი და გამძაფრებული შთაბეჭდილების მქონე პიროვნება, რომელიც კეთილშობილებას, ზნემაღლობას ესწრაფვის და ბოროტეულს უპირისპირდება.

სენტიმენტალიზმი რაციონალისტურის ოპოზიციური კონცეპტია, მიმართული პიროვნებისეული სათნოებისა და ზნეობრივი საწყისისადმია. დადებითი გმირები იდეალიზებული სახით არიან წარმოჩენილნი და პერსონაჟთა ხასიათის გახსნისას, იკვეთება კეთილისა და ბოროტი საწყისის მკვეთრი გამიჯვნის მცდელობა. მცდარად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ სენტიმენტალიზმი რეაქციაა კლასიციზმზე. აქ საუბარი მხოლოდ ოპოზიციურ მომენტებზე, გარკვეულნილად შეპირისპირებაზეა შესაძლებელი.

სენტიმენტალიზმის ფილოსოფიური საყრდენი სენსუალიზმია, რომელიც წინ წამოწევს „მგრძნობიარე“, „ბუნებრი-

ობით“ დაჯილდოებულ პიროვნებას. სამყაროს შეცნობა სენ-სულისტური თვალთახედვით, სწორედ გრძნობებითაა შესაძლებელი. XVIII ს-ის დასაპყისისათვის სენსუალიზმი მკვიდრად იყიდებს ფეხს ლიტერატურაში, ზოგადად ხელოვნებაში.

სენტიმენტალისტი მწერლისთვის ყოველივე საინტერესოა, არაა აუცილებელი რაღაც გამორჩეული, განსაკუთრებული მოვლენის ან პიროვნების წარმოჩენა. იმდენად, რამდენადაც ესა თუ ის მოვლენა თუ პიროვნება თავად მოიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ინტიმურ, ერთეულ, განუმეორებელ ამბავს. ყოვლად შეუმჩნეველი, არაფრით საინტერესო ბიოგრაფიული ისტორია სენტიმენტალისტურ ნარატივში შეიძლება სრულიად ახლებურად წარმოჩნდეს.

სენტიმენტალური ლიტერატურის ტექსტი მდორედ მიედინება, მას თითქოს არსად ეჩქარება; დამახასიათებელი ფორმაა განელილი, დინჯი, ზნებრივ-შეგონებითი რომანი. წესის-ამებრ, პერსონაჟები გატაცებულნი არიან დღიურების და ასევე განელილი წერილების წერით, რომლებშიც საკუთარი გულის-ნადები თუ სანეტარო ოცნებებია გამუდავნებული. ეს ნიშანი გვიხასიათებს სენტიმენტალისტებს ფსიქოლოგიური ანალიზის ერთგვარ ნოვატორებად. მათი დამსახურებაა გარეგნული მახა-სიათებლების შინაგან სამყაროში გადატანა. საფიქრებელია, რომ ეს მომენტიც აპირობებს თავად ტერმინისმიერ („სენტი-მენტალური“) შინაარსს. XVIII საუკუნის შუახანების ინგლის-სა და ნაწილობრივ საფრანგეთში წვრილი ბურჟუაზისმიერი სენტიმენტალიზმი, ფაქტობრივად, დიდაქტიური რეალიზმია, რომელიც ე.ნ. საოჯახო რომანის და დრამის სახით არსებობს. სენტიმენტიალიზმი, როგორც ითქვა, ერთგვარად პროტესტუ-ლად განწყობილი მოვლენაა განმანათლებლობის ეპოქის მშრალ გონიერობას დაპირისპირებული.

სენტიმენტალიზმს მკვიდრად უკავშირდება უან-უაკ რუ-სოს გამორჩეული ფიგურა; რომელმაც გავლენა იქონია მისი თანადროული შეხედულებების და გემოვნების ჩამოყალიბება-ზე. ასევე, ფილოსოფიაზე და ლიტერატურაზე. რუსოიზმი სენ-ტიმანტალიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკური საფუძველია. იგი შეენინააღმდეგა კლასიციზმის ეპოქაში გამეფებულ რაციონა-

ლიზმს. რუსოსეულად, გრძნობა და მგრძნობიარობა სულის-მიერი აქტივობის სპეციფიკური ფორმაა. მისეული ფორმულა, ალბათ, ამგვარი უნდა ყოფილიყო: „ვგრძნობ, ესე იგი ვარსებობ“. ამდენად, გრძნობათა პრიორიტეტულობა, ალტრუიზმი, ბუნების ესთეტიკური თვალსაწიერით აღქმა, პრიმიტივიზმისა და სოფლური ყოფის იდეალიზება, რუსოზმის პრინციპებისა და ესთეტიკის დამკვიდრება, სენტიმენტალიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ საფუძვლად გვევლინება.

ადამიანური განცდებისადმი ინტერესის გამძაფრებას ხელი შეუწყო განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისეთმა კონცეპტებმა, როგორებიცაა „ბუნებრიობა“ და „უშუალობა“. სენტიმენტალისტთა თვალთახედვით, აღნიშნული ცნებები ბუნების შინაგანი საზრისისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს ურთიერთობიმართებას, თანახმიანობას აცნობიერებენ. ეს აპირობებს ავტორთა განსაკუთრებულ დაინტერესებას გარესამყაროს (ბუნების) სურათების აღწერისადმი, მასში მიმდინარე პროცესებისადმი. ასევე, ცალკეული პიროვნების ცნობიერებაში მიმდინარე ემოციური ძვრების გამოვლინებებისადმი.

სენტიმენტალიზმის ესთეტიკა თითქოს ეპიკურ ნარატივს მიელტვის მეტი სიხშირით, თუმცა გამორჩეული ლირიკული და დრამატული თხზულებებიც საკმაოდ არის შექმნილი. ძირითადად, გარესინამდვილის ასახვა ჩანს პრიორიტეტულად, მაგრამ რეალისტური ხედვისგან განსხვავებით, იგი ერთგვარად გულუბრყვილოდ და იდილიურად ნარმოაჩენს სამყაროს. ხშირია პიროვნებისადმი მტრულად განწყობილი, ზნეშერყვნილი გარემოდან თავის დაღწევის მოტივი. ცხოვრებისეული „უთავბოლობისა და უსწორმასწორობის“ ახსნას კი ოდენ სულიერებით ცდილობს. სტერნი, მგრძნობიარობას, ადამიანის უაღრესი ტყბობის და მძაფრი ჭმუნვა-მწუხარების უშრეტ წყაროდ მიიჩნევდა. ზოგადად, სენტიმენტალიზმში წინამოწეულია გრძნობის პრიმატი, არვინ ერიდება გრძნობათა შენილებას, პირუკუ – გულის აჩუყყება სიქველედაც კი არის აღქმული. რა თქმაუნდა, ყოველივე ეს უკუშედეგსაც იძლეოდა, მოჭარბებული გრძნობააღვსილობა

აკნინებდა მამაცური ნების გამოხატვას. სენტიმენტალისტი მწ-ერლები ყურადღებას ამახვილებდნენ ადამიანურ განცდებზე, სევდიან გუნება-განწყობილებაზე, იმედგაცრუებაზე; აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება ტექსტების ძირითადი შეფერილ-ობა – მელანქოლია.

მელანქოლიური აღქმის „ტკბილსაამური“ განწყობა კვე-ბავს სენტიმანტალისტების გრძნობათა პრიმატს. დასტურად ტომას გრეის „სოფლის სასაფლაოზე დაწერილი ელეგია“ იკ-მარებდა. გრეი, გარკვეულნილად, ეხმიანება ედვარდ იუნგის გუნება-განწყობას, მოტივირებულს სასაფლაოსმიერი იდუმ-ალებით, ქვა-ჯვრებით და ეპიტაფიებით (იხ. ე. იუნგის „The Complaint: or Night Thaughts on Life, Death, and Immortality“; – რე-ლიგიური ხასიათის პოემა „საჩივარი ანუ ღამეული ფიქრები სიცოცხლეზე, სიკვდილზე და უკვდავებაზე“). სენტიმენტალ-იზმის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად მორალიზმი და ზნეს-რულობის ქადაგება გვევლინება. სენტიმენტალისტები „ვალ-დებულად“ თვლიან თავს დაამკვიდრონ აზრი, რომ სამყაროს ზნეობრივი წესრიგი მართავს. საგანთა და მოვლენათა სევდაშ-ემოსილი იდილიურ-იდეალიზებული სურათები ასევე გამორ-ჩეული მახასიათებლებია ამ მიმდინარეობისა, და ეს იდილი-ურობა-იდეალიზაცია ყველაზე მეტად ბუნებისმიერ სფეროზე პროეცირდება. მიუთითებენ, რომ აქ ნათლად იგრძნობა უ.უ.-რუსოს ზეგავლენა, რომელიც პირველობას და წარმმართველო-ბას ბუნების პრიმატს ანიჭებდა. თუ კლასიციზმის მამამთავარი ბუალო მოითხოვდა მოქმედების მთავარი არეალი ლიტერატუ-რული ტექსტებისა, სამეფო კარი და ქალაქი ყოფილიყო, სენ-ტიმენტალისტები, არაიმვიათად, მიელტვიან პროვინციას, უპი-რატესობას სოფლურ ცხოვრებას ანიჭებენ და პატრიარქალურ შეურყვნელობას აიდეალებენ. სენტიმენტალურ ტექსტებში სასიყვარულო-სატრაფიალო პერიპეტიები, ძირითადად, ბუნების სურათების აღმატებულად წარმოჩენის ფონზე ვითარდება. ავ-ტორები უშურველად იყენებენ ფერთა სიმრავლეს პეიზაჟთა აღ-ნერისას; ეტრაფიან ღამეულ მთვარის ნათელს, ფრინველთა გა-ლობას, გული უჩუყდებათ ყვავილნარის ხილვისას. ამასთანავე,

მკვეთრად გასამიჯნია გულის საწადელის ჰიპერბოლიზებულად წარმოჩენა, თვალცრემლიანი გრძნობააშლილობა და სენტი-მენტალისტური მსოფლალქმის ის საღი მარცვალი, რომელიც უბრალოებას, ბუნებრიობას, ადამიანურ გულისხმიერებას და შინაგან წესიერებას უზენაეს უფლებად მიიჩნევენ.

\* \* \*

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია წარმოაჩენს გრიგოლ რჩეულიშვილის სახელს, რომელსაც წინარე კრიტიკული ტრადიციცია უკავშირებს სენტიმენტალიზმის მიმართულებას. ამ მხრით, პირველობა აღ. ხახანაშვილს ეკუთვნის – „ახ, მთვარევ, მთვარევ“... ეს ლექსი ახასიათებს მის სენტი-მენტალისტურ მიმართულებას და აკავშირებს მას დასავლეთ-ევროპელთა მწერლებს“ (ხახანაშვილი 1913: 78).

სამართლიანია აზრი, რომ სენტიმენტალისტური სტილის მოდურად ქცევა დაემთხვა ევროპული ბურჟუაზიის აღმავ-ლობას, ამასთანავე, იგი შეიცავდა ჯანსაღ, პროგრესულ ნიშან-თვისებებს. ოღონდ, კარდინალურად განსხვავებული რამაა XIX ს. 50-იანი წლების ქართული ბურჟუაზიული კონცეპტი, რასაც ნათლად ასახავს გ. ქიქოძის პოზიცია: „ბურჟუაზია, რომელიც საქართველოს ქალაქებში განვითარდა და ჩამოყალიბდა მეცხ-რამეტე საუკუნეში, უმეტეს წილად, უცხოეთიდან ჩამოთესლე-ბული ელემენტებისგან შესდგებოდა; ის ქართველი ერის კულ-ტურასთან ნაკლებად დაკავშირებული იყო ორგანულად და ის-ეთს ზნეობრივად ჯანსაღ ძალას არ წარმოადგენდა, როგორც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია იყო თავისი სიჭაბუკისა და სიმ-ნიფის პერიოდში. ქართული ლიტერატურა თავდაპირველად მას უფრო კომიკური მხრიდან ხედავდა (ქიქოძე 1946: 139).“

საქართველოში სენტიმენტალიზმის ტენდენციები XIX ს. 60-იანი წლებიდან იჩენს თავს. ქართული პროზა და პოეზია ხასიათდება სენტიმენტალიზმისათვის ნიშანდობლივი ჭარ-ბი მგრძნობიარობით გამოხატული დღიურებით, მოგზაურუ-ლი ჩანაწერებით, ელეგიური სტილით, მელოდრამატული განწყობილებით.

სენტიმენტალური ხასიათის თხზულებადაა მოაზრებული დავით ბატონიშვილის „ახალი შიხი“, გრ. რჩეულიშვილის „ნაოხარი სოფელი“, „მწყემის სიყვარული“, გრ. ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურლამდის“ და სხვ. ხაზგასასმელია, რომ სენტიმენტალისტური ტენდენციების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თარგმნილმა ნაწარმოებებმა. მთარგმნელობითი საქმიანობით გამოირჩეოდნენ ს. მესხიშვილი, დ. ციციშვილი, ი. კერესელიძე, რ. ერისთავი, ე. ერისთავი.<sup>2</sup>

ჩვენეულად, XIX ს. 50-იანი წლები ნაგვიანები ეტაპია ჩვენი სენტიმენტალიზმისა, როგორც მიმართულების დამკვიდრებისათვის, მან ხომ ნახევარი საუკუნის წინ ამონურა თავისი არსებობა. ამდენად, გავლენაზე და მიმართულების „რეანიმაციაზე“ საუბარი ნაკლებად საფუძვლიანია. დასტურდება ოდენ სენტიმენტალური განწყობილების გამოვლენა, რაც მწერლობის არსებობის თითქმის ნებისმიერ ეტაპზე შეიმჩნევა. ქართულმა კრიტიკულმა აზრმა ტოლობის ნიშანი დასვა სენტიმენტალიზმს, როგორც მიმდინარეობასა და სენტიმანტალური განწყობილების გამუდავნებას შორის. ჩვენი აზრით, ეს მცდარი პოზიციაა.

საქართველოში სენტიმენტალიზმი მაინც პასიურ ლიტერატურულ პროცესად სჩანს, რომელიც რეალიზმის ჩასახვა-განვითარების ნინარე საფეხურია. იგი უფრო ეპიგონური ხასიათისაა.

\* \* \*

სენტიმენტალისტური რომანი – „ბურჟუაზიული დრამის“<sup>3</sup> დარად, სენტიმენტალისტური რომანის ჩასახვის ხანად XVIII საუკუნის შუახანები ითვლება. რის წანამძღვრად სოციალური, ფსიქოლოგიური და ლიტერატურული ფაქტორები მიიჩნევა. ახლადგაჩენილი ბურჟუაზიული საზოგადოება უკვე ვეღარ ეგუუბოდა მანამდე არსებულ არისტოკრატიულ-სალონურ და სათავგადასვლო რომანებს და ცვლილებებს ითხოვდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ რომანის არსებულმა ფორმამ ამონურა თავი

და ერთგვარ შემაფერხებელ ფაქტორსაც კი წარმოადგენდა მხატვრული ნოვაციების მსურველი მწერლებისათვის. სენტი-მენტალისტური რომანი სიახლის დამამკვიდრებელი აღმოჩნდა ზოგადად ლიტერატურული პროცესისა, რომელიც სენტიმენტალიზმის სახელდებით ჩამოყალიბდა, რასაც, თავის მხრით, ხელი შეუწყო ბუნების, გრძნობააღვისლობის, კაცთმოყვარეობის კონცეპტათა ტრიადამ. ბუნების შეცნობა და პიროვნებისეულ ყოფიერებასთან შეუღლება ლიტერატურაში, სენტიმენტალისტების დამსახურებაა; რომელიც, შემდგომში, თავისებურად წარმოაჩინეს რომანტიკოსებმა. როგორც მიუთითებენ, რუსომ აღძრა „ბუნებრივი ადამიანის“ იდეა. ბუნებისმიერ ადამიანს იგი უპირისპირებს „საზოგადოების მიერ შექმნილ ადამიანს“.

სენტიმენტალიზმში, წინარე ლიტერატურული პროცე-სებისგან განსხვავებით, აზრობრივ-შინაარსობრივი მახვილი სახელმწიფოდან, პიროვნებაზეა გადატანილი. გამორჩეული მახასიათებელია პიროვნების შინაგანი ძვრების, ვნებათაღელ-ვის წარმოჩენა გარემობუნების თანახმიანად. ამდენად, სენტი-მენტალიზმის ესთეტიკის საფუძველი ბუნების გაცნობიერება-ბაძვაა. თავად სენტიმენტალისტური რომანი, როგორც უანრუ-ლი სიახლე, წინა პლანზე მგრძნობელობითს (მგრძნობიარობას) წამოწევს, მიეღლტვის ბუნების პრიმატს, მარტივ, ჰუმანურ, გულ-მოწყალე დამოკიდებულებას ადამიანისადმი.

სენტიმენტალისტური რომანის და, ზოგადად, სენტი-მენტალიზმის შესაფასებლად საინტერესოდ გვესახება ილია ჭავჭავაძის პოზიცია: „როცა გამოჩნდა გეტე თავისი „ვერტერით“, ბერნარდენ სენ-პიერი თავისი „პოლი და ვირგინიათი“, უან-ჟაკ რუსო თავისი „ელოიზით“, მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატებობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუ-კლასიკური მიმართულებით დათრგუნვილნი მწერალნი მივარდნენ მშიერსავით ახალშობილს პოეზიის მიმართულებასა; მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს „ვერტერი“, ვერც „ელოიზა“ უან-ჟაკ რუსოსი და ვერც „პოლი და ვირგინია“ ბერნარდენ სენ-პიერისა; ამაში სენტიმენტალური სული მოესმათ: ეგ სული მიმდევართა განავითარეს და დაპატიჟეს სენტიმენტალური სკოლა“ (ჭავჭავაძე 1927: 60-61).

მხატვრულ ფორმად სენტიმენტალისტური რომანი ინ-  
გლისში ყალიბდება. უკავშირდება სამუელ რიჩარდსონის, ჰენრი  
ფილდინგის და ლორენს სტერნის სახელებს. თუ რიჩარდსონი-  
სეული ხედვა პათეტიკურ სენტიმენტალური ხასიათისაა („პა-  
მელა“, „კლარისა ჰარლო“, „სერ ჩარლზ გრანდისონი“). ჰენრი  
ფილდინგი რიჩარდსონის ხელნერას სენტიმენტალისტურ-რე-  
ალისტურად გარდაქმნის, მთავარი მიზანი კი სინამდვილის მარ-  
თებული ასახვაა (რიჩარდსონისეული „პამელას“ პაროდირების  
მცდელობით აღბეჭდილი რომანი „ჯოზეფ ენდრიუსი“, გამორ-  
ჩეული მხატვრული სისრულით შექმნილი „ტომ ჯოუნზის, ნა-  
პოვარას ამბავი“ და „ამელია“). აღსანიშნავია, რომ ტრადიციულ  
დიდაჭტიზმის ფილდინგი იუმორისტულ პასაჟებს უზაჟებს, რაც,  
მოგვიანებით, ლორენს სტერნისთვის დამახასიათებელი სტი-  
ლური ნიშანი ხდება. მას მიიჩნევენ იუმორისტული სენტიმანტა-  
ლისტური რომანის შემქმნელად („ცხოვრება და შეხედულებები  
ტრისტრამ შენდისა, ჯენტლმენისა“ და „მისტერ იორკის სენ-  
ტიმენტალური მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში“). დი-  
დაჭტიზმი და მორალისტობა სტერნს არ იზიდავს, გამოკვეთილი  
ინდივიდუალისტი, იგი საკუთარ შინაგან სამყაროს ულრმავდება  
და სწრაფად ცვლადი ხასიათის მიმოხრის ანალიზითაა დაკა-  
ვებული (რასაც დიდი მწერლური ოსტატობით გადმოგვცემს).  
გამორჩეულ ხელნერას სტერნს სენტიმენტალობისა და სპე-  
ციფიკური ინგლისური იუმორის ნაზავი ანიჭებს. მისმა შემოქ-  
მედებამ საგრძნობი კვალი დატოვა ევროპულ რომანისტიკაში,  
ვოლტერმა მას „მეორე ინგლისელი რაბლე“ უწოდა. გერმანიაში  
„სტერნიანელთა“ მოძრაობაც კი შეიქმნა.

თუ ინგლისური რომანის დამწყებად დანიელ დეფო ითვ-  
ლება, საკუთრივ ამ ჟანრული ფორმის მწვერვალად ფილდინ-  
გის „ტომ ჯოუნზის ნაპოვარას ამბავი“ მიიჩნევა. ავტორმა რო-  
მანს კომიკურ-იუმორისტული ელფერი შესძინა; ეპიკურისა და  
დრამატულის შერწყმით კი ყოველდღიურობას დაუახლოვა.  
კოლრიჯი აღნიშნავდა, რომ „რიჩარდსონის მერე, ფილდინგის  
ნაწერების კითხვა, სნეულის ოთახიდან მაისის მზიან მდელოზე  
გამოსვლას ეტოლებაო“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, აღბათ, ჯეინ ოსტენი (მიღებული ნორმაა ოსტინის ფორმითაც მოხსენიება); მისადმი კეთილგანწყობილი თანამედროვენიც კი დიდად არ თუ ვერ აფასებდნენ ავტორის თხზულებებს. მით უფრო გაოცდებოდნენ, რომ სამი საუკუნის შემდგომ მას ისევ კითხულობენ. დიკენსს წარმოდგენა არ ჰქონდა ოსტენის არსებობაზე, შარლოტა ბრონტე კი დამამცირებელ გამონათქვამებსაც კი არ ერიდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ოსტენის ნაწარმოებები ანონიმურად, მავანი „ლედის“ სახელით ქვეყნდებოდა და ერთგვარად, ჩრდილში რჩებოდა. ამისდამიუხედავად, ვალტერ სკოტი მას თანამედროვე რომანის შექმნელად თვლიდა. ეს მაშინ, როდესაც ბაირონი, ბალზაკი, სტენდალი თავად ვალტერ სკოტს მიიჩნევენ თანამედროვე რომანის მამად“.

ძირითადი აღიარება ჯეინ ოსტენის თხზულებებისა მაინც XX საუკუნეში მოხდა; მისი რომანების (საკულტოდ ქცეული „სიამაყე და ცრურნმენა“, „გრძნობა და გონება“, „დარწმუნება“) მხატვრული სამყარო „ჩვეულებრივი“, „უბრალო“ პერსონაჟებითაა წარმოდგენილი. არსებულ გარემოს და მასში „დასახლებულ“ გმირებს ავტორი ირონიულად გვაწვდის. მიუთითებენ, რომ ყურადღება გამახვილებულია ტიპიურ ინგლისურ „სენზე“ – სნობიზმზე, რომელსაც შემდგომში, თეკერეიც არ აუვლის გვერდს. ოსტენის დაუნდობელი სატირული კალამი ტოლად გვიხატავს როგორც არისტოკრატიას, ასევე, ნუვორიშებსა და განსხვავებული ეკონომიკური შესაძლებლობების დიდგვაროვნებს.

ინგლისური ლიტერატურის თეორეტიკოსი ჯ. გუდდონი წერს, რომ კიტსის, კოლრიჯის და უოდსვორთის თხზულებების კითხვისას, იმგვარი შეგრძნება გეუფლება, რომ მათი შინაგანი განწყობა „ნინარერომანტიკული სენტიმენტალიზმია“. სენტიმენტალიზმიდან რომანტიზმზე გარდამავლ ეტაპად მოიაზრება ასევე, ე.წ. „სასაფლაოსმიერი სკოლის პოეტთა“ – ტომსონის, იუნგის, ბლერის, გრეის, მაკფერსონისა და პერსის შემოქმედებაც.

**საფრანგეთში** სენტიმენტალისტური ტენდენციები შეზღადებულია XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში ფილიპ დეტუშის იუმორითა და ენანწყლიანობით აღზეჭდილი კომედიებით. 40-

იანი წლებიდან კი ყოველივეს პ. კ. ლაშოსეს „თვალცრემლიანი კომედიები“ ამყარებს. ანტუან ფრანსუა პრევო (აბატი პრევო) სიყვარულის ამამალლებელ და პიროვნული თვისებების მომნიჭებელ გრძნობებს ასახავს მის ყველაზე გახმაურებულ თხზულებაში „კავალერ დე გრიეს და მანონ ლესკოს ამბავში“.

„თვალცრემლიანი კომედიის“ ელემენტების ტრანსფორმაციით დ. დიდრო ამკვიდრებს „მეშჩანური დრამის“ ჟანრს; 1773 წელსაა დაწერილი ცნობილი რომანი „ჟაკ-ფატალისტი და მისი ბატონი“, რომელსაც სტერნის ზეგავლენა ემჩნევა. მისათოთებელია, რომ დიდროს არაერთი ნაწარმოები აკრძალული იყო და მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ დაისტამბა.

ფრანგული სენტიმენტალიზმი სრულყოფას ჟ.ჟ. რუსოს ეპისტოლურ რომანში „ახალი ელოიზა“ აღწევს. წერილების და ჩანაწერების სუბიექტურ-ემოციური ხასიათი ფრანგული ლიტერატურისთვის ნოვატორულ სახეს იღებს. რომანი ამკვიდრებს გრძნობათა ბუნებრიობას, ბუნების კულტს, წარმოაჩენს ცივილიზაციით შეურყყვნელ სურათ-ხატებს. რუსომ ახალი, ემოციურად დატვირთული სახეობა შექმნა პეიზაჟისა, რომელიც გმირის განცდებთანა შეკავშირებული. რუსოს ლირიზმით განმსჭვალული ფისიკოლოგიური ანალიზი აპირობებს ევროპული რომანის შემდგომ განავითარებას. რუსოს „აღსარება“ მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე გულწრფელ ავტოგრაფიულ ტექსტად მიიჩნევა. აქ თითქმის სრულყოფილებამდევა აყვანილი სენტიმენტალიზმის სუბიექტივისტური გამოხატვის საშუალება.

შემოქმედის მიერ ჭეშმარიტების დადგენა-განმტკიცებას მიიჩნევდა მთავარ ამოცანად რუსოს მონაფე და მიმდევარი ანრი ბერნარდენ დე სენ-პიერი. მისი სენტიმენტალურ-იდილიური „პოლი და ვირჟინი“ წარმოადგენს ბუნების შეგრძნების ავტორისელ კონცეფციას. ეს თემა მისი ადრეული ნაწერების ლაიტ-მოტივად ჟღერს. მწერლის ნაწერების წამყვან მოტივად შემდეგი სიტყვები შეიძლება მივიჩნიოთ: „ადამიანი მხოლოდ მაშინ აღნევს ბედნიერებას, თუ სხვათა ბედნიერებისთვის ზრუნავს“.

**გერმანიაში** სენტიმენტალისტური რომანი, ინგლისური და ფრანგული რომანის მრავალ ნიშან-თვისებას ითავსებს. პ.ფ.

გელერტი აფუძნებს ე.წ. „სერიოზული კომედიის“ ჟანრს, რო-  
მელიც „მეშჩანურ დრამას“ უახლოვდება. მისი რომანი „შვედი  
გრაფინიას ფონ გ-ს ცხოვრება“ აცნობიერებს რიჩარდსონი-  
სეული გონიერისა და მგრძნობელობითს შერწყმის სქემას. 40-  
იანი წლების დასასრულისთვის ამაღლებული და პათეტიკური  
ჰანგები ისმის ფ.გ. კლოპშტოკის „მესიადებში“. თუმცა, ძირეულ  
გამოხატულებას სენტიმენტალისტური რომანი გოეთეს „ახალ-  
გაზრდა ვერტერის ვნებებში“ ჰპოვებს. მიუთითებენ, რომ ეს თხ-  
ზულება რიჩარდსონისა და რუსოს ზეგავლენას განიცდის. ამის-  
დამიუხედავად, გოეთემ რომანს იმგვარი მხატვრული სისავსე  
მიანიჭა, რომ იგი ერთხმად მიიჩნევა სანიმუშო ლიტერატურულ  
ტექსტად.

1770-80-იანი წლების გერმანიაში ყალიბდება ლიტერა-  
ტურული მიმდინარეობა „შტურმი და დრანგი“ (ქარიშხალი და  
შეტევა). სახელდება ფ.მ. კლინგერის იმავე სახელწოდების მქონე  
დრამიდან მოდის. ამ ლიტერატურული პროცესის სათავეებთან  
ახალგაზრა გოეთე, შილერი და ე.წ. „გიოტინგენური კორომის“  
ჯაფის პოეტები იდგნენ. იდეოლოგებად კი ი. გ. ჰამანი და ი. გ.  
ჰერდერი მოიაზრებიან. იმემკვიდრეს რა განმანათლებლობის  
ანტიდესპოტური და ჰუმანისტური მსოფლედვა „შტურმერ-  
ები“ შემოქმედებითი გამოხატვის სისრულეს, გრძნობათა თა-  
ვისუფალ გამოვლენას ესწრაფოდნენ. ამგვარი პათოსი მათ ძა-  
ლზე აახლოვებდა სენტიმენტალიზმს. ახალი მიმდინარეობის  
წარმომადგენლებმა უარყვეს კლასიციზმის ნორმატიული ესთე-  
ტიკა, ითხოვდნენ ხელოვნებაში ეროვნულობის წინ წამოწევას,  
გმირულ ჩანადენს, უტეხი ხასიათების ჩვენებას. საბოლოოდ,  
„შტურმი და დრანგი“ დრომოქმედული ნორმების და ტრადიციების  
რღვევის ეპოქის აღმნშვნელ მყარ შესიტყვებად ჩამოყალიბდა.

გრძნობათა სიჭარბე, პროტესტული, მეამბოხე სული დამ-  
ახასიათებელი თვისებაა შტურმერებისა. გარკვეულწილად, ასე-  
თად წარმოგვიდგება „გეტინგენური კორომის“ დაჯგუფების  
პოეტთა ნანილის შემოქმედებაც.

ტიპიური სენტიმენტალური სულითაა აღბეჭდილი ერ-  
თადერთი ქალი რომანისტის, სოფია ლაროშის ნაწერები. აღ-  
სანიშნავია მისი ყველაზე გახმაურებული სენტიმენტალისტური  
რომანი „ფროილაინ ფონ-შტერნპამის ისტორია“. სიუჟეტური

ქარგა ტრადიციულია – აღწერილია ახალგაზრა ქალის განცდა, ვნებათა დელვანი, რომელიც იძულებულია უსიყვარულოდ მისთხოვდეს უღირსებო კაცს. ლაროშის თანადროულმა კრიტიკამ დადებითად შეაფასა პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს აღწერის ოსტატობა. მიიჩნევენ, რომ სოფია ლაროში ერთ-ერთი პირველთაგანი უდებს საფუძველს ე.წ. საოჯახო-ყოფით საკითხავებს; მსგავსი რომანები ზეობრივ-დამრიგებლობითი მიზანმიმართულებისაა და ბიურგერული სათნოების კულტს ქადაგებს.

**რუსეთში** სენტიმენტალისტური რომანის წარმოშობა ევროპული რომანით იყო გაპირობებული, რასაც ი.ვ. გოეთეს, ს. რიჩარდსონისა, ა. ბერნარდენ დე სენ-პიერის თარგმანებმა შეუწყვეს ხელი. რუსული სენტიმენტალიზმი, მეტნილად, თავადაზნაურულ ხასიათის გამომხატველი იყო, ესნრაფოდა რაციონალიზმს; წარმმართველ მიზანდასახულებას კი დიდაქტიზმი შეადგენდა. რუსეთის პირობებისთვის განმანალებლური ტენდენციები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სენტიმენტალისტმა მწერლებმა ჯეროვანი ყურადღება დაუთმეს სალიტერატურო ენის დახვენას. საამისოდ, მოიმარჯვეს ხალხური, სასაუბრო მეტყველება.

სენტიმანტალისტური რომანის მამათავრად რუსულ ლიტერატურაში მ. კარამზინი მიიჩნევა; გამოყოფენ მის ორ რომანს: „რუსი მოგზაურის ჩანაწერებს“ და „საბრალო ლიზას“. სენტიმენტალიზმის ნიშნებს ავლენს ვ.ა. უუკოვსკის ადრეული შემოქმედებაც. 1780-იან წლებში ჩასახული ინტერესი ამ ლიტერატურული მიმდინარეობისადმი 1820 წლისთვის ამოიწურა. იგი განმანათლებლობის ეპოქიდან რომანტიზმზე გარდამავლენტაპად მიიჩნევა.

### შენიშვნები:

1. თანამედროვე სალექსიკონო-საცნობარო დონეზე, განირჩევა და ერთგვარად დაპრისპირებულადაც კი მოიაზრება ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „გრძნობა“, „მგრძნობელობა“ – sentiment და sentimental – „თვალცრემლიანი სენტიმენტალობა“.

2. აქვე, უინტერესო არ უნდა იყოს ის, რომ ტერმინისმიერ დონეზე ქართულ სააზროვნო სივრცეში კონცეპტის „სენტიმენტალური“ ფართოდ ხმარება იღია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. „ანტიკრიტიკულ უსტარ-ში“ სარდიონ ალექსიევ-მესხიევი მიუთითებს, რომ იღიას შემოტანილია არაერთი უცხო სიტყვა: „სენტიმენტალური, ფორმა, სიუჟეტი და სხვ.“ (ცისკარი, 1861, 6, ივნისი).

ბარბარე ჯორჯაძესთან სიტყვამიგებისას კი იღია წერს: „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს სტატიაში თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულსა და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავისი ღვიძლი ენის ლექსიკონი; მაშა-სადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ“ (იღიას სამრეკლო, თბ., 1987, გვ. 121).

3. ბურუუაზიული ანუ მეშჩანური დრამა – ტრაგედიისა და კომედიის შუალედური ფორმის დრამატული სახეობაა. ჩამოყალიბდა და განვითარდა XVIII ს-ში, საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ევროპულ ლიტერატურაში (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) XIX საუკუნის დამდევამდე. მეშჩანური დრამის უანრული ბუნება, შინაარსი და სასცენო ხასიათი განპირობა ახლად ჩამოყალიბებულმა სოციალურმა ვითარებამ. გარკვეული როლი ითამაშა ასევე, სენტიმენტალური განწყობილების გაჩენამ და ახალი დრამატული ფორმებისკენ სწრაფვი. კლასიცისტური დრამატურგიისგან განსხვავებით, მეშჩანურ ანუ ბურუუაზიურ დრამაში აშკარად იგრძნობა სოციალური პოლემების წინ წამოწევის ცდა. ამის დასტურია დ. დიდროს, გ.ე. ლესინგის, პ. ბომარშეს, პ.კ. ლაშოსეს საუკეთესო ნაწარმოებები. ამ ფორმასთანაა დაკავშირებული ლიტერატურასა და თეატრში მიმდინარე ნოვაციები. თუმცა, როგორც ითქვა, XVIII საუკუნის ბოლოსთვის მეშჩანური დრამა კარგავს თავის სიმძაფრეს.

## დამოცვებანი:

**ქიქოძე 1946:** ქიქოძე გ. „გ. ერისთავი“. ეტიუდები და პორტრეტები. თბილისი: 1946.

**ჭავჭავაძე 1927:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. ტ. 4. თბილისი: 1924.

**ხახანაშვილი 1913:** ხახანაშვილი ა. ქართული სიტყვიერების ისტორია (XIX). ტფილისი: 1913.

## რომანტიზმი: ტექსტი და კონტექსტი

ტერმინი „რომანტიზმი“ მე-18 საუკუნეში „წარმოსახულის“, „ფანტასტიკურის“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა და უკავშირდებოდა სიტყვა „რომანს“. თავდაპირველად „რომანი“, რომელიმე რომანულ ენაზე დაწერილ თხზულებას ეწოდებოდა. მე-18 საუკუნიდან ეს სიტყვა ინგლისურ ლიტერატურაში შეუასაუკუნეებისა და აღორძინების ხანის ლიტერატურის აღნიშნავს. ამ პერიოდში „რომანტიკული“ ნიშნავდა არაჩვეულებრივს, საიდუმლოებით მოცულს, სასწაულებრივს, ფანტასტიურს – იმას, რაც „რაციონალურს“ უპირისპირდებოდა.

რომანტიზმის ჩამოყალიბება უკავშირდება სამყაროს წინააღმდეგობრიობას, რაც აუცილებლობასა და არსებულს, იდეალსა და სინამდვილეს შორის უფსკრულს გულისხმობს. განმანათლებლობის მიერ შემოთავაზებული იდეალების განუხორციელებლობის გამო, რომანტიზმმა შეიმუშავა სინამდვილის დაგმობის და იდეალების სამყაროში ჩაკეტვის პოზიცია. სწორედ აქედან მომდინარეობს ორი სამყაროს არსებობის აღიარება რომანტიკოსების მხრიდან. ამიტომაც ცდილობენ რომანტიკოსი ავტორები, რომ წინააღმდეგობები ხილულ სამყაროში კი არ მოარიგონ, არამედ მთლიანად წარმოსახვების სამყაროში გადაინაცვლონ. ამგვარად, რომანტიზმის მთავარი პრინციპია ორი სამყაროს აღიარება: რეალურის და წარმოსახული სამყაროების დაპირისპირება.

სინამდვილის სიმყიფის და წარმავლობის აღიარებამ რომანტიზმის ესთეტიკაში არარეალურის და ფანტასტიკურის კულტი დაამკვიდრა. რომანტიკოსთა აზრით, მშვენიერია ის, რაც არ ხილულ სინამდვილეს სცდება და ფანტასტიკურის სფეროშია. წოვალისი წერდა: „მე მგონია, რომ ჩემი სულის მდგომარეობას ყველაზე კარგად ზღაპარში გამოვხატავ, ყველაფერი ზღაპარია“.

\* ლირიული და საგმირო საქმეების ამსახველი სიმღერა ესპანეთში და რაინდების თავგადასავალზე აგებული ეპიკური პოემა.

განმანათლებლობისეული სამყაროს მექანისტურ მოდელს საფუძვლად ედო გალილეი-ნიუტონის ბუნებისმეტყველება. ის რომანტიზმისეულმა დინამიკურმა მოდელმა ჩაანაცვლა.

„რომანტიზმის მოძღვრება აპსოლუტის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია განმანათლებლებისთვის დამახასიათებელი დეიზმის წინააღმდეგ. ამ ფილოსოფიურ-თეოლოგიური დოქტრინის თანახმად, ღმერთი, მართალია, ქმნის სამყაროს, მაგრამ შემდეგ აღარ ერევა მასში მიმდინარე პროცესებში. დეისტების საყვარელი ანალოგია იყო ღმერთის შედარება მესაათესთან, რომელიც ამზადებს საათს, მაგრამ შემდეგ ეს საათი ოსტატისგან დამოუკიდებლად აგრძელებს მუშაობას, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ მექანიკური კანონებით აიხსნება. სწორედ ასევე სამყარო, მართალია, ღვთის ქმნილებაა, მაგრამ იგი შეიძლება მთლიანად მექანიკური კანონებით აიხსნას. ამრიგად, განმანათლებლები, გარკვეული აზრით, ერთმანეთისგან წყვეტდნენ ღმერთს და სამყაროს. ამის საპირისპიროდ რომანტიზმის ფილოსოფია თეიზმის პოზიციაზე დგას“ (კაციტაძე ... 2012: 13)

## რომანტიზმის წარმოშობის წინაპირობები და მიზეზები

ამ მიმდინარეობას სხვადასხვა ქვეყანაში თავისებური გამოვლინება ქონდა, ვინაიდან ის არაერთგვაროვანი იდეური, სოციალური და ლიტერატურული მოვლენებით იყო განპირობებული. დასავლეთ ევროპული რომანტიზმის სოციალური ფონი საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას დაუკავშირდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ეროვნული თვითდამკვიდრების ნიშნით ვითარდებოდა. ამავე დროს, გერმანული რომანტიზმი ფიხტეს იდეალური ფილოსოფიის გავლენას განიცდიდა, ფრანგული რომანტიზმი კი რუსოს მოძღვრებათა საფუძველზე აღმოცენდა.

რომანტიზმის უმაღლეს საფეხურს მიაღწია ევროპული რევოლუციების და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ხანაში, ხოლო მისმა თეორიულმა საფუძვლებმა გავლენა იქონია მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინებისკენ სწრაფვაზე.

საფრანგეთის რევოლუციის მარცხმა იმედგაცრუება გამოიწვია. რევოლუცია, რომელსაც მაღალი იდეალები ასულდგმულებდა, ბოლოს ტერორსა და ძალადობაში გადაიზარდა. ჯერ რევოლუციის დროს დაინგრა ძველი, თითქოსდა რაციონალურად ორგანიზებული სამყარო (რომელსაც ვხედავდით კლასიცისტების შემოქმედებაში), ხოლო შემდეგ ის იდეალებიც, რომლებითაც რევოლუცია საზრდოობდა, მაგრამ რომლებიც სინამდვილეში განუხორციელებელი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ყოველივე ის, რაც აქამდე მყარად და უდავოდ მიიჩნეოდა, აზრი და ავტორიტეტი დაკარგა. აღმოჩნდა, რომ სამყარო მარადიული ქმნადობის პროცესია.

რომანტიზმის თეორია უკავშირდება ძმები შლეგელებისა და შელინგის ნააზრევს. სწორედ მათ შეიმუშავეს ამ მიმდინარეობის თეორიული საფუძვლები. მე-18 საუკუნის ბოლოს, მათ თანამედროვე ხელოვნება კლასიცისტურ ხელოვნებას დაუპირისპირეს – ასე გაჩნდა რომანტიკულისა და კლასიკურის ოპოზიცია, რომელიც მთელს ევროპაში პოპულარული გახადა ფრანგმა მწერალმა და მოაზროვნება უ. დე სტალმა.

რომანტიზმისთვის დამახასიათებელია ორი სამყაროს არსებობის აღიარება, სადაც ხელოვნება შემოქმედების უმაღლეს სფეროდაა მიჩნეული. ასე იყო კლასიციზმშიც, მაგრამ კლასიციზმი აღიარებდა დანანილებებს – ერთი მხრივ, არსებობს ყოველდღიურობა და მეორე მხრივ – არსებობს ხელოვნება. ისინი სულაც არ უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. რომანტიკოსებთან პოტენციური აქტუალური ხდება. ეს არის ერთგვარად კანტისეული შეკითხვის გადააზრების ინტერეტაციები: რა მიმართებაა არსა და მოვლენას შორის? ეს არის საკითხის ხელახალი ფორმულირება, საკითხის, რომელიც მე-17 საუკუნეში, ბაროკოს ხანაში იყო აქტუალური: იყო რაიმე და თავი მოაჩვენო რაიმედ.

ამიტომაც რომანტიზმის თეორია გულისხმობს და მოითხოვს იმას, რომ ცხოვრება და ხელოვნება ერთი იყოს. ამიტომაც იყო, რომ იმდროინდელი პოეტები (ბაირონი, ლერმონტოვი) დემონებს თამაშობდნენ სინამდვილეში, რითაც საზოგადოებრივ ნორმებს უპირისპირდებოდნენ.

რომანტიზმის ხანის შემოქმედები და მოაზროვნები თითქოს შუასაუკუნეების მოაზროვნეების მსგავსად, სიცოცხლის შემდგომ არსებობაში ხედავენ პოტენციურის და აქტუალურის თანხვედრის განხორციელებას, რადგან ამ დროს უკვე ჩვენ და ჩვენი პოტენციური შესაძლებლობები ვერთიანდებით. შელინგის აზრით, აბსოლუტი არის ობიექტისა და სუბიექტის სრული იდენტობა.. აბსოლუტი შელინგთან ხასიათდება, როგორც ერთგვარი არარა, რომელიც თავის თავში შეიცავს ყველა შესაძლო პოტენციას. სამყაროს ყველა მოვლენა, ყოველივე ობიექტური და სუბიექტური, გაიაზრება, როგორც ამ პოტენციების გაშლა. „აბსოლუტი არის „შეკუმშული“ სამყარო, ხოლო სამყარო – გაშლილი აბსოლუტი. თავისი შინაგანი აუცილებლობიდან გამომდინარე, აბსოლუტი უნდა გაიშალოს, გადავიდეს სამყაროში და მისი ყველა საფეხურის გავლით დაუბრუნდეს საკუთარ თავს. ესაა აბსოლუტის გაგების უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც საერთოა ჰეგელთან და რომანტიკოსებთან“ (კაციტაძე ... 2012: 13-14)

ჰოფმანი სოციალური ცხოვრების გამეორებითობის აუტანლობაზე გვესაუბრება თავის ზღაპრებში. მას ყოველდღიურობის ავტომატიზებულობის თემა შემოაქვს. მაგრამ მის სამყაროში, პარალელურად, ფანტასმაგორიული რამეებიც ხდება. მაგალითად, მის მიერ ალწერილ დრეზდენში ვაშლის გამყიდველი ქალები სინამდვილეში კუდიანები აღმოჩნდებიან. ამით ის იგულისხმება, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში მუდმივად იჭრება რაღაც, რომელსაც ახსნა არ აქვს.

ჰოფმანისეულ სამყაროს ტრაგიკულობის იერიც აქვს. არსებობს ყოველდღიურობა და, ასევე, არსებობს იდეალების სამყარო, სადაც ჩვენი პოტენციალები იმალება. ტრაგიკულობა იმაშია, რომ ადამიანს არ შეუძლია იმის ზუსტად განსაზღვრა, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი. იქნებ ეს ყველაფერი

მისი წარმოსახვის ნაყოფია. ჰოფმანისეულ სამყაროში ერთმანეთს ხვდება ყოველდღიურობის აუტანლობა და უამრავ შესაძლებლობათა სამყარო, რომლის შესახებაც დანამდვილებით არაფერი ვიცით – არსებობს თუ არა ის სინამდვილეში. ამიტომაც ერთადერთი, რაც შეიძლება დაუპირისპირდეს სოციალური ცხოვრების, ყოველდღიურობის აუტანლობას – ფანტაზიაა.

კლასიცისტური ლიტერატურის გმირს რომანტიკოსებმა მეოცნებე დაუპირისპირეს, გონებას – გრძნობების და წარმოსახვის კულტი. მოთხოვობაში „ქვიშის კაცი“, რომელიც ლეო დელიბის ბალეტ „კოპელიას“ დაედო საფუძვლად, ჰოფმანი მოგვითხოვობს რომანტიკოსი ახალგაზრდა ნათანიელის შესახებ, რომელიც მეზობელი ოლიმპიათი მოიხიბლება. ბოლოს კი აღმოჩნდება, რომ ოლიმპია ადამიანი კი არა, თოვინაა. არის ამაშიც ერთგვარი ირონია. თავისი შემოქმედებით, ჰოფმანი გვეუბნება, რომ ადამიანებში მიღმური ბუნების ძიება შეიძლება ჩვენი ფანტაზირების სურვილიდან მოდიოდეს და სინამდვილეში შეიძლება ყველაფერი სხვანაირადაა.

რენესანსის ხანაში ინდივიდუალური ცნობიერებისთვის აუცილებელია „მე“ და მისი, როგორც უმაღლესი ღირებულების აღიარება. საზოგადოება მთლიანად მაინც კოლექტიურია ამ დროს და შუასაუკუნეობრივი ავტორიტეტებით ცხოვრობს. განმანათლებლობის ხანაში უკვე იდეალებს დაბალი ფენა, მასა უკვეთავს და ინივიდუალური ცნობიერებაც კოლექტიური, მასობრივი ხდება. მოგვიანებით ადამიანი აცნობიერებს საკუთარ ინდივიდუალობას. ამ დროს ადამიანი ორ მოცემულობას შორისაა. ერთი მხრივ, ის ე.ნ. „სოციალური ცხოველია“, რომელიც საზოგადოებისთვის მისაღები წესებით ცხოვრობს, მაგრამ ამით ადამიანი ცხოველთა სამყაროსგან თითქმის არ განსხვავდება. მეორე მხრივ – ადამიანს აქვს ისეთი რამ, რაც არ აქვთ ცხოველებს და ესაა კულტურა. ადამიანებს უნდათ არა მარტო ბედნიერები იყვნენ, აკეთონ ის, რაც მათ სიხარულს მიანიჭებს, არამედ მათ კითხვებიც უჩნდებათ – რატომ არის ესა თუ ის მოვლენა კონკრეტული სახის; საიდან მოდის ყველაფერი და ა.შ. აქედან სამყარო შეფასებით ხასიათს იღებს – ჩვენი საუბარიც შეფასებითია თითქმის ყოველთვის. ამიტომაცაა ადამიანი დილემის წინაშე. კანონები, რომლებიც ფიზიკურ სფეროს,

ჩვენს ინსტინქტებს არეგულირებს, განსხვავდება იმისგან, რომ-ლებიც ჩვენს საზროვნო საქმიანობას განაპირობებს.

რომანტიზმში მიკრო და მაკრო კოსმოსი, ისევე როგორც შინაგანი და გარეგანი, ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ეს დაახლოება ყველაზე კარგად გადმოცემულია ნოვალისის აფორიზმში: „ჩემი სატრფო მინიატურაში მოცემული სამყაროა, ხოლო სამყარო განვრცობილი ჩემი სატრფოა“. ნოვალისის თანახმად, სამყაროს ორი დაპირისპირებული რიგიდან (შინაგანი-გარეგანი, ობიექტური-სუბიექტური, მიკროკოსმოსი-მაკროკოსმოსი) ერთი მეორის აღმნიშვნელია. „სამყარო შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თავისებური კოსმიური ენა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ვწვდეთ იმას, რაც ჩვეულებრივი ენის-თვის დაფარულია (შდრ. ბარათაშვილის: „მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო...“) (კაციტაძე ... 2012:15).

## პოტენციალობის საკითხი

ძველბერძნული ცნობიერებისთვის და კულტურისთვის არსებობს უკვე მიღწეულის, განხორციელებულის გაგება. რაიმეს ჩანაფიქრი, დაპირება -მათთვის არააქტუალურია. ჰეროიკული ტრაგედია კლასიციზმში, ასევე, განხორციელებულს ანიჭებდა უპირატესობას. ერთი მხრივ, ცხადია – აქტუალურია ის, რაც განხორციელდა, მაგრამ მეორე მხრივ, ცხოვრებაში არის დაფარული რაღაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია. ეს არის ყოფიერების სისრულე, რომელიც პოტენციალობისგან შედგება. ადამიანში მოცემულია გარკვეული პოტენციალი იმთავითვე, მაგრამ გარემო პირობებმა უნდა შეუწყოს მას ხელი, რომ განხორციელდეს ეს ყველაფერი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ოჯახს, სკოლას, რადგანაც ცხოვრება შემთხვევითობების ნაკრებია.

მაგრამ სად არიან ადამიანები, რომლებსაც იმთავითვე პოტენციალი ქონდათ, მაგრამ სხვა გზით წარიმართა მათი ცხოვრება და ვერ განხორციელდა მათი პოტენციალი? ამაზე

რომანტიკოსები იტყვიან: ის, რაც ადამიანმა ვერ მოახერხა, რომ სოციალურ სინამდვილეში განეხორციელებინა, მის შინა-გან არსებაში განაგრძობს სიცოცხლეს და მის არსებაშივე იხრწება. მათი აზრით, სამყაროს შეფასება მხოლოდ იმის მიხედვით, რაც განხორციელდა, უაზრობაა. ამიტომაც ისინი მოითხოვენ არა მარტო მოცემული სოციალური სინამდვილის განხილვას, არამედ ნებისმიერი სოციუმი, ისევე როგორც ადამიანი, ბევრად მეტია, ვიდრე ამ სოციალურ მოცემულობაში, სინამდვილეში ვლინდება და ხორციელდება. იმიტომ, რომ მათი აზრით, არსებობს რაღაც მარადიული სული, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის სახით ხორციელდება. მაგალითად, ეს სული განხორციელდა, ვთქვათ, ბარათაშვილში, რომელსაც „მიესაჯაა“, რომ ბარათაშვილი ყოფილიყო და ისე ეცხოვრა, როგორც მოცემულ სინამდვილეში ეძლეოდა საშუალება. მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ მოცემულ სინამდვილეში მას არ ეძლეოდა თავისი პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება და ეს პოტენციურობა მუდმივად წინა პლანზე გამოდის მისი არსებიდან. ის ამის დემონსტრირებას ახდენდა კიდეც საზოგადოების წინაშე, მისი სკანდალური ბუნებაც აქედან მომდინარეობს. მაგალითად, იური ლოტმანი ბაირონზე საუბრისას წერს: „დენდიზმმა რომანტიკული ამბოხის ელფერი მიიღო. ის მაღალი საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელ ქცევის ექსტრავაგანტულობასა და რომანტიზმისთვის დამახასიათებელ რომანტიკულ კულტზე იყო ორიენტირებული. მაღალი საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელი ქცევის მანერა, უსტების „უხამსი“ სითამამე, აშკარა შოკინგი – მაღალი წრის მიერ დაწესებული აკრძალვების ყველა ფორმა პოეტურად აღიქმებოდა. ცხოვრების ამგვარი ნირი დამახასიათებელი იყო ბაირონისთვის“ (ლოტმანი 2008: 207).

იგივე ნიშნები შეიძლება აღმოვაჩინოთ ქართული რომანტიზმის ლიდერთან, ბარათაშვილთანაც. ფიხტე წერდა, რომ ადამიანის ჩახშობილი ბუნება წინა პლანზე გამოდის და გზად ყველაფერს ანადგურებს. ადამიანური ბუნება ჯავრს იყრის ყველაფერზე, რაც მას ახშობს. ეს ყველაფერი ძალიან უახლოვდება ფროიდისეულ ანთროპოლოგიურ მოდელს. ალბათ

ამიტომაც, ოჯახში, დესპოტი მამისგან დათრგუნული, ჯერ სკოლაში და მეგობარ-თანატოლების წრეში იხარჯებოდა, ხოლო შემდეგ თბილისში გამართულ წვეულებებზე. ალბათ, მისი ცვალებადი ხასიათიც აქედან მომდინარეობდა – ზოგჯერ მეტისმეტად მხიარული ყოფილა და უცბად მოიწყენდა ხოლმე, ფიქრში გაერთობოდა. ლექსში „ხმა იდუმალი“ ვხვდებით სტრიქონებს, სადაც ის „სინდისის ხმის“ კონცეპტს ახსენებს: „მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა/ ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!../ ნუუკ ხმა ესე არს ხმა დევნისა/ შეუწყალისა სინიდისისა?“. თუკი მისა საქციელს ამ სტრიქონების კონტექსტში განვიხილავთ და, იმავდროულად, ანალიტიკურ ფსიქოლოგიასაც გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, თუ რით იყო გამოწვეული მისი ცვალებადი ხასიათი და ისიც, რომ „სინდისის ხმა“ იგივე სუპერეგოა, სადაც ისევე როგორც „ტყის მეფეში“ (გოეთე) ტყის მეფის და მამის პოზიციები, ერთმანეთს უპირისპირდება ცდუნება და ტაბუ, რასაც, ერთი მხრივ, კასტრაციის კომპლექსამდე და მეორე მხრივ – სუპერეგომდე მივყავართ. ბარათაშვილთან ამგვარი სწრაფვა თავისუფლებისკენ დროსტარებისადმი მის მიღრეკილებაში აისახება და თან, პოეზიაში – როგორც რეპრესირებული ფანტაზიების რეალიზების ასპარეზში. რომანტიზმში ხომ რეპრესირებული ფანტაზიები მოჩვენებების სახით ვლინდება.

ბარათაშვილის წრეგადასული გართობების შესახებ ცნობებს არაერთი წყარო გადმოგვცემს. ცელქ, მოუსვენარ, ემოციურ, ენამახვილ ბარათაშვილს ყველა ერიდებოდა. მის ბიოგრაფიაში იყო ერთი დუელიც – საქართველოში გამართულ დუელებს შორის პირველი, რომლის შესახებაც არის მოსაზრება, რომ გარკვეულ წრეს პოეტის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა ამის დამადასტურებელი უტყუარი საბუთი არ არსებობს. არც ერთი ქორწილი, ღამისთევა, შეკრება არ იმართებოდა თბილისში, სადაც ახალგაზრდა პოეტს არ ნახავდით. თუმცა ეს არცა გასაკვირი, წარჩინებული ოჯახის წარმომადგენლის, შესანიშნავი გამრთობის, ბანქოს აზარტულად მოთამაშისა და მოცეკვავისთვის ხომ ყველას სახლის კარი ღია იქნებოდა. თუმცა

მესამე კლასში, ბარათაშვილი გიმნაზიის კიბიდან გადმოვარდა და ორივე ფეხი მოიტეხა, ძლივს გამოჯანმრთელდა და მთელი დარჩენილი სიცოცხლე კოჭლობდა, რითაც ბედისწერამ ბაირონს დაამსგავსა. როგორც ჩანს, არაერთხელ გამხდარა მითქმა-მოთქმის ობიექტი და არც თვითონ იხევდა უკან. საღამო ისე არ გაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწვეოდა და ამბები და ჭორები არ გამოეტანა იქედან. ბარათაშვილი მუდმივი სტუმარი და მხიარულების შემტანი იყო ყველგან. ამ შეკრებებზე თამაშობდა ბანქოს, მოილხენდა, ხუმრობდა, ეარშიყებოდა ქალებს. მოგვიანებით თვითონვე წერდა ერთ მეგობარს: „მხოლოდ ტფილისის საუცხოვო საღამოები გამომაცოცხლებენ ხოლმე!“

მაგრამ მისი პოეზია და სხვა წერილები სრულიად განსხვავებულ ბარათაშვილს გვიჩვენებენ – გულჩათხრობილს, სევდიანს, მარტოსულს, ბაირონის მსგავსად. თითქოს ორივეს მობეზრდა ამქვეყნიური ამაოება. ოღონდ ბაირონს ყველაფერი ნანახი აქვს, ყველა ოცნება აუსრულდა და ბუნებასთან განმარტოებას ამიტომ ესწრაფვის. ბარათაშვილისთვის მტკვრის პირას განმარტოება ან მთაწმინდაზე ხეტიალი კი „სულით ობლობითაა“ გამოწვეული.

ერთ წერილში წერს კიდეც: „გუშინ, ერთ საღამოის დროს, წავედი სახეტიალოდ.. უეცრად სასაფლაოზედ გავჩნდი.. მართალი გითხრა, ცოტა არ იყოს, გავოცდი, აქ დასადგურებულს იდუმალობას რომ შევხედე: დამის 11 საათია, არც ერთი სულიერი არ ჭაჭანობს. ირგვლივ საუკუნო არარაობაა; მიმქრალებული მთვარე მოწყენით დანათის სასაფლაოებს, როგორც ცხედართან დადგმული მბჟუტავი სანთელი. ჩუმად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქო ეშინიან ამ დაღვრემილ მიდამოს მყუდროების დარღვევაო... მშვენიერი მოგონილია სასაფლაო, მიუცილებელია იგი, რათა მოკვდავმა წაიკითხოს იქ თავის ცხოვრების ამბავი: წუგეში უბედურთა არის ბედნიერების დასასრული“.

როდესაც ჩვენი „მე“ ვერ იხსნება იმ სოციალურ ჩარჩოებში, რომელიც გვეძლევა, იწყება ე.წ. მსოფლიო სევდა; სევდა იმის შესახებ, რაც მოცემულობაში განუხორციელებელი რჩება, ვინაიდან მოცემულობა საზღვრულია.

რომანტიზმის თანახმად, ადამიანი უნდა ესწრაფვოდეს მიღმურს, აბსოლუტურს. მაგრამ, თავისი სასრულობის გამო, არასდროს ძალუძა მისი მიღწევა. რომანტიზმი არის „უბედური ცნობიერება“ (ჰეგელი), რომელსაც თავისი არსებობის მიზანი უსასრულობაში, გრძნობადი სამყაროს მიღმა ეგულვის და კარგად ესმის, რომ ის მიუღწეველია. ამავე დროს, არ შეუძლია, რომ ამ მიუღწეველი მიზნისკენ არ იღტვოდეს: „რაღაც უმაღლესი სიბრძნე გვასწავლის, რომ კაცობრიობამ დიდ შეცდომაში ჩავარდნის გამო სამშობლო დაკარგა. ამდენად მისი მიწიერი ყოფნის დანიშნულება ისაა, რომ უკან (დაკარგული სამშობლოსკენ) უნდა ისწრაფოდეს, სადამდე მიღწევასაც თავის თავს მინდობილი ადამიანი ვერ ახერხებს... აქედან წარმოდგება მათი (ახალი დროის ხალხების) პოეზიის ლტოლვა ამ ორ სამყაროს – გრძნობადისა და ზეგრძნობადის – შეერთებისკენ, რომელთა შორისაც ვმოძრაობთ,“ – წერდა ავგუსტ შლეგელი. რომანტიზმისთვის დამახასიათებელია გრძნობადი და ზეგრძნობადი, „მიწიერი“ და „ციური“ სამყაროების დაპირისპირების გაგება. (კაციტაძე ... 2012: 32).

ამ შემთხვევაში ადამიანს მხსნელად წარმოსახვა ევლინება. ადამიანი ესწრაფვის იმას, რასაც სასრულობის გამო ვერ აღნევს, მაგრამ, ამავე დროს, მასთან მიახლოება მას წარმოსახვის საშუალებით შეუძლია.

ამის პარალელურად ჩნდება რომანტიკული ირონია, რაც იმის დაცინვას გულისხმობს, რომ სამყაროს არ გააჩნია ამა თუ იმ ადამიანის პოტენციალის დანიშნულებისამებრ გამოყენების უნარი. იმავდროულად, ეს თვითირონიაცაა. ესაა თავდაცვის მექანიზმი განუხორციელებელი სინამდვილის მიმართ.

რომანტიზმს არ უყვარს ხასიათი (ვინაიდან ის გულისხმობს განხორციელებულს), მას უყვარს ლირიკა, სულის პოეზია. მისთვის დამახასიათებელია ინფანტილიზმი. სეზონური მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, ის ახალგაზრდობასავითაა, სანამ ბევრი შესაძლებლობებიდან არცერთი არ განხორციელებულა ჯერ და მის წინაშე ბევრი პოტენციური შესაძლებლობაა. ქართული რომანტიზმიც ამ კონცეპტის ნაწილია.

## ქართული რომანტიზმის თეორიული საფუძვლები. დოდაშვილი და ბარათაშვილი

როგორც ცნობილია, ქართული რომანტიზმის მსოფლიხედველობრივი საფუძვლების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სოლომონ დოდაშვილს – პიროვნებას, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე და რომელიც ცნობილია, როგორც 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორი.

ცნობილია, რომ დოდაშვილის ნააზრევში ბევრი საერთო იკვეთება შელინგის და ძმები შლეგელების ნააზრევთან. თუმცა მას მაინც „პირველი ქართველი კანტიანელის“, სახელით მოიხსენიებენ. 1827 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი „ლოგიკა“ კანტის ფილოსოფიის ერთგვარი ინტერპრეტაცია და ქართულ ნიადაგზე მისი დანერგვა, ან მისი საშუალებით საკუთარი ფილოსოფიური სისტემის შექმნაა.

ზოგადად, გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიასთან სოლომონ დოდაშვილის ნააზრევის თანხვედრა აშკარაა.

დოდაშვილი ერთმანეთისგან განასხვავებს ბუნების და ადამიანურ „მე“-ს: „აზროვნების თვით თავდაპირველ მოქმედებაშიც კი ნათლად შევიცნობთ, რომ მე არის მე და არა-მე (ბუნება) არის არა-მე, როგორც ამას ფიხტე ამბობს“. ბუნებისა და „მე“-ს ერთმანეთისგან გამიჯვნა უკვე გულისხმობს მზერის მობრუნებას გარეგანიდან შინაგანისკენ, საკუთარი თავის შემეცნებისკენ და სულიერი ჰარმონიის მიღწევისკენ სწრაფვას. სწორედ აქ იწყება თვითშემეცნების პროცესი: „ფილოსოფია რომ ვისწავლოთ, საჭიროა ფილოსოფოსობა, ფილოსოფოსობა კი ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ ჩვენს თავს, ჩავწვდეთ ჩვენს თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი და ამით ჩვენში და ჩვენს ირგვლივ სიმშვიდე დავამყაროთ. ყურადღება მივაპყროთ ჩვენს თავს, ნიშნავს, განვაყენოთ იგი ყოველივე იმისგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის: ეს ხდება, როცა აზრობრივად განვეყყნებით ყოველივე გარეგნულს და თვით ჩვენს თავს წარვმართავთ მარტოოდენ შინაგანისკენ. ჩავწვდეთ ჩვენს

თავს ნიშნავს – გულდასმით ვიფიქროთ ჩვენში მიმდინარე შინაგან მოვლენებზე, ვაქციოთ ჩვენი თავი გამოკვლევის უშუალო საგნად. ჩვენი თავის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არა უნარი იმისა, რომ სწორად ვიმსჯელოთ მთელს ჩვენს ქმედით ძალაზე; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდება ჩვენი ბუნების მოქმედების კანონები, ამ მოქმედების საზღვრები და მიზანი. გავიგებთ ჩვენს თავს, თუ შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენი აზრების, ცოდნისა და ქცევის საკმაო მიზეზები. ჩვენში და ჩვენს ირგვლივ სიმშვიდეს დავამყარებთ, როდესაც ჩვენში ჩამოვაყალიბებთ ჰარმონიულ მოქმედებას, მივმართავთ რა მას ჩვენი დანიშნულებისკენ. ამრიგად განყენება და განაზრება თვით ჩვენი თავის შეცნობა და გაგება, დაკმაყოფილება საკუთარი თავის ამგვარი თვითშექმეცნებით – აი ფილოსოფიური გამოკვლევის სამი საგანი“ (კაციტაძე ... 2012: 36-37).

ჩვენს აზრებსა და განცდებზე დაკვირვების შედეგად, უნდა ჩავწვდეთ საკუთარ თავს, უნდა დავადგინოთ ადამიანური ბუნების საზღვრები და მიზნები. თვითჩაღრმავების შედეგად კი მიიღწევა უმთავრესი მიზანი – სულიერი სიმშვიდე და ჰარმონია.

ხელნაწერში „ლოგიკური მეთოდოლოგია“ სოლომონ დოდაშვილი წერს: „რამდენადაც ადამიანი შეზღუდული არსებაა, მას არ შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილებას...“ ანუ ეს ყველაფერი ზუსტად იგივეს გულისხმობს, რაც რომანტიკოსი ავტორების მსოფლმხედველობაზე საუბრისას აღვნიშნეთ, ბაირონის თუ ბარათაშვილის მაგალითზე – ადამიანის არსებობის საზღვრებზე, რომელთა რღვევისკენ/გადალახვისკენ/დაძლევისკენ სწრაფვაც ვლინდება მათ შემოქმედებაში.

რომანტიკოსების თვალსაზრისით, სწრაფვა, ლტოლვა ყოველი არსებულისთვის დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ მცენარეულ და ცხოველურ სამყაროებში გვხვდება გაუცნობიერებელი სწრაფვა, რომელიც მიმართულია უშუალო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ. ადამიანი კი, რამდენადაც ის უმაღლეს არსებადაა მიჩნეული, უფრო მაღალი იდეალები ამოძრავებს და მისი მიზანი მიღმურისკენ, უსასრულობისკენ, „ციურისკენ“, სწრაფვაა. „იმ სწრაფვათა შორის, ადამია-

ნის ცხოვრებას მრავალფეროვნად რომ აქცევენ, არის.. სწრაფვა იდეალისკენ... ჩვენ ვნახეთ, განვიხილეთ ამაღლებულის განცდა და იდეალისკენ სწრაფვა. ჩვენ უნდა ავიდეთ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე და დავინახოთ საერთო ორივეს საწყისში, რომელიც მათ გამაშუალებელ ელემენტს შეადგენს. ესაა ლტოლვა უსასრულობისადმი და ამაზე მაღალი ადამიანში არაფერია“, – წერდა ფრიდრიხ შლეგელი.

სწრაფვა სოლომონ დოდაშვილისთვისაც ყოფიერების პრინციპია: „აპა, ყოველსა ცოცხალსა არსებასა აქვს მისწრაფება, ანუ მიმართება სხვისა მის მიერ არა ხილულისა საგნისადმი, რათამცა აღავლინოს თვალი სხვა და სხვა სახილვებათა შინა წარმოებისთვის ცხოვრების დასასრულისა (საგნისა) და წყაროისა კეთილშემთხვევისა მისისა“.

მაშასადამე, სოლომონ დოდაშვილის აზრით, ფილოსოფოსის აზრით: „1. ყოველ არსებულში, ყოველთვის და ყველგან მოცემულია აბსოლუტი („ამაღლებულ ძალთასა გონიერი სული“); 2. აბსოლუტი სხვადასხვა არსებულში („სახეებში“) სხვადასხვა ფორმით („ხარისხით“) ვლინდება; 3. აბსოლუტი ამ საგნებში ვლინდება მარადიულად მოქმედი კანონების მიხედვით“ (კაციტაძე ... 2012; დოდაშვილი 1986: 50).

საგულისხმოა, რომ ქართული ლექსის ევროპეიზაცია, რომელზეც თავის დროზე ილია ჭავჭავაძე საუბრობდა და რაც ევროპული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ძირითადი მოტივებისა და ტენდენციების დანერგვასთან ასოცირდებოდა ქართულ პოეზიაში, სწორედ დოდაშვილის სახელს უკავშირდება. ის, რომ დოდაშვილმა დიდი გავლენა მოახდინა ბარათაშვილზე, ადასტურებს ვახტანგ ორბელიანის განცხადება, რომელსაც ზაქარია ჭიჭინაძე მოიხმობს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწურთნა სოლომონ დოდაშვილთან.. თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ბარათაშვილი არ ყოფილიყოს“.

როგორც აღნიშნავენ: „ბარათაშვილისა და დოდაშვილის პოზიციები ერთმანეთის ახლოს დგას შემდეგ საკითხებში: 1. სამყაროს დაყოფა მოვლენათა და მიღმურ სამყაროებად; 2. ამ ორი სამყაროს რადიკალური დაპირისპირება; 3. აქცენტირება სუბიექტზე; 4. ყოფიერების პრინციპად სწრაფვის გაგება; 5. ადამია-

ნის განსაკუთრებულად, კერძოდ ცნობიერად მსწრაფველ არ-სებად გააზრება; 6. ადამიანის გაგება, როგორც ზეგრძნობადი მიღმური სინამდვილისკენ მსწრაფველი არსებისა; ცნობიერი სწრაფვის გენეზისის რომანტიკული გაგება (რომელიც, თავის მხრივ, ფიხტედან მოდის)“ (კაციტაძე ... 2012: 48-49).

„ადამიანი, პოეტის მიხედვით, რაღაც განსაკუთრებულ, მიღმურ და ზეგრძნობად სინამდვილეს რომ ესწრაფვის, ნათ-ლად ჩანს ბარათაშვილის შემდეგი სტრიქონებიდან“:

ოჳ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!  
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს  
დაჩნეული!  
აწცა რა თვალი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრინი  
შენდა მოისწრაფიან,

---

მე, შენსა მჭვრეტელს, მავინწყდების საწუთროება,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს ის ამაოება...

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სტრიქონები მიღმურის წვდო-მის საშუალებად პირდაპირ ასახელებს ცნობიერ სწრაფვას („ფიქრნი შენდა მოისწრაფიან“) (კაციტაძე ... 2012: 43).

საგულისხმოა რომანტიზმისთვის დამახასიათებელი ტოტალურობის გაგება და მასთან დოდაშვილის ნააზრევის ერთგვარი ირიბი კავშირი, რასაც შემდეგ ბარათაშვილისეულ სტრიქონებამდე მივყავართ. გერმანული იდეალიზმის წარმო-მადგენელთათვის ჩვეული ტოტალურობის იდეალი, რომელიც „კანტმა შემოიტანა და ფიხტემ აიტაცა, რომანტიკოსებმა და შელინგმა ორგანულ ტოტალურობად გაიაზრეს... ჰეგელი კი ნაწილებს მთლიანის შემადგენლად მიიჩნევს, რომლებიც ერთ-მანეთთან არიან დაკავშირებული“ (ნექტარიოსი 2008: 276-277). ამავე რიგის მოვლენაა გერმანულ იდეალიზმთან დაკავშირებული ნატურალიონიზმია, რომელიც ბუნებას მთლიანობაში განიხილავს და რამაც საფუძველი დაუდო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. რომანტიკოსების და იდეალისტებისთვის უსას-

რულო მთლიანობა იგივე უსასრულო სიცოცხლე იყო, რაც ბუნებაში სასრული საგნებით ვლინდება. აქედან გამომდინარე, უსასრულობის მიღწევა სასრულის წვდომის შედეგად იყო შესაძლებელი. ტოტალობის, უნივერსალობისკენ სწრაფვა გამოიხატება სახელწოდებებსა თუ დისციპლინების გაერთიანებაში, მაგალითად, ნოვალისის ნაშრომში „უნივერსალური გეგმა“; ან, თუნდაც, გოეთეს გამონათქვამში „მსოფლიო ლიტერატურები“, რაც მსოფლიოს ლიტერატურების ერთიანობას გულისხმობდა.

სწორედ ნაწილის მთელის შემადგენლად ნარმოდგენას ითვალისწინებს სინეკდოქე, როგორც ასეთი. სოლომონ დოდაშვილი მისი განმარტებისას წერდა: „სინეკდოხას განმარტებისას ს. დოდაშვილი წერს: „სინეკდოხა არს ტროპი, რომელსაცაშინა დაიდების ყოვლადი ნაცვლად კერძოისა თვისისა, ნათესავი ნაცვლად სახელისა და უკუქცევით. მაგ.: მოკვდავი ნაცვლად კაცისა.. სინეკდოქეს დოდაშვილისეული განმარტების საფუძველზე, კ. კაციტაძე და კ. ჯამბურია ნიკოლოზ ბარათაშვილთან ამგვარი კონსტრუქციების სიხშირეზე მიუთითებენ: ამგვარ კონსტრუქციებს ხშირად ნიკოლოზ ბარათაშვილიც იყენებს: „მოკვდავსა ენას არ ძალუს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“, ან: „მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განვებას ციურს!“ (კაციტაძე ... 2012: 55).

## ტექსტის ანალიზი/პარალელი

იმის დასადგენად, თუ, ერთი მხრივ, რა მიმართებაა რომანტიზმამდელ განმანათლებლურ პოზიციასა და თვით მას და, მეორე მხრივ, ევროპულ და ქართულ რომანტიკულ მსოფლმხედველობას შორის, პარალელურად განვიხილოთ ორი ლექსი – გოეთეს „ტყის მეფე“ და ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“. დავინახავთ, რომ „ტყის მეფე“ ასეთი ფრაზით იწყება: „Wer reitet so spät durch Nacht und Wind?“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ხმა იდუმალი“ პირველი სტრიქონი ასეთია: „ვისი ხმა არის ეს საკვირველი?“ არის უდავო თანხვედრა ამ ორ ლექსს შორის, არა

პოეტური ლექსიკის, არამედ კონცეპტუალური თვალსაზრისით. გოეთეს „ტყის მეფე“ რომანტიზმზე გადასვლის ეტაპის მომასწავებელია, სადაც მამის პოზიცია განმანათლებლობისთვის დამახასიათებელი რაციონალიზმითაა დაღდასმული, რომელიც შვილის იდუმალებით მოცულ კითხვებს, თითქოსდა, ბუნების მოვლენებით ხსნის – ანუ აქ ცხადად არის დაპირისპირებული რაციონალიზმი და რომანტიზმი, გონება და წარმოსახვა, მგრძნობელობა. ტყის მეფე იგივე ბავშვის მამაა – ბავშვის წარმოსახვაში არსებული მამის განსხვავებული ბუნება, მისი პროექცია.

საგულისხმოა, რომ ორივე ლექსში, ის, რაც განმანათლებლობისთვის დამახასიათებელი რაციონალიზმით ვერ აიხსნება – უღერადობით, ხმის საშუალებით შემოდის. „ხმა იდუმალის“ საერთო კონტექსტის გასათვალისწინებლად აუცილებელია გოეთეს „ტყის მეფე“, რომლის საშუალებითაც იკითხება ბარათაშვილის ლექსი. ლექსი, სადაც, ერთი მხრივ, რომანტიზმის კანონების შესაბამისად, მისტიციზმი, ეზოთერული ცოდნის საშუალებით სამყაროს შეცნობის წყურვილი და ამ სამყაროს წინაშე მარტობის განცდაც ცხადია და, მეორე მხრივ, უკავშირდება ადამიანის განვითარების იმ ეტაპს, როდესაც ის შემეცნებას იწყებს და წარსულს – ბავშვობას, როგორც სამოთხეს იგონებს („რა ვსცან პირველად წუთისოფელი, / დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი / რბილდა ნათლად დრო ყმაწვილობის / სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის“). ლექსში „ხმა იდუმალი“ ვხვდებით სტრიქონებს, სადაც ის „სინდისის ხმის“ კონცეპტს ახსენებს: „მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა / ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!.. / წუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა/ შეუწყალისა სინიდისისა?“. თუკი მის საქციელს ამ სტრიქონების კონტექსტში განვიხილავთ და, იმავდროულად, ანალიტიკურ ფსიქოლოგიასაც გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, თუ რით იყო გამოწვეული მისი ცვალებადი ხასიათი და ისიც, რომ „სინდისის ხმა“ იგივე სუპერეგოა, სადაც ისევე როგორც „ტყის მეფეში“, ტყის მეფის და მამის პოზიციები, ერთმანეთს უპირისპირდება ცდუნება და ტაბუ, რასაც, ერთი მხრივ, კასტრაციის კომპლექსამდე და მეორე მხრივ – სუპერეგომდე მივყავართ.

ბარათაშვილთან ამგვარი სწრაფვა თავისუფლებისკენ რეალურ ცხოვრებაში დროსტარებისადმი მის მიდრეკილებაში აისახება და თან, პოეზიაში – როგორც რეპრესირებული ფანტაზიების რეალიზების ასპარეზში, ისევე როგორც გოეთესეული „ტყის მეფეში“ ბავშვის რეპრესირებული წარმოსახვები მოჩვენებების – ტყის მეფის და მისი ამაღლის სახით ვლინდება, რომელსაც ყოვლისმცოდნე მამა ახშობს. რომანტიზმში ხომ რეპრესირებული ფანტაზიები მოჩვენებების სახით ჩნდება.

გერმანული რომანტიკული ფერწერის წარმომადგენლის – კასპარ დავიდ ფრიდრიხის ნამუშევარში „მარტოხელა მოხეტიალე რომელიც ნისლის ზღვას გადმოყურებს“ ფერმკრთალი და ბუნდოვანი ლანდშაფტის ფონზე, გამოსახულია კლდის წვერზე მდგარი ყარიბი, როგორც მარტოობის და ბუნდოვანი მომავლის გამოხატულება, სადაც ღმერთის შეცნობისადმი ადამიანის ორაციონალური სურვილი იკვეთება. ყარიბის თვალწინ გადაშლილია გაურკვეველი მომავალი – უფსკრული, რომლისკენ გადასადგემლადაც მას ნაბიჯი აქვს მომზადებული. ეს ერთგვარი მეტაფორაა როგორც მარტოობის და სასოწარკვეთილების, ისე დიდებულების და მშვენიერების, ზოგადად, ადამიანური ცხოვრების, როგორც მოგზაურობის, რომელიც სიკვდილის მდგომარეობაში, ან უსასრულობაში გადადის. გარკვეულწილად, ესეც ორბუნებოვნებაა – ნებისმიერი საშუალებით სამყაროს საიდუმლოს შეცნობისთვის მზადყოფნა.

როგორც აღნიშნავენ, „გმირი ვერ პოულობს „სულის განსასვენებელს“ ვერც ბუნებაში, ვერც სიყვარულში, ვერც რელიგიაში. მისი სული ველარ უძლებს რეალური სამყაროს დაწოლას და იმსხვრევა. გმირის შინაგანი გაორება, რომელიც ე.თ.ა. ჰოფმანთან და ე.ა. პოსთან „ორეულების პოეტიკაში“, ანუ ერთი გმირის ორი პერსონაჟის სახით გამოხატვაში აისახა, ნ. ბარათაშვილთან შინაგანი მონოლოგის ფორმითაა წარმოდგენილი. „ხმა იდუმალი“ გმირის გაორებული სულის ერთი ნაწილია და ერთდროულად არის ანგელოზიც და დემონიც. ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი პოლუსი (ანგელოზი და დემონი), რომანტიკოსთა თვალსაზრისით, ერთმანეთის გვერდიგვერდ

თანაარსებობს ადამიანის შინაგან სამყაროში. ერთ-ერთ ლექ-სში („სულო ბოროტო...“) ამ შინაგან ხმას, ანუ თავის მეორე მე-ს, ნ. ბარათაშვილი უკვე გამოკვეთილად უწოდებს ბოროტ სულს, რადგან მისგან ალძრული რომანტიკული სწრაფვა იღუზიების მსხვრევით დამთავრდა. სულის ერთი ნაწილი, რომელიც მოს-ვენებას არ აძლევს გმირს და იდეალისკენ მოუწოდებს, მისი მეორე ნაწილის აღმფოთებას იწვევს, რომელიც დაღალა უსაზღ-ვროებისკენ ლტოლვამ და ობივატელური სიმშვიდისკენ გადა-იხარა“ (ნაკუდაშვილი 2010: 51) ბარათაშვილის „ხმა იდუმალში“ გვხვდება სტრიქონები: „ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი, / ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი? / ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ, / სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ? / როს ვსცნა მე შენი საი-დუმლობა...“, სადაც ბუნდოვნად მინიშნებასაც ვხვდებით იმ-დროინდელ ლიტერატურაში განსაკუთრებით გავრცელებულ მოტივზე – ლუციოფერთან შეხვედრის შესახებ, როგორც გოეთეს „ფაუსტში“ თუ ბაირონის „კაენში“. როგორც აღნიშნავენ, ადა-მიანის ბუნება მუდამ ზეგრძნობადი სინამდვილის შეცნობისკენ მიისწრაფვის, ცდილობს მოვლენათა სამყაროს მიღმა გავიდეს. ეს ზეგრძნობადი სამყარო, იმავდროულად, საკუთარ მე-ში ჩაღრმავებაა.

რომანტიზმში მოვლენათა სამყარო ადამიანის „მე“-ს აქ-ტივობის და მიღმური, ზეგრძნობადი სამყაროს ზემოქმედების შედეგად ჩნდება. მოვლენათა სამყაროს შექმნა ადამიანის აქტი-ვობისგანაა დავალებული. ადამიანი, თავისი ქმედებებით, რა-ღაც გავლენას ახდენს მოვლენათა სამყაროზე. იგი მოვლენათა სამყაროს შექმნის თანამოზიარეა. სამყაროს ამგვარ თანაშექ-მნას გერმანულ იდეალიზმში ტრანსცენდენტალური კონსტრუ-ირება ეწოდება. ამით რომანტიზმი ემიჯნება შუა საუკუნეების თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც საგნები ადამიანს ისე ეცხადებიან, როგორც „თავისთავად“ არსებობენ.

## პირველცოდვა და ინდივიდუალური ცოდვა

ცხოველები ერთ სფეროში – ინსტინქტების სფეროში მოქმედებენ და ამიტომაც ეს მდგომარეობა უფრო მარტივია. ანგელოზები სულიერ-აზრობრივ სივრცეში მოქმედებენ და ესეც გასაგებია. ადამიანი ამ ორ სფეროს შორისაა მოქცეული და მათი მორიგება შეუძლებელია. ადამიანის ეს მდგომარეობა ჯერ კიდევ ბიბლიაშია მითითებული, როდესაც ადამის ცოდვაზეა საუბარი. ადამიანი მუდმივად ორ არჩევანს შორისაა. ერთი მხრივ, ის ფიზიკური არსებაა, რომელმაც უნდა დაიკმაყოფილოს თავისი ელემენტარული სურვილები. მეორე მხრივ, ადამიანი იმაზეც ფიქრობს და იცის, რომ მას უნდა ქონდეს სულიერი ღირებულებები და ა.შ. მაგრამ ადამიანი ვერასოდეს მიუახლოვდება იმ მორალურ მაგალითს, რომელსაც თვითონვე ისახავს.

ადამი მაშინ ხდება ადამიანი და ცოდვილი, როდესაც ბოროტის და კეთილის გარჩევას იწყებს, ცნობიერის ხის ნაყოფს სინჯავს. ანუ ამ მეტაფორის მიხედვით, ადამიანი ებმება აზრების სივრცეში და უჩინდება ბოროტების და სიკეთის საინტერპრეტაციო სისტემა.

ადამიანის ცოდვილობის გაგება ყოველთვის არსებობდა ფარულად მაინც. მაგრამ კოლექტიურ საზოგადოებაში ადამიანისთვის არსებობს ერთი, კონკრეტული ფასეულობა, რომელიც ყველასთვის ერთია. ამ დროს შეიძლება ცოდვის განწმენდა ფარისევლურად, მონანიებით და ეს შეიძლება ბევრჯერ განმეორდეს. ასეთი კოლექტიური ცნობიერების დროს, იერარქიულობა თავისთავად იგულისხმება. მაგალითად, საეკლესიო პირი განსაზღვრავს ბევრ რამეს. ამ დროს პასუხისმგებლობას სასულიერო პირი იღებს, ადამიანს ეხსნება პასუხისმგებლობის შეგრძნება. ადამიანი ამ დროს არ არის თავისუფალი, მას გარედან ახვევენ ნორმებს. ხოლო როდესაც პასუხისმგებლობა – რომელ გადაწყვეტილებას ავირჩევთ კონკრეტულ შემთხვევაში – სოციალურად განპირობებულს თუ აზრების სამყაროს შესაბამისს – თითოეულ ადამიანს ეკისრება, ის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ინდივიდუალისტური ცნობიერების მატარებელი ადამიანებისთვის ეს მდგომარეობა ადამის მეორე ცოდ-

ვითდაცემის ტოლფასია, როდესაც არ არსებობს სხვა ავტო-რიტეტი ან ის, ვინც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს, საკუთარი მე-ს გარდა.

ქრისტიანულ ცნობიერებაში ყველაფერი გარკვეულია – **ბოროტება** არის ის, რაც ღვთის ნებას ეწინააღმდეგება. მაგრამ როგორც კი ღვთის მონისტურ ნებას გამორიცხავთ და გნოსტი-კურად ალიარებთ, რომ სამყარო ბოროტების და სიკეთის მუდ-მივი ბრძოლაა, მაშინ პასუხისმგებლობა ადამიანზე გადადის. ინდივიდს რომანტიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-ჭება. ის არის კიდეც შემოქმედი და ბოროტება-სიკეთეზე ამაღ-ლებულია, ვინაიდან არავინ იცის, რა არის სინამდვილეში ბორო-ტება და სიკეთე. რომანტიზმის ადამიანი გარდაქმნის ცხოვრე-ბას თავისი შეხედულებისამებრ, ის **მონანიე სუბიექტი** არ არის, მაგრამ იმაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს, რაც მისი ქმედების შედეგად ჩნდება. ამით – მონანიების უარყოფით და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებით, ისინი ღმერთს უტოლდებიან. ადამიანი, გარკვეულწილად, შემოქმედად გარ-დაიქმნება. და სწორედ ამ დროს ჩნდება **დემონიზმი**, რასაც, არ-სებითად, ბაირონის სახელს უკავშირებენ.

მეამბოხეს და რომანტიკოსის, საზოგადოებისგან უკუგ-დებულის, შერისხულის და თან საყოველთაოდ აღიარებული პოეტის, ბაირონის ტრაგიკული ბედი, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მისი პოემების გმირებისას დაემსგავსა. ალბათ, ამ პოლუსების ერთიანობის, წინააღმდეგობების ერთობლიო-ბის წყალობითაც იწვევდა ის მისი თანამედროვეების მხრიდან, ერთსა და იმავე დროს, აღფრთოვანებასაც და გაკიცხვასაც.

იმ დროს, როდესაც ბაირონი სამოღვანეო ასპარეზზე გამოვიდა, უკმაყოფილების გამოხატვა, სიბრაზე საზოგადოებ-რივი დისკურსის ნაწილად იქცა. მით უმეტეს, საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ სიბრაზის დისკურსის ლეგიტიმაციას შე-უწყო ხელი როგორც პოლიტიკური, ისე კულტურულ სფეროში. ამ პერიოდში, რუსოს გავლენით, პოეზიაში წარმმართველი გახ-და გულახდილობის და მკითხველის თანაგრძნობის თუ თანა-განცდის ესთეტიკური პრინციპი. მთავარი გახდა ემოციების გულახდილი გამოხატვა და გამომსახველობის თეატრალურო-

ბისგან გათავისუფლება. ამიტომაც უკმაყოფილების ემოციური გამოხატვა მძაფრი, ინტენსიური პოეტური ფორმების ძებაში აისახებოდა. ბაირონის პოეზიაში ამ ყველაფერს დრამატული ფორმა აქვს – მისი ლირიკული გმირი, როგორც უსამართლო-ბის მსხვერპლი, ერთსა და იმავე დროს, ებრძვის სამყაროს და უაღრესი გულახდილობის დემონსტრირებით, მისგან თითქოს თანაგანცდასაც მოითხოვს („უხეშია, თუმც გულწრფელი ჩემი ჰანგი“); ან სტრიქონებში: „უკან წაიღეთ რომანსების ტკბილი ტყუილი, / სიცრუის ხლართი უგნურობის გამონაგონი, / სულის-შემკვრელი მზერის სხივი მომეცით რბილი, / ან აღტაცება სიყვარულის პირველი კოცნის.. / პატივს ვცემ სიტყვებს, წაკადივით ამოხეთქილებს, / რომელიც ფეხქავს, სიყვარულის პირველი კოცნით“ („სიყვარულის პირველი კოცნა“), სადაც თითქოს პლატონის მიმდევარივით უარყოფს ხელოვნების სიყალბეს, ან, უფრო, სიყალბეს ხელოვნებაში.

ბუნებრივია, ბაირონისეული ეს ანტითეტურობა, ეროსის და თანატონის თანაარსებობა თუ წარცისიზმი თვითგადარჩენის, თავდაცვის ინსტინქტის გამოვლინებაა, რასაც პოეტის ფსიქოტიპის ზოგიერთი მკვლევარი პარანოიულობის თავისებურ გამოვლინებად მიიჩნევდა.

თუმცა სიკვდილისკენ სწრაფვის, თვითგანადგურების მოტივი უცხო როდი იყო იმდროინდელი ესთეტიკისთვის. პირიქით, იმდროინდელი პოეზია და პროზა (ამის დასტურად თუნდაც მერი შელის პროზა იქმარებდა) სავსეა გოთიკური ესთეტიკისთვის დამახასიათებელი ელემენტებით – სასაფლაოებით, ჩონჩხებით და სიკვდილის სხვა ატრიბუტებით. იქნებ სწორედ ამიტომაც მიელტყის ბაირონის პოეზიის ლირიკული „მე“ სასაფლაოზე განმარტოებას: „ვნახე ადგილნი, საათობით სადაც ვფიქრობდი, / როცა მწუხრისას დავჯდებოდი საფლავის ქვაზე; / ან სასაფლაოს გორაქზე რომ დავსეირნობდი, / რომ უკეთესად დამენახა ჩამავალი მზე“ („ჰაროუს შორეული ხილვისას“) – სტრიქონები, რომელმაც თავისი განწყობით შეიძლება ბარათაშვილის პოეზია გაგვახსენოს, რადგანაც ერთადერთი ჭეშმარიტება – სიკვდილია. ამგვარი განცდა ხომ ყველასთვის საერთოა და ალბათ, სწორედ ამ დრამატული მონოლოგით იწვევდა ის თანადროულ მკითხველში თანაგანცდას; უფრო სწორად,

მკითხველიც მის „ალტერ ეგოდ“ იქცეოდა. მაგრამ, იმავდროულად, საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირის უჩვეულო განჭვრეტით, ბაირონის პოეზიის ლირიკული „მე“, თავისი პროტესტით, სამყაროს არმილებით, ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავი. ამით აიხსნება, რომ მისთვის „არავინ არის, ნათესავი მსგავსი შეგნებით, („მარტოსულობა“).“

ზოგადად, ინგლისური რომანტიზმი სამყაროს ირაციონალურ საფუძველს აღიარებს, რაც კარგად ჩანს ჯონ კიტსის პოემაში „იზაბელი ანუ ქოთანი რეჰანით“. აქ შეყვარებული იზაბელი თავისი სატრფოს მოკვეთილ თავს ქოთანში რგავს, საიდანაც რეჰანი ამოდის. აქ სიყვარულის ნიშანი – მცენარე, რეჰანია, რომლის ნიადაგშიც, საფუძველშიც – სიკვდილია.

სამყაროს მიუღებლობა ჰეროიკული გაქცევის აუცილებლობას წარმოშობს: „ნეტავ ფრინველის ფრთები როსმე მეც გამომესხას, /რომ შემძლებოდა მტრედებივით ცაში ნავარდი, / მოვახერხებდი ალბათ ზეცის თაღის გაკვეთას/და სამუდამოდ ამ ქვეყნისგან დავისვენებდი“ („ვისურვებდი რომ ვყოფილიყავ ბავშვივით ლალი“). ამგვარი გაქცევა ხშირად წარსულში დაბრუნებას ნიშნავს; ბიოლოგიურ წარსულში, ან ბავშვობაში, როგორც სამოთხეში, რომლისთვისაც უცხოა ორბუნებოვნება და არც ბოროტებად და სიკეთედ იყოფა ერთიანი, მონოლითური სამყარო. ამიტომაც ამბობს ბაირონის ლირიკული გმირი ლექსში „ჰაროუს შორეული ხილვისას“: „უპერსპექტივო მომავალში რადგან ვრწმუნდები, /სულისთვის ხდება მით ძვირფასი სხივი წარსულის!“ მაგრამ თუკი ბაირონისეული ჰეროიკული გაქცევა ბიოლოგიურ წარსულთან მიბრუნებაა, ქართველ რომანტიკოსებთან სამყაროს არმილება და წარსულში გაქცევა – ისტორიულ წარსულში დაბრუნებას გულისხმობს, რომელიც პოეტების წოდებრივ პრივილეგიებთან იგივდება (შათირიშვილი). თუმცა ამ მხრივ, სილრმისეული ხედვით და გლობალური მსოფლშეგრძნებით გამონაკლისია ბარათაშვილი.

ამგვარი ჰეროიკული გაქცევა ანათესავებს ბაირონის პოეზიასთან ბარათაშვილის ლექსებს, განსაკუთრებით „მერანის“, სტრიქონებს და „ევთანაზიის“, შემდეგ ფრაგმენტს: „ნუ მოვლენ მაშინ მეგობრები ან მემკვიდრენი, /იქ ან სატირლად ან

ქონების დასატაცებლად, /ნუ მოვა სატრფოც გაშლილი თმით და ცრემლისდენით, /თავისი განცდის გულწრფელობის დასამტკიცებლად“. ორივე შემთხვევაში გაქცევის და თავგანწირვის ჰეროიკული მოტივი მის ბაროკალურობაზე მიუთითებს, სადაც ღირსება, სხვისი თვალით დანახული „მე“, საკუთარი პიროვნებისგან მითიური არსების შექმნა ყველაზე მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ბაირონის ამ სტრიქონებით: „მან გადაცურა ბევრჯერ დინება, /თუ იმ ძველ ამბავს დაეჯერება, /ღმერთმა ხომ უწყის, ვის რა ენება - /მას სიყვარული, მე კი - დიდება“ („დანერილი სესტოდან აბიდოსში გადაცურვის შემდეგ“). ზოგჯერ კი გაქცევა სიკვდილისკენ სწრაფვად, თრობის გზით ექსტაზს უახლოვდება, რაც საცნაური ხდება ლექსში „ნარწერა თავის ქალისგან დამზადებულ სასმისზე“ და სადაც აღმოსავლური მგრძნობელობის გავლენა ჩანს („ჯობს ნაპერნკლიან ლვინით ხშირად რომ ამავსებდე, /ვიდრე ბუდობდნენ ჩემში მიწის ჭიამატლები“) – აღმოსავლეთი, როგორც სანუკვარი მისტიკური მხარე.

ბაირონის გმირებისთვის დამახასიათებელია ჰეროიკულობა – რომ ისინი უნდა შეებრძოლონ ბედს და ბოლომდე შედგენ, როგორც ადამიანები. ბაირონის კაენი უკომპრომისო, მართალი და მეოცნებე გმირია. ლუციოფერმა იცის კაენის ბუნება. ახალგაზრდული ცნობიერება სიმართლეს ეძებს, მაგრამ თუკი სინამდვილე, თავისი ორაზროვნებით და სირთულით, მისთვის გაუგებარია, ახალგაზრდას ის სიცრუედ ეჩვენება. ამ ლოგიკით, ბოროტმა ღმერთმა ადამიანი განდევნა სამოთხიდან და წამება მიუსაჯა. ადამიანმა ბოროტებით მოფენილ სამყაროში უნდა იცხოვროს და პასუხი აგოს კიდეც. თან, ამ ღმერთს უნდა, რომ უყვარდეთ და მსხვერპლიც შენირონ. ის ტირანი გამოდის, რადგან სიკვდილით და ცოდვით დაამონა ადამიანები. რატომ მოაწყო მან ასე ცუდად სამყარო? ორიდან ერთია: ან სულელია ან ბოროტი. კაენისგან განსხვავებით, ვთქვათ, შექსპირის ჰამლეტი არაა ახალგაზრდული ცნობიერების ნაყოფი, ის დიდხანს ფიქრობს, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებს. მის ადგილას, კაენი მაშინვე იმოქმედებდა და მოკლავდა მამამისის მკვლელს.

მე-19 საუკუნის ისტორიაც კაენის მსგავსმა ადამიანებმა შექმნეს – ადამიანებმა, რომლებსაც სამართლიანობა და პრობლემების სწრაფად მოგვარება, ისტორიაში შესვლა და ხალხ-ისთვის ბედნიერების მოტანა უნდოდათ. გნოსტიკური პოზიცია ვლინდება ლუციფერის სიტყვებში, როდესაც ის კაენს ესაუბრება და როდესაც არა მოთმინებისკენ, სამყაროსადმი რწმენისკენ, აზროვნებისკენ მოუწოდებს მას, არამედ იმისკენ, რომ თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა, თვითონვე დაიწყოს შემეცნების პროცესი, ღმერთის დახმარების გარეშე და შემდეგ სამყაროს გარდაქმნის გზისკენ. გნოსტიკიზმში, რომანტიზმის მსგავსად, იწყება მატერიალური სამყაროს და მეორე სინამდვილის დაპირისპირება, საადაც ადამიანების განუხორციელებელი შესაძლებლობებია. მატერიალური სინამდვილე ამ შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას არ იძლევა. ამიტომაც ადამიანმა თავი უნდა დააღნიოს რეალობას. გნოსტიკიზმში ცოდნის გზით მატერიალურობისგან გათავისუფლების შედეგად აღწევს ადამიანი თავისუფლებას. გნოსტიკიზმი ამიტომაც უპირისპირებს ერთმანეთს ბოროტს და კეთილს, მატერიას და სულს და ხსნის გზად ცოდნას მიიჩნევს, რაც უკვე პოზიტივისტური მიდგომაა. აქედან იწყება პოზიტივიზმის და გნოსტიკიზმის სიახლოვე. მათ საფუძველშივეა რელატივისტური მიდგომა ყველაფრის, მათ შორის ბოროტების და სიკეთის რაობის მიმართ.

ლუციფერი კაენის მოსახიბლად ამგვარ, მყიფე მდგომარეობას ხატავს – ყველაფრის რელატივიურობას; სინამდვილე, ლუციფერის აზრით, არის დაეჭვება. მაგრამ არსებობს ფასეულობები, რომლებიც ნებისმიერი პოზიციიდან უცვლელი რჩება და მასზე არაფერი მოქმედებს. ეს ჭეშმარიტება ქრისტიანობაში ღმერთს და რწმენას უკავშირდება, როდესაც უსასრულო სასრულში, ჩვენს სამყაროში გამოხატავს თავის თავს. ლუციფერმა სწორედ ამ პოსტულატზე უნდა მიიტანოს იერიში – რაიმეს მიმართ რწმენაზე, რასაც აბელი განიცდის. კაენი თვითონ ბაირონია, რომელიც საშიშ კითხვებს სვამს და ამით თავის პოზიციას და საკუთარ თავს ბოლომდე ანადგურებს.

ანალოგიურად, გოეთეს „ფაუსტში“, მეფისტოფელი პოზიტივისტია. გოეთე დაცინის რომანტიკოსებს, რომ არავითარი ენთუზიაზმი არ არსებობს, რაზეც რომანტიკოსები საუბრობენ, თუკი არ იარსებებს ცდუნება და ეშმაკი. ადამიანებს ილუზიების გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია, მაგრამ ილუზიებისთვის ყოველთვის ეშმაკს უნდა მივმართოთ.

ბაირონის კაენს ეშინია სიკვდილის მანამდეც კი, სანამ თვითონ სიკვდილი ამქვეყნად გამოჩნდება. ადამიანის დამახასიათებელი თვისება, რომ გააზვიადოს მოვლენები, ამით შეშინდეს, საკუთარ თავში ჩაიკეტოს და გარე სამყაროს გაემიჯნოს. ადამიანისთვის ძნელია, როცა რაიმეს რაციონალიზებას ვერ ახდენს და ამისი ეშინია.

ბოროტებაინყებამაშინ, როდესაც მორალით – ბოროტების და სიკეთის ცოდნით აღჭურვილი ადამიანის წინაშე იქმნება არჩევანი, მისი შეზღუდული შესაძლებლობების ფონზე. ადამიანი ვერასოდეს იქნება თავის მორალურ იდეალთან მიახლოებული. ღმერთისგან შექმნილი ადამიანი ვერასოდეს ვერ აიღებს ღმერთის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე. ამიტომაც ღმერთთან მისული მონანიე ადამიანი პასუხისმგებლობას გადაცემს მას და მას შეიბრალებენ. მაგრამ მანამდე ადამიანმა უნდა გააცნობიეროს თავისი არსებობის საზრისი და თავისი ცოდვებიც.

რომანტიზმი მნიშვნელოვნადაა დავალებული გოეთეს-გან და მისი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანისგან“. როდესაც გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ გამოქვეყნდა, ევროპაში თვითმკვლელობის სერიები მოყვა. ეკლესიამ გააკრიტიკა. ლესინგი მის შესახებ წერდა, რომ მხატვრული თვალსაზრისით რომანი კარგია, მაგრამ მორალურად ალბათ არასწორია და თვითმკვლელობისკენ უბიძებს ადამიანებს.

„ვერთერში“, ბუნება ადამიანის **ბედის** და **განწყობის** შესაბამისად იცვლება: დადებითიდან უარყოფითიდან. აქ თავი-დან იდილიაა და ყველაფერი მონონს ვერთერს ახალ გარემოში, სადაც თავიდან სამუშაოდ ჩადის. აქვეა ლოტე, რომლის კეთილშობილებაც, და-ძმებისადმი დამოკიდებულებაც ხიბლავს. ადამიანი იღებს გაშლილი გულით ამ იდეალურ სამყაროს და ალმორჩდება, რომ ეს ხაფანგი იყო და ამ იდეალის მიღმა თურმებოროტება და სამყაროს უსამართლობა იმაღება. მოვლენებიც

ანალოგიურად, უარყოფითად ვითარდება, სიყვარულში ხელი მოეცარებათ ადამიანებს, ვიღაცეები იღუპებიან... ირკვევა, რომ მშვენიერი ლოტეც სინამდვილეში არც ისე მშვენიერია. ირკვევა, რომ ლოტე საპედისწერო ქალია. ვერთერი ხვდება ახალგაზრდა კაცს, რომელიც ჭკუიდან შეშლილია. ვერთერი გაიგებს, რომ ის ლოტეს მამის მდივანი იყო და ლოტესადმი უპასუხო სიყვარულის გამო ჭკუიდან შეიშალა. ასე რომ, ლოტე, ბუნების მსგავსად, მისი მტრედისებური სული სინამდვილეში ეშმაკებით ყოფილა დასახლებული. მან და მისმა საქმრომ, ალბერტმა კარგად იციან, რომ ვერთერს ლოტე უყვარს. მაგრამ ეს წყვილი ვერ-თერს ჩუქნის ბაფთას ლოტეს კაბიდან, რაც მოსვენებას უკარგავს ვერთერს. ეს უკვე დაცინვაა. მაგრამ არც ვერთერია უცოდველი. რომანის დასაწყისში მისივე წერილიდან ვიგებთ, რომ ვერთერიც ცუდად მოექცა ლენორას, რომელსაც უყვარდა ის. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ სამყარო არ არის ისეთი სრულყოფილი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

### **დამოწმებანი:**

**აპრამისი :** ABRAMS, M. H. English Romantic Poets: Modern Essays in Criticism.

**ბრეგაძე 2012:** გერმანული რომანტიზმი. თბილისი: მერიდანი, 2012.

**დოდაშვილი 1986:** სოლომონ დოდაშვილი. საიუბილე კრებული (მიძღვნილი ს. დოდაშვილის დაბადების 180 წლისთავისადმი). თსუ (სარედ. კოლ.: თმარ კუკავა, სოლომონ ხუციშვილი, შალვა ხიდაშელი, ოთარ გაბიძაშვილი). თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1986.

**ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011:** XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I. თბილისი: „უნივერსალი“, 2011.

**თევზაძე 2005:** სოლომონ დოდაშვილი. 1-ლი გამოცემა. თბილისი: დიოგენე, 2005.

**კალპუნი 1992:** Calhoon, K.S. Fatherland: Novalis, Freud, and the Discipline of Romance. Wayne State Univ Press, 1992.

**კაციტაძე ... 2012:** ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი. წიგნში: ქართული რომანტიზმი – ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2012.

**ლომნატისი 2008:** German Idealism and the Problem of Knowledge: Kant, Fichte, Schelling, and Hegel Series: Studies in German Idealism, Vol. 8 Limnatis, Nectarios G. 2008 pp. 276-277; Publisher: Springer.

**ლომიძე 1992:** ლომიძე თ. „მერანი“ (სტრუქტურული ანალიზი). ლიტერატურა და ხელოვნება, № 1-2 (1992).

**ლომიძე 1995:** ლომიძე თ. „მირბის, მიმაფრენს...“. კრ-ში: ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი. თბილისი: 1995.

**ლომიძე 1998:** ლომიძე თ. „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სტილის პრობლემა“. ახალი პარადიგმები, I (1998).

**ლომიძე 1998:** ლომიძე თ. „მხატვრული აზროვნების თავისებურებები ქართულ რომანტიზმში“. ლიტერატურული ძიებანი, XIX. თბილისი: 1998.

**ლომიძე 1999:** ლომიძე თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“ (სტრუქტურული ანალიზი). ლიტერატურა და ხელოვნება, 3. 1999.

**ლომიძე 2004:** ლომიძე თ. „კარნავალური მოტივები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში“. ლიტერატურული ძიებანი, XXV. თბილისი: 2004.

**ლომიძე 2005:** ლომიძე თ. „მე“-ს კონცეფცია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში“. სჯანი, 6. თბილისი: 2005.

**ლომიძე 2007:** ლომიძე თ. ფილოსოფია და პოეზია – ფიხტე და ბარათაშვილი. სემინარიკა, № 2. 2007.

**ლოტმანი 2008:** Лотман Ю. *Беседы о русской культуре. Быт и традиции русского дворянства (XVIII-начало XIX века)*. 2008.

**ნაკუდაშვილი 2010:** ნაკუდაშვილი ნ. ლიტერატურული მიმდინარეობები. საქ. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრ. ინ-ტი. 2010.

**ნექტარიოსი 2008:** German Idealism and the Problem of Knowledge: Kant, Fichte, Schelling, and Hegel Series: Studies in German Idealism, Vol. 8 Limnatis, Nectarios G. Publisher: Springer) 2008 pp. 276-277;

**ნუცუბიძე 2010:** ნუცუბიძე ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი, 2010.

**ტილოტამა 2006:** Tilottama Rajan ‘The Prose of the World’: Romanticism, the Nineteenth Century, and the Reorganization of Knowledge; Modern Language Quarterly December 2006, 67(4).

**ქართველი რომანტიკოსები ... 1980:** ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980.

**ქრესტომათია 2007:** „ქართული პუბლიცისტიკა“. ქრესტომათია (XIX საუკუნე). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.

**შათირიშვილი 2010:** შათირიშვილი ზ. ქართული ლექსი ნაციონალიზმის ხა-ნაში (1859-1916 წწ). ჟ. სემინარიკა. თბილისი: 2010.

## ირმა რატიანი

### რეალიზმის ლიტერატურული მოდელი და მისი რეფლექსია ქართულ მწერლობაში\*

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა სრულიად სამართლიანად იხსენიება „ქართული კრიტიკული რეალიზმის“ სახელით. ამ ეპოქაში საფუძველი ეყრდნობა არა მარტო ახალ კონცეპტებსა და ღირებულებებს (ანტიკოლონიური მოძრაობის გადანაცვლება ეროვნული იდეის სიბრტყეზე, ახალი იდენტობის ძიება), არამედ – ახალ ჟანრებს, თემებსა და გამომსახველობით ფორმებს. ქართული კრიტიკული რეალიზმი, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირში იმყოფება რეალიზმის დასავალურ მოდელთან, ხოლო მეორე მხრივ – აღავსებს მას ქართული სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მახასიათებლებით.

რეალიზმის დასავლური მოდელი, თავისთავად, წარმოადგენდა რეაქციას რომანტიზმისათვის ნიშანდობლივ სუბიექტივიზმზე: „რომანტიზმი ინარჩუნებდა გარკვეულ ილუზიებს და ახალი ცხოვრების არასრულყოფილების განცდას ამკიდრებდა. კრიტიკული რეალიზმი კი იყო ფხიზელი ანალიზი „დაკარგული ილუზიებისა“, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სამყაროს „დვთაებრივი კომედია“ თანდათან იძნდა ყოფით მახასიათებლებს და „ადამიანურ კომედიად“ ყალიბდებოდა“ (ბორევი 2001: 390). ეს იყო „მკვდარი სულების“, „ცოცხალი გვამების“, „დამცირებულებისა და შეურაცხყოფილების“, „დარიბი ადამიანების“, აგრეთვე – გორიონების, ჩიჩიკოვების, ობლომოვების სამყარო, მოთხოვნილი დინჯი, აუჩქარებელი და დაკვირვებული მანერით. მწერლები უკირკიტებდნენ პრობლემას – „ადამიანი და სამყარო“, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან უკვე შეიძლება გადაინათლოს პრობლემად – „მე და სამყარო“ და განისაზღვროს, როგორც გარეხედვის ყველაზე კრიტიკული პოზიცია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში\*\*.

\* წერილის ვრცელი ვერსია იხ. ირმა რატიანის წიგნში „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“. -თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015. გვ. 108-123.

\*\* აქ, ცხადა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ასახვის რეალისტურ მანერით შესრულებული პირველ ტექსად ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“ მიიჩნევა. რაბლეს ეპოქაში ძალზე ნაადრევია რეალიზმის ლიტერატურულ მიმდინარეობაზე საუბარი – ის მხოლოდ XIX საუკუნეში დაიმკვიდრებს

რეალიზმის ეპოქის წამყვანი ლიტერატურული ჟანრები – რომანი, მოთხრობა, პოემა და სხვ. – წარმატებით იყენებენ სატირასა და იუმორს, გროტესკსა და ირონიას, რათა უკეთ გამოხატონ ლიტერატურის პოზიცია: იდეალის აღმოჩენა მხოლოდ არსებულის კრიტიკისა და უარყოფის გზითაა შესაძლებელი! მწერლები ცდილობენ ჩასწვდნენ იდეალს, საამისოდ კი მეტად უნდა შეიჭრან ცხოვრებაში, იქ, სადაც ადამიანი მუდმივ ჭიდილში იმყოფება ისტორიასთან. რეალიზმის კულტურული მისია ხომ ადამიანის ისტორიული დანიშნულებისა და ჰუმანურობის ძიებაა! (ბორევი 2001ბ: 388).

რეალიზმს პოლიტიკურად ინტენსიურ და სოციალურად დიფერენცირებულ ეპოქაში უხდებოდა მუშაობა. მარტივი ფეოდალური სტრუქტურები დიდი ხანია შეცვალა სოციალურად აჭრელებულმა საზოგადოებამ: არისტოკრატის ჩრდილში აქამდე მოკრძალებით მდგარმა ბურუუაზიამ ისტორიული ძლევამოსილება შეიძინა და მთელი ძალითა და ენერგიით აღიძრა დამსახურებული პატივისცემის მოსაპოვებლად. ღირებულებათა ჭიდილი – ყველა სახისა და სირთულის – კრიტიკული რეალიზმის განმსაზღვრელ მახასიათებლად იქცა: ბურუუაზიული მსოფლმხედველობა დაუპირისპირდა არისტოკრატიულს, ფული – გვარსა და წარმომავლობას, სიმდიდრე – საუკუნეობით გამყარებულ ტრადიციასა და ეტიკეტს. სოციალური საკითხი ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ჩამოყალიბდა. გამოიკვეთა კონცეპტუალური ოპოზიციები: ფული/უფულობა, მატერიალური ბედნიერება/სულიერი სიმდიდრით მიღწეული ბედნიერება, „პატიოსანი ფული“/„არაპატიოსანი ფული“...

---

თავს, მაგრამ რეალიზმი, როგორც მეთოდი, სრულ ასახვას ჰპოვებს აღორძინების ეპოქის ამ გენიალური ავტორის თხზულებაში.

## კრიტიკული რეალიზმი

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფორმირებული კრიტიკული რეალიზმისთვის (დიკენსი, სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი) ურთულეს პრობლემად ჩამოყალიბდა ადამიანის მიერ ბედნიერებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის შეუძლებლობა ფულის პრიმატზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. ამგვარ საზოგადოებაში ბედნიერების მიღწევა მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭას უკავშირდება, რაც ან მიუღწეველია, ანაც – სულიერად დამანგრეველი ამაღლებული და სულიერად მდიდარი პიროვნებისთვის... ადამიანის მთავარ ამოცანად ალტერნატივის მიღწევა ისახება: მან ან უნდა ეძიოს ბედნიერება სიმდიდრის მიღმა, ანაც გამდიდრდეს „თეთრი ხელებით“, პატიოსნად. თავისთავად ამგვარი ალტერნატივის უტოპიურობა იქცევა ბურჟუაზიული საზოგადოების მწვავე კრიტიკის იარაღად, საზოგადოებისა, რომელიც აყენებს პიროვნებას ესოდენ მერყევ და უპერსპექტივო მდგომარეობაში“ (ბორევი 2001: 399).

საგულისხმოა, რომ ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა, მისი ფორმირების ადრეულ ეტაპზევე, წარმატებით შეითავსა კრიტიკული რეალიზმის დასავლეთ ევროპული გამოცდილება (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“, გ. ერისთავის „გაყრა“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“) და ხედვის არეალში შემოიტანა დიფერენცირებული სოციალური გარემოს აღნერა და ანალიზი, როგორც რეალობის შეფასების უტყუარი კრიტერიუმი.

მთავარ პერსონაჟებად გამიკვეთნენ, ერთი მხრივ, წვრილი ბურჟუაზი – ვაჭრები, ხოლო მეორე მხრივ, „ახალ დროებას“ ვითომ ფეხანყობილი თავადიშვილები, რომლებმაც თავიანთი საგვარეულო ქონება ქარს გაატანეს, დაივინყეს ლირსება და ცდილობენ, გადაირჩინონ თავი ახლადგამდიდრებულ ბურჟუაზთან ალიანსით.

რას წარმოადგენდა „ბურჟუა“ როგორც კლასი და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის ქართული მიზნისთვის?

თავის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში – „ბურჟუა. ისტორიასა და ლიტერატურას შორის“, ეძიებს რა ბურჟუას ცნების ახალ

განმარტებას, ფრანკო მორეტი იმოწმებს იმანუილ ვალერ-შტეინის ნაშრომს – „ბურუუა, როვორც კონცეპტი და რეალობა“: „ბურუუა სადღაც შუაში აღმოცენდა. ის არც გლეხი იყო, არც ფეოდალი და არც – დიდგვაროვანი“ და სწორედ „შუაში-მყოფობა“ იყო ბარიერი, რომლის დაძლევასაც ის გამუდმებით მიელტვოდა“ (ვალერშტეინი 1988: 98). თუ ბურუუაზის კლასის აღმოცენება ეკონომიკური პროცესებით ნაკარნახევი ისტორიული აუცილებლობა იყო, მე-19 საუკუნის შუაწლებიდან მან პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძენდა და აქტიურად ჩატართ საზოგადოებრივ ცხოვრებაში (კოკა 1999: 193); ბურუუას „ახალი მდიდრის“ პირვანდელი სტატუსი, ესოდენ არასასურველი და მიუღებელი თავად ბურუუებისთვის, სხვა სტა ტუსებით შეიცვალა – „ენერგიული“, „ნათელი გონების მქონე“, „წესიერი საქმისმნარმოებელი“, „მიზანდასახული“ და სხვ. თუმცალა, ეს „კარგი“ თვისებები მაინც არასაკმარისად კარგი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბურუუასაგან შექმნილიყო თხრობითი უანრის გმირი, ისეთი, როგორიც იყო მეომარი, რაინდი, დამპყრობელი ან ავანტიურისტი – გმირები, რომელთაც ასობით წლების მანძილზე ეყრდობოდა დასავლური ლიტერატურის სიუჟეტები“ (მორეტი 2014: 30). ბურუუა ვერ იქცა გმირად, არამედ უფრო – ანტიგმირად, რომელმაც ცალკეულ შემთხვევებში დადებითი ინტერპრეტაცია შეიძინა. ასეთი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, ალბათ, „იმ უზარმაზარ განხეთქილებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ძველსა და ახალ მმართველ ძალებს შორის არებობდა: თუკი არისტოკრატიას ეყო თავხედობა, შეექმნა უშიშარი და უნაკლო რაინდების მთელი გალერეა და ამით მოეხდინა საკუთარი თავის იდეალიზაცია, ბურუუაზიამ ეს არ ჩაიდინა. თავგადასავლის დიადი მექანიზმი თანდათან დაიშალა ახალი ბურუუაზიული ცივილიზაციით, თავგადასავლის გარეშე კი გმირმა დაკარგა უნიკალურობა, რომელიც მოულოდნელობასთან შეხვედრის ხიბლით იყო განსაზღვრული. რაინდთან შედარებით ბურუუა არაფრით გამორჩეული და მოუხელთებელი მოჩანდა, ნებისმიერი სხვა ბურუუების მსგავსი“ (მორეტი 2014: 31)...

მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული პროზა და დრამატურგია საერთოდაც შორს იდგა ბურუუას მომწიფებული

გაგებისაგან. ბურუუას სოციალურმა კლასმა ჯერ კიდევ ვერ შექმნა საქართველოში ის აუცილებელი დისტანცია, რომელიც უკვე არსებობდა ევროპასა და ამერიკაში „ძალიან მდიდრებსა“ და „ძალიან ღარიბებს“ შორის; არც „მესაკუთრებისა“ და „საკუთრებას მოკლებული მშრომელების“ ან – „მწარმოებლებისა“ და „მუშა-ხელის“ გაება იყო დამკვიდრებული\*. შესაბამისად, ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში ბურუუას არ ჰქონდა შექ-ნილი ისეთი თვისებები, რომლითაც ის დასავლურ მწერლო-ბაში გზის გაკვალვას ცდილობდა – მშრომელი, სერიოზული, განათლებული, გამოსადეგარი, კომფორტის მოყვარული, გავ-ლენიანი\*\*. ქართულ ცნობიერებაში ის ჯერ კიდევ უმნივარი, უტიფარი, უნიტელექტო და უსულებულო დახლიდარი იყო – მხოლოდ დახლიდარი\*\*\*. მეტიც, დასავლური სამყაროსგან გან-სხვავებით, სადაც მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ბურუუა მმართველ კლასად იქცევა, ხოლო ბურუუას ცნება სოციალური და კულტურული განვითარების სხვადასხვა ეტაპებს გაივლის, საქართველოს, მისი ისტორიული ფატუმის გამო, თითქმის არ დასცალდება ბურუუას გააზრების ჩანასახვანი ფაზის დაძ-ლევა: საზოგადოებრივ-სოციალურ არენაზე მას მარქსისტულ-ბოლშევიკური მოძრაობა და ბოლშევიკური რევოლუციის ზვირთები შათნთქავს, ლიტერატურულ სიბრტყეზე კი ჯერ „ხალხოსნური“, ხოლო მოგვიანებით – სოციალისტური მწერ-ლობის იდეოლოგია დაუპირსიპირდება. და მიუხედავად ამისა, თავისი ისტორიული მოცემულობის ფარგლებშიც კი, ქართუ-ლი მწერლობა შეძლებს ბურუუაზის ფუნქციისა და როლის, აგრეთვე, არისტოკრატიასთან მისი მიმართების ქართული რაკურსის წარმოჩენას; შეიქმნება არაერთი საინტერესო ლი-ტერატურული ტექსტი, სადაც გამორჩეულ ადგილს უდაოდ დრამატურგიული გამოცდილება დაიკავებს.

ბურუუას სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დრამატურგიაში (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი) ასახვის ირო-

\* იხ. ემანუილ ვალერშტეინი, „ბურუუა როგორც კონცეპტი და რეალობა“ (1988), იურგენ კოკა, ინდრუსტრიული კულტურა და ბურუუაზიული საზოგადოება“ (1999), ჯენის მილი, „ესსე მთავრობის შესახებ“ (1937) და სხვ.

\*\* მორეტისეული კლასიფიკაცია.

\*\*\* კლასიფიკაცია ჩემია.

ნიულ-გროტესკული მანერის ჩარჩოებშია მოქცეული. ცნება ბურუუა ჩანაცვლებულია ცნებით ვაჭარი, რომელიც ბურუუას გაგების შედარებით ადრეული და პრიმიტიული მოდელის ექვივალენტია, ხოლო მთავარ ოპოზიციად განსაზღვრულია სოციალური ოპოზიცია: ვაჭარი/თავადი, იგივე – წვრილი ბურუუა/არისტოკრატია, სადაც ვაჭარი ანუ წვრილი ბურუუა ფულის პრიმატზე დაფუძნებული ახალი დროების სიმბოლოა, თავადი ანუ არისტოკრატი კი – ისტორიულად, „ძველ დროში“ გამომუშავებული ქართული რაინდული ცნობიერების დევალვაციისა. ქართული დრამატურგია შეურიგებელია როგორც ერთის, ისე – მეორეს მიმართ: მას ჯერ არ სჯერა ბურუუაზის, რომელიც ფულით იკვლევს გზას და უკვე აღარ სჯერა არისტოკრატიის, რომელმაც დაკარგა ზნეობრივი ორიენტირები. სრულიად ცხადია, რომ ამ სახით არც ერთი მათგანი არ ერგება ქართულ მიზანს.

მაგრამ, მსოფლიო კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკური და ლიტერატურული მოდელი არ რჩება ოდენ სოციალური და ეთიკური პრობლემების ასახვის დონეზე, არამედ – მიზანდასახულად ფართოვდება მსოფლმხედველობრივი ჰიონიზმურებისაკენ. რეალისტი მწერლების ხედვის არეალში მოქცეულია ცხოვრება მისი ყველა დეტალითა და პრობლემით – რეალისტები ფართოდ გახელილი თვალებით შეჰქურებენ ცხოვრებას და ცდილობენ ასახონ ის მაქსიმალური შეგრძნებით. ასე მაგალითად, რუსული კრიტიკული რეალიზმი (გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტიო, დოსტოევსკი, ჩეხოვი) ამუშავებს პიროვნებისა და სამყაროს გლობალური შეუთავსებლობის პრობლემას: ამ კონცეფციის წიაღში სრულად ვლინდება ადამიანსა და სამყაროს შორის არსებული წინააღმდეგობანი, მაგრამ სამყაროს ბოროტების ალმოფხვრის გზას წარმოადგენს არა ძალადობა, რომელიც ისტორიულად საშიში და გაუმართლებელია, არამედ – მისი გაკეთილშობილების მცდელობა: სხვა გამოსავალს, თუ არა პიროვნების თვითსრულყოფა და ბოროტებაზე შენდობით პასუხი, რუსული რეალიზმი ვერ ხედავს.

ქართველი რეალისტები, „თერგდალეულები“\*, კარგად იცნობენ მსოფლიო რეალიზმის ლიტერატურულ კანონს (როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ტექსტების მეშვეობით) და მისი ძირითადი ნარმომადგენლების ტექსტებს; ახდენენ ისეთი საბაზისო რეალისტური თემების ადაპტირებას, როგორიცაა – პიროვნებისა და საზოგადოების გართულებული ურთიერთობები, სოციალური ყოფის დეტალები, ფსიქოლოგიური დილემები და სხვ. რომანტიკოსების მიერ უარყოფილი და ნიველირებული აწმყო თანდათან იბრუნებს პოზიციებს, პოეტი/მწერალი თავბრუდა მახვევი სისწრაფით ეშვება „ცოდვილ მინაზე“ და ფარად რეალობას ირგებს. რეალიზმის ეს ფუძემდებლური მახასიათებელი, გამყარებული საერთო ესთეტიკური და პოეტიკური პრინციპებით, გვევლინება კიდევაც მსოფლიო რეალისტური სკოლების, მათ შორის ქართულის, ურთიერთკვეთის მიზეზად. რეალისტი მწერლები – ქართველები, ფრანგები, ინგლისელები, რუსები, გერმანელები თუ სხვ. – ხშირად ერთსა და იმავე კონცეპტებს უტრიალებენ, თითქოს შეთანხმებულად არღვევენ რომანტიკოსების მიერ დამკვიდრებულ ჟანრულ და ნარაციულ სტრატეგიებს.

რეალისტური რომანი და მოთხოვობა იპყრობს ლიტერატურულ სივრცეს, პოეტური უანრებიდან კი ყველაზე მეტად პოემა ფასობს. ლიტერატურული პროცესი არნახულად გამჭვირვალე და, თანაც, მართვადი ხდება: ავტორის ფიგურა რომანტიკული ბურუსიდან გამოდის და ტექსტში გადაინაცვლებს – რამდენადაც მცირდება მწერლის ბიოგრაფიის როლი მის შემოქმედებაში, იმდენადვე იზრდება მისი შემოქმედების როლი ბიოგრაფიაში. რეალიზმის ეპოქის ავტორი ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ოსტატურად იყენებს ლიტერატურას საჭიროობო სოციალ-პოლიტიკური, ეთიკური და მსოფლმხედველობრივი ხასიათის პრობლემების გახმიანების ტრიბუნად. გარეფაქტორების აქტიური ჩართვა ლიტერატურულ პროცესში განსაკუთრებულ მიზანდასახულობას სძენს

\* მწერალთა ამ ჯგუფის თითქმის ყველა თვალსაჩინო ნარმომადგენელს განათლება მიღებული ჰქონდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, რაც, წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით, გულისხმობდა მდინარე თერგის გადაკვეთას საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ სამხედრო გზაზე.

მათ: ავტორები ყურადღებით უსმენენ ეპოქის ხმებს (ბახტინი). ონორე დე ბალზაკი, ჩარლზ დიკენსი, ლევ ტოლსტოი, ფიოდორ დოსტოევსკი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა – თავიანთ ეპოქაზე მიყურადებული ავტორები არიან: მათი შემოქმედების მეტაფორად უფრო „ინტელექტუალური მგრძნობელობა“ შეიძლება დასახელდეს, ვიდრე – „მგრძნობი- არე ინტელექტი“. რეალისტები არ იფარგლებიან მხოლოდ საკუთარი აზრით, არამედ, აინტერესებთ სხვათა აზრიც თავიანთი აზრის შესახებ: მკითხველი აღარ არის გარეშე მსმენელი, ის ინტელექტუალური პარტიიორია იმ უზარმაზარ რეალისტურ დიალოგში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. ლიტერატურა ორატორული პრაგმატიკის ფაზაში შეაბიჯებს. რომანტიკული ინტროვერტულობა თანდათან ტრანსფორმირდება რეალისტურ ექსტრავერტულობაში, ლიტერატურის პოლიტიზაცია და სოციალიზაცია კი მეტი თვალსაჩინოებით ავლენს ნაციონალურ განსხვავებებს: ქართული რეალიზმი „ქართული საკითხავითაა“ დატვირთული, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გარდაუვლად უკავშირდება ახალი ნაციონალური იდენტობის ძიებას, როგორც მიზანდასახულობას.

ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სწორედ ის ლოკალური პრობლემაა, რომელსაც განსაკუთრებული სიმტკიცით უტრიალებს კლასიკური რეალიზმის ეპოქის ქართული მწერლობა და, ამ თვალსაზრისით, ის მსოფლიო რეალიზმის საკმაოდ სპეციფიკურ ფრთას ქმნის.

ქართული რეალიზმი ძალდაუტანებლად ითავსებს როგორც დასავლეთ ევროპულ, ისე რუსულ გამოცდილებას, მაგრამ თავის მთავარ სათქმელად სხვა პრობლემას გამოკვეთს: ეროვნული თვითმყოფადობის იდეა არის ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარი იდეა, რომელიც მოიცავს და ფარავს მის გზაზე ამოსვეტილ მწვავე სოციალ-პოლიტიკურ პრობლემებს. ეროვნული თვითმყოფადობის იდეის გააქტიურებისა და ალორძინების გამო ქართული კრიტიკული რეალიზმი განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს რეალისტური მწერლობის საერთო ევროპულ სივრცეში. ამ თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობას იძენს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები, „მეფე

დიმეტრი თავდადებული“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერის-თავი“, ალექსანდე ყაზბეგის „ელგუჯა“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და სხვ.

ქართულ სალიტერატურო არენას თანდათან იპყრობს ისეთი თემები, როგორიცაა – ბრძოლა ქვეყნის ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის; სოციალური პრობლემების მხილება და გამათრახება; გალაშქრება საზოგადოების მერკანტილობის, გულგრილობისა და ინერტულობისადმი და იმ დამლუპველი შედეგებისადმი, რომელიც მათ მოაქვთ; მოწოდება ადამიანის უმაღლესი დანიშნულებისადამი და რეალურ ცხოვრებასთან ადამიანის მიმართების დადგენა. სწორედ ამ თემებზეა დაწერილი „აჩრდილი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „გამზრდელი“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“, ვაჟა-ფშაველას (და სხვა ავტორების) ლექსები და მოთხრობები და სხვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საზოგადოების რეაქცია რუსულ კოლონიალიზმზე დაუფარავად იცვლის სახეს და რომანტიზმის ხანის გაორებულ, ამბივალენტურ სტატუსს რადიკალური დაპირისპირება ცვლის\*: გაორებული ანტიკოლონიური მოძრაობის ისტორიულად გამომუშავებულ სარწმუნოებრივ სტრატეგიას ეროვნული სტრატეგია ჩაანაცვლებს. შემთხვევით არ ჩაეჭიდება ქართული რეალიზმის ლიდერი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიგურას – ის ბარათაშვილისტია რუსეთის კოლონიურ პოლიტიკასთან მიმართებაში\*\* და არა მხოლოდ ის: ეროვნული ღირებულებების რეკონსტრუქცია საფუძვლად უდევს ქართველი რეალისტი მწერლების შემოქმედებას (ა. წერეთელი – „განთიადი“, „თორნიკე ერისთავი“; ალ. ყაზბეგი – „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“ და სხვ.).

ეროვნული თვითმყოფადობის იდეის წარმატებით რეალიზებას ემსახურება ქართული კრიტიკული რეალიზმისთვის

\* იხ. ი. რატანი, რომანტიზმის ხანა. წიგნში: ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.

\*\* ნიკოლოზ ბარათაშვილს ეუფორის ცნობილი ფრაზა, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრებისათვის დეკლარაციის მნიშვნელობას იძენს: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.

ნიშანდობლივი კიდევ ერთი მძღავრი ტენდენცია – სოციალური პრობლემატიკის აქცენტირება. ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი მხატვრული სახე ლუარსაბ თათქარიძისა ამ თვალსაზრისით საეტაპო აღმოჩნდება: მწერალმა შექმნა თუმცალა უბოროტო, მაგრამ მუქთახორა, ზარმაცი და ინერტული ხასიათი-ტიპი, რომელიც არა მხოლოდ იმიტომაა საშიში, რომ სოციალურად დრომოჭმული და რეგრესულია, არამედ იმიტომაც, რომ მისი გაძლიერების შემთხვევაში საქართველოს სულ უფრო მეტად გაუჭირდება მისთვის ესოდენ სანუკვარი მიზნის – დამოუკიდებლობის მიღწევა: დამოუკიდებლობის გზა გადის ბძოლაზე, რომლის უნარიც თათქარიძეს და მისნაირებს არ გააჩნიათ. სოციალური პრობლემა არ რჩება ოდენ სოციალური პრობლემის დონეზე, არამედ მიემართება ეროვნული თვითმყოფადობის იდეას, როგორც ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარ სათქმელს. ამ თვალსაზრისით, ილიას ფრაზა „ჩვენი თავი ჩვენათვე გვეყუდნეს“ უდერს როგორც მოწოდება.

ეროვნული იდეა ცენტრალურ იდეად განიხილება მწერლთა ახალი, შედარებით რადიკალური დაჯგუფებისთვისაც, რომელიც ქართველი ხალხოსნების (ე.წ. „ნაროდნიკების“) სახელითაა ცნობილი. მიუხედავად მისი დასახელების სიმილარობისა ანალოგიურ ლიტერატურულ სკოლასთან რუსეთში, ის უფრო ევროპეისტული იყო თავისი ამოცანებითა და მიზანდასახულობებით, ვიდრე პრორუსული. ქართულ კრიტიკაში გამყარებული ტრადიციული აზრისაგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ ქართველი ხალხოსნების დიდი ნაწილი ევროპულ მეცნიერებასა და კულტურასთან დაახლოებაში ხედავდა ქვეყნის სწორი განვითარების წინაპირობას; მათვის ეროვნული გრძნობის ღირებულება იმდენად იყო ღირსების მატარებელი, რამდენადაც ის ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ემსახურებოდა. ხალხოსნებმა თამამად შემოიტანეს ქართულ მწერლობაში გენდერული პრობლემები.

XIX საუკუნის მიწურულისათვის ესოდენ სპექტრული და მრავალფეროვანი ქართული რეალიზმი გვიანი რეალიზმის ფაზაში გადაინაცვლებს და ამითაც ის „სოლიდარობას“ უმუღლავნებს ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს: ქართული

ლიტერატურა წარმატებით ეუფლება გვიანი რეალიზმის ეს-თეტიკას, რომელიც რამდენადმე განსხვავდა კრიტიკული რეალიზმის ძირითადი ტენდენციებისგან.

## გვიანი რეალიზმი

რეალისტმა მწერლებმა, რომლებმაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გვიანი რეალიზმის მგრძნობელობაში გადაინაცვლეს (დოსტოევსკი, ჩეხოვი, გი დე მოპასანი), მთელი სისრულით შეიმეცნეს ის საშიშროება, რომელიც არნაზულად გააქტიურებულ პოლიტიკურ უტოპიებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მოჰქონდა საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ და დადგენილ სულიერ ღირებულებათა სისტემისთვის. განგაშის ზარი რომანტიკოსებმა (მერი შელი – „ფრანკეშტაინი“) და ფილოსოფიის ახალი ტალღის წარმომადგენლებმა შემოჰკრეს: „პირველადი მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენდა არა მხოლოდ თანამედროვე მიღწევების შედეგად გამეფებული ძალადობისა და ტერორის ატმოსფერო, არამედ ინდივიდუალურობის დაკარგვის სახიფათო ტენდენცია „კოლექტიურისა“ და „საყოველთაოს“ წიაღში. შოპენჰაუერის, კირკეგორისა და ნიცშეს ფილოსოფიაში ცხადად აისახა კაცობრიობის წინაშე წამომართული ამ საფრთხის სიღრმისეული პროექცია. მათ მოძღვრებებში გამოიკვეთა ერთსულოვანი აგრესია პოზიტივიზმისა და „მოანგარიშებუსჲალტრული“ ტექნიკური აზროვნების მიმართ, მწვავედ დაისვა ადამიანის თავისუფალი აქტივობის, შემოქმედებითი ნებისა და ინდივიდუალური აზროვნების დაკარგვის პრობლემა... ახალი ფილოსოფიური აზროვნების წიაღში ჩამოყალიბდა პესიმისტური განწყობილება, ლრმა სკეფსისი არსებული რეალობისადმი. „სიცოცხლის ფილოსოფიის“ მესვეურთა მიზანს წარმოადგენდა სიცოცხლის გარეგანსაზღვრულობის იდეის შეცვლა თვითგანსაზღვრულობის იდეით, ანუ მიმართების – „მე და სამყარო“ – ტრადიციული და რაციონალური გარეხედვის პოზიციის ტრანსფორმირება გრძნობადისა

და აღქმადის პრიმატზე დაფუძნებულ შიგახედვის პოზიციაში. შიგნით და შიგნიდან ხედვის პროექცია წინ წამოსწევდა მე-ს ინდივიდუალურ ასპექტებს, ამკვიდრებდა კონდიციას, რომლის პირობებშიც ადამიანი აღარ სჯერდებოდა უკვე არსებული, გამყარებული, თავისთავადი „სამყაროს რეპროდუცირებას“ და კონცენტრირდებოდა საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და პერსპექტივების რეალიზებაზე... შოპენჰაუერის, კირკეგორისა და ნიცშეს ფილოსოფია სრულ ანტაგონიზმში აღმოჩნდა XIX საუკუნეში განვითარებულ სოციალისტურ და დემოკრატიულ მოძღვრებებთან, გაბატონებულ მეცნიერულ პროგრესთან და საერთო-რევოლუციურ ატმოსფეროსთან. მათ ნააზრევში ცხადად აისახა არა მხოლოდ ეპოქის კრიზისი, არამედ კრიზისული ეპოქის ჩარჩოებში მოქცეული ადამიანის ტრაგედია“ (რატიანი 2010: 36-40).

სოციალ-უტოპისტების მოძღვრებების, მარქსისა და ენგელსის „ზიარი საკუთრების“ თეორიის, ჩარლზ დარვინის „ევოლუციის თეორიის“, ფიზიკოსთა მიერ ატომის აღმოჩენის, დიდი ქიმიური ძვრებისა და ბიოლოგიური ექსპერიმენტების მონაცვლეობის პირობებში ადამიანები დაეჭვდენენ (რემი დე გურმონი) – ისინი დაეჭვდნენ საკუთარ წარმომავლობასა და წარმავლობაში, ღმერთსა და სამყაროში. იდეალური სამყარო დაინგრა, – აცხადებდა ფრიდრიხ ნიცშე, – „კაცობრიობას გამოყეალა საყრდენი. ადამიანი რჩება ორიენტირების გარეშე, ის რჩება თავისი თავის ანაბარა. ადამიანმა აღარ იცის, თუ რისთვის ცხოვრობს, საით მიდის, არ იცის რით გაამართლოს თავისი მოქმედება და აზროვნება. მას ეუფლება მარტობის, უპერსპექტივობის, უიმედობის გრძნობა“ (ბუაჩიძე 1970: 26). იდეალური ღირებულებები უფასურდება, „ღმერთი მოკვდა, ღმერთის არსებობით გამართლებული ღირებულებები, რომელთაც ადამიანი აქამდე ეთანხმებოდა, კარგავენ თავის ფასს. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ კართან მომდგარია „ყველა სტუმართაგან ყველაზე შემზარავი“ – ნიპოლიზმი“ (ბუაჩიძე 1970: 26). ნიცშეს ფრაზამ – „ღმერთი მოკვდა“ – გამოხატა ფილოსოფოსის ღრმა პირადული ტრაგედია, ამოზრდილი „ევ-

როპული კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ისტორიული მოძრაობის შინაგანი ლოგიკიდან“ (ბუაჩიძე 1986: 76).

„ჩვენი ეპოქა არის ძველი იდეალების შეცვლა ძალადობით და ეს მხოლოდ მეცნიერების დამსახურებაა“, – შფოთავდა ბერ-ტრან რასელი (ბეიკერი 1990: 64); „სამყარო თავის დასასრულს უახლოვდება, – აცხადებდა შეძრუნებული შარლ ბოდლერი, – ტექნოკრატია საბოლოოდ გავვანადგურებს ჩვენ, პროგრესი კი ისეთ სულიერ შიმშილს დასთესს, რომ უტოპისტთა სისხლ-ნაკრავი, ფუქსავატი და არაბუნებრივი ოცნებები მოგონება იქნება მასთან... სამყაროს ნანგრევები საცნაური გახდება არა პოლიტიკური სისტემების ან სხვა რაიმე უბედურების სახით, არამედ ჩვენი გულების სიღრმეებში“ (კუმარი 1991: 117).

ევროპული საზოგადოება აშკარად დადგა ინდივიდუ-ალური ფენომენის ნიველირების საფრთხის წინაშე. შედეგად, დეკადენის მთელი სისრულითა და ენერგიით მოედო ევროპულ ლიტერატურას, ხოლო კრიტიკულმა რეალიზმმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და გვიანი რეალიზმის ფაზაში გადაინაცვლა.

გვიანი რეალიზმის ეპოქის მწერლებმა თითქოს შეიგრძნეს, რომ დრომ შეცვალა ადამიანის „ქიმიური შედგენილობა“! საუკუნეების მანძილზე ლიტერატურაში ჩამოყალიბებული გარეხედვის პერსპექტივა – „ადამიანი და სამყარო“, ანუ „მე და სამყარო“ – ჩაანაცვლა სრულიად განსხვავებულმა შიგახედვის პერსპექტივამ: „ადამიანი სამყაროში და სამყარო ადამიანში“ ანუ „მე სამყაროში და სამყარო ჩემში“. ხედვის ეს პერსპექტივა, დეკადენის კონცეფციასთან წყვილში, წარმოადგენდა პირდაპირ გზას მოდერნიზმისკენ.

განსაკუთრებული კონტრიბუცია ლიტერატურული ხედვისა და პრინციპების გარდაქმნის ამ რთულ სისტემაში ეკუთვნის ფილორ დოსტოევსკის, რომელიც მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა ინდივიდუალიზმის დაკარგვის საშიშროებას. მისთვის ახდენილ კოშმარს წარმოადგენდა რაციონალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბების პერსპექტივა. საზოგადოების რაციონალიზაცია დოსტოევსკისეული „შეუზღუდავი დესპოტიზმის“ რელევანტური ცნება

იყო, მეცნიერულის, ლოგიკურისა და საყოველთაოს წიაღში სამუდამოდ ჩაკარგული თავისუფლების სინონიმი. „დოსტო-ევსკი დაჯილდოებული იყო გენიალური ნიჭით, მოესმინა თავისი ეპოქის დიალოგი, – წერდა მიხაილ ბახტინი, – უფრო ზუსტად, მოესმინა თავისი ეპოქა როგორც უზარ-მაზარი დიალოგი, მოეხელთებინა მასში არა მხოლოდ ცალ-კეული ხმების უდერადობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დიალოგური ურთიერთობები ხმათა შორის, მათი დიალოგური ურთიერთქმედება“ (ბახტინი 1972: 150). ეს დამოუკიდებელი, ერთმანეთთან შეურჩყმელი და, შესაბამისად, არაინტეგრი-რებადი ხმები ერთმანეთზე ზედდებით ხასიათდება და არც ერთი მათგანი არ ღალადებს უმაღლეს და საბოლოო ჭეშმარიტებას: ჭეშმარიტება, როგორც მხატვრული ტექ-სტის კონცეფცია, მხოლოდ ამ ხმათა ყველა პოზიციის, რო-გორც მრავალხმიანი, პოლიფონიური ჰარმონიის შედეგია. დოსტოევსკის მთავარ აღმოჩენად ადამიანი იქცა, ადამიანი, რომლის სულში, გონებასა და ფსიქიკაში მომხდარი ღრმა ცვლილებები გასაოცარი მრავალფეროვნებით დააფიქსირა ავტორმა.

გვიანი რეალიზმის აღნიშნული თემები XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გაიყდერებს ქართულ რეალისტურ მწერლო-ბაში, ისეთ ტექსტებში, როგორიცაა: ილია ჭავჭავაძის „სარ-ჩობელაზედ“, ალ. ყაზბეგის „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“ და სხვ., ხოლო მოგვიანებით თხრობის განასკუთრებული მანე-რით გამოიხატება ისეთი მნიშვნელოვანი ავტორის ტექსტებში (მოთხრობებსა და პიესებში) როგორიცაა დავით კლდიაშვი-ლი („სამანიშვილის დედინაცვალი“, „სოლომან მორბელაძე“, „ირინეს ბედნიერება“ და სხვ.). თუკი ილია ჭავჭავაძემ და ალ. ყაზბეგმა ადამიანისა და სამყაროს განხეთქილების თემას ტრაგიკული პათოსი დააფინეს, დავით კლდიაშვილმა სევდიანი ირონიის ფორმა მისცა პროცესს: ანტონ ჩეხოვის მსგავსად, დავით კლდიაშვილის თხზულებებში ადამიანების არა სიკვდი-ლი, არამედ სიცოცხლე იქცა ტრაგედიად!

გვიანი რეალიზმის კონცეპტებისა და თემების სრულად რეალიზების თვალსაზრისით, ქართულ მწერლობაში ფასდა-

უდებელია ვაჟა-ფშაველას როლი და დამსახურება. ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა თავისი თემებითა და მიზნებით ევროპული გვიანი რეალიზმის ეპოქის ღირებული ქართული რეფლექსია, თუმცადა, ქართული მწერლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დამკვიდრებული ტრადიციის მსგავსად, რეფლექსირების ეს მოდელიც ჩვეული ჩასწორებებითა და სქოლიოებით გამოირჩევა. ვაჟას შემოქმედებაში გვიანი რეალიზმის მიერ გამომუშავებული ახალი ტენდენციები ერწყმის არა მარტო კრიტიკული რეალიზმის წიაღში უკვე გამომუშავებულ ტრადიციას (როგორც ეს ევროპული რეალიზმის წიაღში მოხდა), არამედ ქართულ რეალურ კონტექსტსაც („ქართულ საკითხავს“) და პრობლემების ძალზე საინტერესო სპექტრს გამოკვეთს:

- ადამიანი და მისი მისია სამყაროში;
- სუბიექტის ინდივიდუალური ნება და საზოგადოება;
- „საკუთარი სივრცე“, როგორც ნაციონალური იდენტობის მარკერი.

თუკი ამ კუთხით მივუდგებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცენტრალურ ტექსტებს – „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „გველის მჭამელი“ და სხვ. – მოგვიწევს ვალიაროთ: მიუხედავად განსხვავებული სიუჟეტებისა, მათ ერთმანეთთან აკავშირებს და ადულაბებს უზარმაზარ სამყაროში გამოკეტილი ადამიანის მიერ თავისი მისიის ძიების დაუკავებელი სურვილი, პიროვნული ღირსების დამკვიდრებისთვის ბრძოლის გაუნელებელი უინი და „საკუთარ სივრცესთან“ ფატალური იდენტიფიკაციით მოგვრილი დაუმსახურებელი ტკივილი. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცენტრალურ ტექსტებს ცხადია, განსხვავებული სიუჟეტები აქვს, მაგრამ ერთი საერთო პრინციპი ამთლიანებს: პიროვნებისა და პიროვნული ღირსების დამკვიდრების პრინციპი! ვაჟა-ფშაველას ყურადღების უმთავრეს საგანს ადამიანი წარმოადგენს, სუბიექტი, დამოუკიდებლად მისი რელიგიური მრნამსისა და სოციალური კუთვნილებისა, რომელიც არსებობს გარკვეული საზოგადოების, ანუ ობიექტური გარემოს პირო-

ბებში და ცდილობს დამკვიდრდეს მასში, როგორც ინდივიდუალური პიროვნება. ეთიკური და საზოგადოებრივი Pro et Contra, რომელსაც ვაჟა-ფშაველა საფუძვლად უდებს თავისი პერსონაჟების ლირებულებათა შეკალას, სცდება ვიწრო სეპარატიზმის სტანდარტს და ჰუმანიზმის უღრმესი შრეებისაკენ მიემართება. მისი მთავარი პერსონაჟები არ არიან მრავალთაგან ერთ-ერთნი, არამედ ერთნი – მრავალში, ხოლო პიროვნების თავისუფლების ერთადერთ პროექციად სულიერი პროექცია იკვეთება. ვაჟა-ფშაველას ღვანლი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იმდენადვე სასარგებლოა კაცობრიობისათვის, რამდენადაც სასარგებლო და გონივრულია სამშობლოსათვის („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

სწორედ ამ პათოსით შეაბიჯებს ქართული მწერლობა XX საუკუნეში და ბუნებრივად შეუდგება მოდერნისტული ძიებების საერთო ევროპულ გზას\*...

#### დამოცვებანი:

**ბახტინ 1972:** Бахтин М.М. Проблемы поэтики Достоевского. Изд. 3-тье. Москва: 1972.

**ბახტინ 1986:** Бахтин М. М. Литературно-критические статьи. Москва: 1986.

**ბეიკერი 1990:** Baker R. S Brave New World: history, science and dystopia. G.K.Hall & Co: 1990.

**ბორევი 2001:** Борев, Ю. Критический реализм XIX века... В кн: Теория литературы, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

**ბუაჩიბი 1970:** ბუაჩიბი თ. „ფრიდრიხ ნიცშე“. წგ-ში: XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია. თბილისი: „განათლება“, 1970.

**ვალერშტეინი 1988:** Wallerstein, Immanuel. The Burgeois (ie) as Concept and Reality. New Left Review I/67 (January-Fabruary 1988).

**კოკა 1999:** Kocka, Jürgen. Middle Class and Authoritarian State: Toward a History of the German Bürgertum in the Nineteenth Century // Jürgen, Kocka, Industrial Culture

\* ვაჟა-ფშაველას შემოქმედება აღმოჩნდება ის სიმბიოსის ცენტრი, რომელსაც დაეფუძნება XX საუკუნის ქართული ლიტერატურული პროცესების – თამამი მოდერნისტული ტენდენციებისა თუ ექსპერიმენტების – შინაგანი კავშირი ქართულ კლასიკურ მწერლობასთან.

and Bourgeois Society. Business, Labor and Bureaucracy in Modern Germany, New York/Oxford, 1999.

**კუმარი 1991:** Kumar K. *Utopia and Anti-utopia in Modern Times*. T.J. Press Ltd, Padstow: 1991.

**მორეტი 2014:** Морети, Франко. Буржуа. Между историей и литературой. Москва: Издательство института Гайдара. 2014.

**რატიანი 2010:** რატიანი ი. ტექსტი და ქრონოგრაფი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცმელობა, 2010.